

501  
1942 XVIII

1942



საქართველოს  
სამეცნიერო-სამსახურის ინსტიტუტის  
სამსახურის სამსახურის  
სამსახურის სამსახურის ინსტიტუტის

# მუშაობი

XVIII

ТРУДЫ  
ГРУЗИНСКОГО  
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО  
ИНСТИТУТА  
ТБИЛИСИ

PROCEEDINGS OF THE  
GEORGIAN AGRICULTURAL  
INSTITUTE NAMED AFTER  
Tbilisi

საქართველოს მდგრადი მეცნიერებების გამოცემა

01804060—1942

სარედაქციო კოლეგია

დოც. ნ. ტ. გელაშვილი (პ/მგ. რედაქტორი), აკად. ნ. ნ. კეცხოველი,  
აკად. ტ. ყ. კვარაცხელია, პროფ. ვ. ზ. ღვალაძე,  
ე. გ. ფოფხაძე.

Редакционная коллегия

Доц. Н. Т. Гелашвили (отв. редактор), акад. Н. Н. Кецховели,  
акад. Т. К. Кварацхелиа, проф. В. З. Гваладзе,  
Е. Г. Попхадзе.

აკად. ნ. კაცხლიშვილი

აღმოსავლეთ საქართველოს პალის ტყეები  
და გათი აღდგენის საკითხი<sup>1</sup>

1

აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეთათვის ფრიად დამახასიათებელი და ტიპიურია ჭალის ტყე, რომელიც მდინარეთა ნაპირებზე გავრცელებული (1,2). ტყის ეს ტიპი, ჩვეულებრივი აღმოსავლეთ საქართველოს ველის ფარგლებისათვის, შემნაცვლელია ე.წ. ტუგაის ტყისა, რომელიც შეუ აზის ველებისა და ნახევრად-უდაბნოების პირზე გვხვდება. ჭალის ტყე ა/კაცხლიშვილი ფრიად ტიპიურად გამოსახულია მდ. მტკვრისა და მდ. არეზის ქვედა მიმდინარეობაზე (3, 4). დასავლეთისაკენ, საქართველოსაკენ, იგი თანდათან მდიდრდება კოლხეთის ელემენტებით (5, 6), ცვალებადობს ტყის ის იერიც, რომელიც მისთვის ჩვეულებრივია ა/კაცხლიშვილის აღმოსავლეთ ნაწილში.

საქართველოში ეს ტყე გავრცელებულია (და სამწუხაროდ მრავალი ადგილისათვის ახლა გვიხდება აღვნიშნოთ, რომ გავრცელებული იყო) მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების ნაპირებზე (ალაზანი, იორი, მაშავერი, ალგეთი, ქცია, არაგვი, ქსანი, დიდი ლიახვი, პატარა ლიახვი და სხვ.).

ამ ტყის შემქმნელი ხის მთავარი ჯიშებია: ვერხვი (*Populus hybrida MB*), ოფი (*Populus nigra L.*), ტირიფები (*Salix alba L.*, *S. caprea L.* და სხვ.); საგრძნობია მონაწილეობა აგრეთვე ისეთი ჯიშებისა, როგორიცაა დაბლობის მუხა (*Quercus longipes Stev.*), თელა (*Ulmus campestris L.*), თუთა (*Morus alba L.*), მურყნი (*Alnus barbata C. A. M.*); იშვიათი არ არის პანტა (*Pyrus communis L.*), მაჟალო (*Malus communis L.*), ტყემალი (*Prunus divaricata Led.*), კუნელი (*Crataegus monogyna Jacq.*), შავი კუნელი (*Crataegus melanocarpa MB*) და სხვ. პატარები ჩვეულებრივია, განსაკუთრებით კი საქართველოს ფარგლებში, ქაცი (*Hippophaë rhamnoides L.*), კერინჩი (*Prunus spinosa L.*), ულალი (*Tamarix Pallasii DC.*), ზონდი (*Cornus mas L.*), ზეინც-ანწლა (*Cornus australis C. A. M.*), თხიფსელა (*Ligustrum vulgare L.*), ჩიტავაშლა (*Pyracantha coccinea Romm.*), ტყის თხილი (*Corylus avellana L.*) და სხვანი. მხვარა მცნობებიდან აღინიშნება: ლეიდენცი (*Periploca graeca L.*), კატაბარდა (*Clematis vitalba L.*), არაიშვიათად აღმოსავლეთის კატაბარდა (*Clematis orientalis L.*),

<sup>1</sup> გადამუშავებული ნაწილი მოხსენებისა „ქართლის მცნობეული საფარი და მისი როლი კულტურულ მცნობეთა დარაიონებისათვის“, რომელიც ჭავითშული იყო მცნობებათა აკადემიის მათემატიკური და საბუნებისმეტყველო გამჭოფილების სესიაზე 1942 წ. იგნისის 26.

ქალლიჭა (Smilax excelsa L.), ბაბილო (Vitis silvestris Gmel.), სეია (Humulus Lupulus L.), თხისკუდა (Lonicera caprifolium L.); ბევრგან იშვიათი არ არის სუროც (Hedera Helix L.). ბალახეულობა, ჩვეულებრივ, ფართოფოთლიანი და ნესტის ამტანია და განსაკუთრებით უხვად და ბარაქიანად ვთაბრდება მეჩეტები ადგილებში. ვინაიდან ამ ტყის არეში ხშირია კამინი, ამიტომ იგი მოკლებული არ არის ჭაობის ბალახეულობასაც, რომელიც ბევრგან საჭაოდ დიდ ადგილებს იჭერს.

რასაკირველია, ეს ტყე ყველგან ერთნაირი შემაღვენლობისა არ არის. თუ წყლისპირისაკენ ვერხვნარები ან მურყნარ-ტირიფანარებია გავრცელებული, სამაგიეროდ წყლისპირის დაცილებით, საღაც შედარებით უფრო ნესტოკლებული გარემოა, მუხნარები ან მუხნარ-თელნარებია გავრცელებული. ამ ტიპის ტყეები ფართოდ იყო გავრცელებული მდინარეებიდან (ლიახვე, ქსანი და სხვ.) გამოყვანილი არხის პირებზეც, მაგ. სოფ. მერეთა და კარბს შორის, კარბსა და ქერეს შორის, კარბსა, ტყვიავა და ძევერის შორის, ქორდა და ტირნის შორის და სხვა მრავალ ადგილას<sup>1</sup>. ამ არხის პირას გავრცელებულ ტყეებს ერეოდა ქართლის ვაკის ტყის ელემენტებიც. ქართლის ვაკის ტყეები ჭალის ტყეებზე უფრო შურალი ტიპი იყო. მასში სპარბობდა ქართული მუხა, იფნი, თელა და სხვ.

ამ ტყეებს ვახუშტი ბატონიშვილი (7) ყოველთვის ჭალის სახელწოდებით იხსენიებს: „და დასდევს ოორს მცირე ჭალაცა<sup>2</sup> ლერწმოვნ-ჩალიანი (გვ. 290); „არაგვის... ამიერ და იმიერ ჭალანი ჯლარდლოვანი, ეკლოვანი (გვ. 214); „მტკვრის კიდეზედ არს ჭალა ყურუყუთა და აწ სოლანლული წოდევილი (გვ. 176); „ნაგვის აღმოსავლით... მტკვრის კიდეთა ჭალა დიდი (გვ. 180).“

ასევე მოსხენებული ამ ტიპის ტყეები ძველ სიგვალ-გუჯრებში და ნასყიდობის წიგნებში:

„... მოგყიდეთ... (გვარები) მათის მამულებითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქევილითა, ველითა, ვენავითა, სავნავითა, უკნავითა, შენითა და უშენითა, ჭალითა და საკაფითა, ბალითა და ბოსტნითა, სახლ-კარითა, ქვევრ-მარინითა, კალო-საბძლითა და მათის სასაფლაოთა, შესავლითა და გასავლითა...“ (დოკ. 1722 წ. 5/XI. გვ. 198. № 274).

რომ ეს სწორედ ასეთ მდინარის პირის ტყეს ეკუთვნის, უფრო მეაფიოდ ჩანს მეორე სიგველში:

„...მოგყიდე ქუენაღლის ჩემი ქმები.... თავის სამართლიანის სამდლურითა, საქანავითა, უკნავითა, მთითა, ბარითა, საწისქუილოთა და წისქევილითა და თავის საკაფის ჭალითა და საწყლისპიროთა, თავის სახლ-კარითა და ნაფუძრითა, ქუევრითა, მარინითა და სიწნახლითა, ბალითა და მისის შესავალ-გასავლითა და კარმიდამოთა და სასაფლაოთა...“ (დოკ., 1721 წ. 27/I. გვ. 188—189. № 262.)

<sup>1</sup> ცნობილი იყვნენ: ივრის ჭალა, რომელიც მომსახურებას უწევდა გარე-კაშეთს, არაგვის ჭალა—ემსახურებოდა საგურამოს და სხვ., მუხრანის ჭალა—სამუხრანოს. საღამოს ჭალა მტკვარზე—კასპს და სხვ., სუმო ჭართლში—ხაშურის ჭალა და სხვა მრავ.

<sup>2</sup> დაყოფა და საზღასმა ამონაწერებში ჩვენ მიერაა გაკეთებული. ნ. ჭ.

აქ ჭალა მოყვანილია „საშუალისპიროსთან“. ამიტომ ჩვენს ხალხში ამ ცული გვითვის ცხალ ტერმინს და ჩვენს ქველ ლიტერატურაში დამკვიდრებულს ვტოვებთ იმ ტერმინის შემნაცვლელიდ, რომელიც დღეს-დღეობით ზოგჯერ ჩვენს მიერვე ისხერხბოლა ტუგაის ტყედ (1, 2). ამ საკითხს ცოტა ქვევითაც შევეხებით, თუმცა იგი ნაწილობრივ ცალკე წერილშიც გვაქვს განსილული (8).

ჭალის ტყე ქველად ფართოდ იყო გავრცელებული; ჭალის ტყეები დაბურულ ტყეებს წარმოადგენდნენ, რომელიც იყვნენ: „ნადირითა, ეშვითა და კობითა საეს“; მათში იყო „ნადირი და ფრინველი მრავალი, უმეტეს კოკიბინ“ (7). ამჟამად კი ეს ტყეები თითქმის სრულიად განადგურებული არიან, თითო-ოროლა დაცული კორომის გარდა. ეს მათი სწრაფი განადგურება დაიწყო ამ რამდენიმე ათეული წლის წინად და მთლიანად მოტიტვლდა ოდესლაც ლამაზი ჭალებით მოსილი მდინარის ნაპირები.

ჭალის ტყეებს აღმოსავლეთ საქართველოს და განსაკუთრებით ჭართლის და გარე-კახეთის სოფლის მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ და ამ მნიშვნელობას დღესაც არ ჰყარგვენ. პირველ რიგში ეს ტყეები ჩვენი ვენახებისათვის სარის (ჭიგოს) მიმწოდებელი იყო. ამ ტყეთა გავრცელების არეში კი 15.000 ჰექტარზე მეტი ვენახი იყო; მაშასადამე, ყოველწლიურად, თუ სარის გამოცვლას ერთმანეთზე 2 წელიწადში ერთხელ ვიგულისხმებთ, საკიროა 40—50 მილიონი სარი, რასაც ამ ტყეთა გარეშე დასპირდებოდა ყოველწლიურად 5—6 ათასი ჰექტარი ტყე იმ ტყის ფართობიდან, რომელიც ამჟამად აღმ. საქართველოში მთის ფერდობებზეა გავრცელებული და რომელ-საც ჩვენში უმთავრესად წყალდაცვითი მნიშვნელობა აქვს. ძევლადე მთების წინა კალთების ტყეებიდან სარის გამოტანა არც იმდენად გაძნელებული იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა ჭართლში, გარე-კახეთში და სხვა ვაკე აღგიღებში შექმნილი იყო თავისებური სასარე ტყის მეურნეობა ჭალებში და სარწყავი არხებისა და სარწყავ მამულ-დელულის ირგვლივ. ამ მეურნეობისათვის გამოყენებული იყო და დღესაც გამოყენებულია უმთავრესად ტირიფი, ვერხვა, მუხა, თელა, თუთა, ნაწილობრივ ნეკერჩალი. ამ უკანასკნელ 30—40 წლის მანძილზე კი მათ მიემატა თეთრი აკაცია (*Robinia pseudoacacia*).

სასარე ხე ორა-სამი მეტრის სიმაღლეზე იბელება და ნაბელის ირგვლივ ამოტანილი ტოტი იყალება 2—5 წელიწადში ერთხელ. ჩვეულებრივად გადაკაფვა დამოკიდებულია ხის ჯიშზე და იმ გარემოზე, სადაც მცენარე იზრდება. ტირიფის გადაკაფვა შესაძლებელია ყოველი 2, ვერხვის 3, მუხის 4—6, თუთის 2—3 წლის შემდეგ. თუ სასარე მცენარენი ნოკიერ, მდიდარ და საქმაოდ ნესტიან აღგიღებში იზრდებიან, შესაძლებელია გადაკაფვის ვადები შემცირდეს კიდეც. თვით გადაკაფვა დამოკიდებულია სამეურნეო მოთხოვნილებაზე და მიზანზე. თუ, მაგალითად, მუხის ამონაყარი ტოტი სპირდებოდათ სარად, იგი 4—5 წლის შემდეგ ამ მიზნისათვის სრულიად გამოსაყენებელია, მაგრამ თუ მარგილად, ან ურმის დანდლებად ან სხვა იარაღისათვის იყო განკუთვნილი, მაშინ ამისათვის დანიშნული მუხა იყალებოდა 6—7 წლის შემდეგ, სასარედ განკუთვნილი ვერხვი—3 წლის შემდეგ, სალატნედ განკუთვნილი—4—5 წლის შემდეგ და ასე სხვებიც. მაგრამ მიზნით ჭალის საუკეთესო ნაკვეთი სპეციალურად ყორულდებოდა

და მასში ყოველგვარი სხვა ჭრა მეტად მქაცრად იყო და ზოგან დღესაც არის აკრძალული. საბელავ ხეს თავისი მოვლაც ჰქონდა: ქვედა ტოტების შეცლა, ნაკაფის შედარებით კარგად შემოკვერცხა, რომ ხე მაღვ არ „დალლილიყო“, ჭრილობის შეხორცება უფრო სწრაფად წასულიყო, საბელავ ხეთა შორის ფეხვის ამონაყარის მოცილება და სხვ.

ამ ტიპის ტყები მარტო ბუნებრივი ჩათესვით და ამონაყარით კი არ ვრცელდებოდა, არამედ სკეცალურადაც აშენებდნენ. ამისათვის წინასწარ შეარჩევდნენ (და დღესაც არჩევენ) რამდენიმე საბელ ხეს, რომელზედაც ჟავე მეორე წლიდან დასტოვებდნენ არა უმეტეს 5—7 ტოტის. ჩვეულებრივად კი თითოეული 20—30 წლის ვერხვი ან ტირიფი თითო გადაკაფვაზე 10—25 სარს იძლევა. დატოვებული ტოტები  $1\frac{1}{2}$ —2 მეტრზე ისხვლებოდა და სტოვებდნენ 3—4 წელიწადს. გაზიარებულზე ეს ტოტები განსაკუთრებით ფაქიზად იკაფებოდა და 2 ან  $2\frac{1}{2}$  მეტრის სიგრძეზე იჭრებოდა; ასეთ ლატანს წაუჩეკავენ სარივით ბოლოს და ასობენ მიწში  $\frac{1}{2}$ , მ-ის სილრმეზე ერთმანეთისგან  $1\frac{1}{2}$ —2 მეტრის დაცულებით. ასე ამრავლებენ და ამრავლებდნენ ტირიფს და ვერხვებს; თუ საქონელმა არ დაანძრია და წყალი არ მოიკლდა, ამ წესით დარგული ტირიფის ან ვერხვის ტოტი ადგილად ხარიბს და მესამე — მეორე წელს უკვე იძელება და პირველ მოსავალს იძლევა. 10 წლის შემდეგ ასეთი ხელოვნური ჭალა უკვე ძნელი საცნობია, ძნელია გარჩევა, ხელოვნურადა თუ ბუნებრივად გაშენებული; მისი ხელოვნურობა შესამჩნევია მხოლოდ მწყრივებზე.

ვინაიდან ასეთ საკაფებში 50—60 წლის ხე (უმთავრესად ვერხვი და ტირიფი) იღლება, მას განახლება სჭირია და განახლებაც ხდებოდა. სწორედ ამის გამო ამ მიზნებისათვის განკუთვნილ ჭალის ტყებში საქონლის ძმებაც სასტიკად იყო აკრძალული. ასეთი საკაფები ეკუთვნილა ან მთელ სოფელს (სოფ. მერეთი), ან გვარებს (სოფ. ტირინისში—ტეტუნაშილებს, „ტეტუნაანთ-ჭალა“ ლიახების პირზე) ან უფრო ხშირად ცალკეულ კერძო მესაკუთრეებს. ასეთ საკაფებში საქონლის ძმების გამო მენაბირეს ან მწყემსს ხდებოდა ისეთივე გადასახადი, როგორსაც იგი იხდიდა ჭირნახულის ჭანახებზე, ხშირად მეტსაც.

ამავე ნაკვეთებში ამრავლებდნენ სამანეულე, საქონავ ტირიფებსა და სხვათა, წენელისათვის, რომელსაც ყოველწლიურად, უმთავრესად ზამთარში, ჰქაფავებდნენ. ამისათვის უფრო გავრცელებული იყო და არის ყვითელი ტირიფი, მანეული; ამ მანეულის წერილი წენელი იხმარება ვაზის შესაყელად, მსხვილი კი საქონავად (სიმინდის ჩალის, კაჭაჭის, წალამის და სხვ.), გოდრების, ლასტების, კალათების დასაჭნავად და სხვ.

გარდა მანეულისა ამ ჭალებში საწენელედ განსაკუთრებით უვლიდნენ თხილს, შეინდს, შეინდ-ანწლას. პირველისაგან იწენება ე. წ. პწელის კალათი (თხილის ერთი წლის ყლორტის პწეალი—ყლორტი ჩეულებრივ შეაზება განკვეთილი), ხოლო შეინდისა და შეინდ-ანწლის წწელი იხმარება საურმე ლასტების, საფაცრე ლასტებისა, ჯინებისა და ჯინურების დასაჭნავად, რადგან ეს ჯიშები საქმიანდ გამძლე არიან.

ჭალის ქვეტყე, უმთავრესად კი ქაცვი, კუნელი, ჩიტავაშლა, კვრინჩი და სხვა ამგვარნი, გამოყენებულია საჯალჯედ, შესალობად, რისოვისაც ისიც 2-3 ან 3-4

წელიწადში ერთხელ მიწის პირად იჩენება, იკვრება მისგან კონა, რომელიც უსტებების გასცლებად იქმარება; ას სწორედ ამისთვისაც იყო აკრძალული ასეთ ჭალებში საქონლის ძოვება.

გარდა ამისა სასაჩე ევლებოდა ცალპირად ან ორპირად ვენახს, ნაფუზარს, ან ჩევეულებრივ სახნავ-სათვესს, უმთავრესად სარწყაფი რუბის გასწვრივ. ამისთვის გამოყენებული იყო ტირიფი, ვერხვი, ფური, თუთა, უკანასქელ 30—40 წ. მანძილზე თეთრი აქაციაც; სხვა ჯიშები—თელა, მუხა, ნეერჩხალი—ტოტით ისე აღვილად ვერ ხეირობს და ამიტომ ისინი მამულის ირგვლის სასარედ ხშირად არ იქმარებოდა, ისინი უფრო ჭალის კუთვნილნი იყვნენ.

## 2.

როგორც ამ მოკლე და სქემატური ილწრილობიდან ვხედავთ, ჭალის ტყებში ჩეენ გვაქვს და გვეკონა ტყის მეურნეობის განსაკუთრებული სისტემა, რომელსაც სასაჩე და საკაფი ტიპიუნდა უშროდოთ და რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჭართლის და საზოგადოდ აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის (გაზისათვის—სარი, ლობისათვის—მარგილი, ხეხილისათვის—ბოჭკონტი, მამულისათვის—ლობე, სახლში მოსახმარად—ფიჩი და შეშა, საერთოდ მეურნეობისათვის—საიარალე მასალა, ბოსტნეულისათვის—შესაღვმელი სარი და სხვ.). ამ ტყეთა გარეშე კი ყოველწლიურად უნდა გაიჩენს რამდენიმე ათასი ჰექტარი მთის ფერდოთა ტყე.

ასეთი ტიპი ტყის მეურნეობისა ევროპის ქვეყნებში თავს იჩენს მკეთრად მხოლოდ მეთვრა ამერიკული საუკუნის დასასრულიდან, თუმც აქა-იქ მისი ჩანასახი ზოგან აღრეც ჩანს (9).

„თუმცა მონაცარი ტყე—დაბალ და საშუალოტანიან მეურნეობა შვეიცარიაში მე-15 საუკუნეში აქა-იქ ცნობილი იყო, მაგრამ 1798 წლიდან იგი ძლიერად გავრცელდა და თავისებურ ტყის მეურნეობის ტიპად განვითარდა და ჩამოყალიბდა“—ვეითხულობით ევროპის ტყეთა მეისტორიების ნაწერებში (9). მაგრამ საქართველოში, როგორც სოფლის მეურნეობის მაღალი კულტურის ქვეყანაში, მეურნეობის ეს ტიპი გავრცელებული ყოფილა უკვე ძველთაგან და იძღვნად გავრცელებული, რომ ძველს იურიდიული ხასიათის დოკუმენტებში (სიგელი, გუჯარი, ნასყილობის წიგნი, პირობის წიგნი და სხვ.) საკაფი, სასაჩე ტიპის ტყეები მოხსენებულია სხვა ტიპის სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან, მაგალითად ვენახთან, ბალთან, სახნავთან, საოთხთან და სხვა ამგვართან ერთად. ამ მოკლენას პირველად ყურადღება მიაქცია აკად. ი. ჯავახშვილმა თავის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მეორე წიგნში (10).

„რაკი ვენახსა და ზეარს სარი ბლობად სჭირდებოდა, ამიტომ მეტყევეობის განსაკუთრებული დარგი შექმნილა, რომელსაც მიზნად სწორედ დაბლარი გაზის შესაღვმელად სარის საჭირო მოთხოვნილების დაქმაყოფილება პერნია დავისრებული. ასეთ პატარა ტყეს, რომელთაგანაც სარეგს სჭრიდნენ და აკეთებდნენ, სასაჩე ეწოდებოდა. „ქაჩიბაძეთა სახლშიგა დაბერებულმა და ბერმან ნინო“-მ მთა ქვათახევის მონასტერს 1477 წელს შესწირა ვენაკი

ჭალისა ტყელაპაური შინისთა სასაბრითა და ჭალითა სალონიში ასახული გითა (ისტ. სიძვ. II, 21). სვიმონ მეფის 1588 წ. წყალობის წიგნშიც ნათქვამია: სააკადეს მერაპაბსა და სიაუშს „გიბოძეთ... ოძისი სამართლიანის მისის ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სასარითა, სათიბითა და სახნავითაო“ (საქ. სიძვ., II-47 გვ.).

ძველი საბუთების ანალიზიდან ირკვევა, რომ ჭალის ტყელებში გვერნია რამდენიმე ტიპის მეურნეობის სახე, სახელდობრი: „სასასარე“, „საკაფი“, „საჯალჯე“, „უკაფი“, „საშეშე“, „სასხლავი“, „საკონი“, „საღობავი“. ეს უკანასკნელი საჯალჯეს უნდა შეეთანაბრებოლეს, მაგრამ არა ყოველთვის, რადგან საღობავის მასალა გარდა ჯალჯად ხმარებისა სხვაგვარადაც იყო ხმარებული.

იმისდა მიხედვით, ის ნაკვეთი, რომელიც სიგელში ან ნასყიდობის წიგნში ხვდებოდა, რა მეურნეობის ტიპისაც იყო, იმ სახელწოდებით აღინიშნებოდა. თუ, მაგალითად, მხოლოდ სასასარე იყო, რომელიც ჩვეულებრივად ბალ-ვენახის ირგვლივ ხელოვნურად იყო გაშენებული, მარტო იგი აღიწერებოდა და მოხსენებული იყო მხოლოდ „სასასარე“. ამის საუკეთესო ნიმუშს ჭარმალებენ ნასყიდობის წიგნი, მიუმუშო სვიმონ და სხვ. სულხანიშვილების მიერ ზურაბ და სხვ. ჯავახიშვილებისათვის 1680 წელს მაისის 1.

„... ასე რომე მოგყიდეთ წილორეთს ჩვენ ორი ძმათ კერძი სასახლე, მარანი, საბზელი, კალ, საბოსტნე, სასაფლაო, ხუდადაური კენაცი აქეთ ნასყიდას სამძღვრამდის, იქთ უმინარეს-შვილის სამძღვრამდის,—ზაქარია მგელიასეული ორის დღის მიწა მისის სახარითა, საკირქს მიწა ერთის დღისა მისის სახარითა, ბერისა მორის დღის მიწა მისის სახარითა, სოფლის თავს ერთის დღის ნაფუძარი, საყდართან ორის დღის მიწა, ზედაკრავეს სამის დღის მისის სახარითა, მისავ ახლოვე საშის დღის ახო მისის სახარითა, გარეშემოთა მთითა, ბარითა და სათიბითა; ლისურში კოდაზე მიქელაშვილისეული ორის დღის მიწა...“

(დოკუმ. 1680 წ. I/V. გვ. 64-65. № 63.)

ცხადია, რომ აქ ლაპარაკია ისეთი სასარის შესახებ, რომელიც ცალკეულ ნაკვეთს აქვს გარს შემოვლებული. რამდენიმე, როგორც ჩანს, პატარ-პატარა ნაკვეთია ჩამოთვლილი და ყოველი ნაკვეთისათვის, რომელსაც კი სასასარე ახლავს, მოხსენებულია.

მაგრამ როდესაც სიგელში აღნიშნული ნაკვეთი ჭალის ტყის არეშია, მაშინ მასში არსებული მეურნეობის ტიპიბიც გარკვევით მოიხსენება. ამის და-სადასტურებლად მოვიტანთ შემდეგ ამონაშერს:

„...მტკიცუ წიგნი, სიგელი მოგეცით და მოგახსენეთ ჩვენ ჭალი ხევ შე ა-ხი შვილთა შალვას ძეთა შანშე, ბიძინა, ფარსადან, შერ-მაზან და ძეთა და მამავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე თქვენ, სააკადეთა შიგა შის შვილთა გიორგის ძესა ავთან დილს, ძეთა და შევილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, მოგ-ყიდეთ ჩვენი მკვიდრი მამული სასახლე არჯევენ აული მამული მისით სახნავითა, ნაფუძრითა, მთითა, ბარითა, ჭალითა, სახარითა, საჯალ-ჯითა, საკაფითა, წყლითა, წისქვილითა, მისითა შესავლითა და გისავ-ლითა ყოველითურთ უნაკლულოდ...“

(საქ. სიძვ. ტ. II, 1609 წ. 7/IV. გვ. 51, № 40.)

ცხადია, რომ აქ ჭალის ტიპის ტყესთან გვაქვს საქმე; ჯერ ნასყიდობის წიგნში აღნიშნულია ჭალა და შემდეგ უკეთ რამდენიმე ტიპი მეურნეობისა: ხა-სარე, ხაჯალჯე, ხაკაფი.

ამისივე დამადასტურებელია სხვადასხვა საბუთებიდან მოტანილი შემდეგი ამინაწერები:

„...მოგყიდეთ თაფანს ერთი მოელი საკომლო ტაველაშვილს მამული, მიწითა, საწნავითა და უწნავითა, სარწყავითა და ურწყავითა, ვენახითა, ნიგზარითა, ნილანითა, წყლითა და რუთა, მისის შესამარითა, მისის სამართლიანით სამძრრითა, მთითა, ბარითა და ხასარითა, სახლითა, კარითა, ქვევრ-მარნითა, საწნახლითა, შესავლითა და გასაელითა, ხამარჯილის შეხავალის გზითა, საწყლის-პიროთი, საფიჩნულითა, საოჩხითა, საკუდ-მოძრითა, საოსაროთა, საორაგულოთა, მისის სამართლიანის საქმითა და სამძრრითა მოგყიდეთ და ავილვეთ ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეგვერდებოდა...“

(საქ. სიძე. ტ. II, 1729 წ. გვ. 352—353, № 305.)

„...ესე ჩვენი სამეცნიერო ყმანი თავისის მამულით მოგყიდეთ ყოვლის კაცის უცილებლად წყლითა, წისქუილითა, სახნავითა, უხნავითა, ნასყიდითა და უსყიდითა, საძებრითა. უძებრითა, მთითა, ბარითა, ჭალითა, ხაკაფითა და უკაფითა, სათბითა და უთბითა...“

(დოკუმ. 1718 წ. გვ. 178, № 250.)

„...მანგლელ ეფისკოპოსს გაბრიელს და შერმაზანს მოგყიდეთ თქუენ სამკუდრო გასამყრელო აღებული ჭვიროსს ნაინტა-შეილი მისის მამულითა, ივანას შვილები მისის სახლ-კარითა და სასაფლაოთა, ვენახითა, საწნავითა, წყლითა, წისქუილითა, მთითა, ბარითა, შესავლითა, გასაელითა, მისის სარწყავითა და ურწყავითა, ხაჯალჯეთა და ხასარითა. გქონდეს და გიბედნიეროს ღა თნ...“

(საქ. სიძე. ტ. II, 1686 წ. გვ. 102, № 76.)

„...მოგყიდეთ ჩვენი... (ჩამოთვლილია ყმები) ამათის მამულითა, დღეს რასაც მეონებელნი იყენენ, სახლითა, კარითა, ქვევ-მარანითა და გარეშემოთი ნატამლითა, ვენახითა და საბოსტნითა, მიწითა, წყლითა, წისქუილითა, სასაფლაოთა, ხაკაფითა, უკაფითა, ნასყიდითა და უსყიდითა, საძებრითა და უძებრითა, ჭალითა და საწყლისპიროთა და ყოვლის მისის სამართლიანის შეღრითა...“

(დოკუმ. 1714 წ. გვ. 162—163. № 229.)

ცალკე მოჩანს საშე შე ნაკვეთებიც:

„...მოგყიდეთ ჩვენის ბარათში ნარგები მქვიდრი ყმა ყანჩაეთს გაგაძე გამიხარდი, ციხელი გოჩაშვილი თავის ცოლითა, შეილითა, სახლ-კარითა და მომცვალითა, წყლითა, მიწითა, საწნავ-საოტესთა, ტყითა, ველითა, მინდრითა, საწისქვილოთა, ვენახითა, სათბითა, საძოვრითა, მთითა ხაშეშოთა, საცილებელ-უცილებლითა, და, რისიცა მქონებელი იყოს, მისის ყოვლითავე სარჩოთი მოვეიდნია...“

(დოკუმ. 1704 წ. 27/I. გვ. 126, № 17.)

გარდა მისა სასარე, საჯალვე, საკაფი და სხვ. მოსჩინან სხვა დოკუმენტებშიც, მაგ.: საქ. სიძე. ტომი II, № 35—ჭალა და სასარე, № 36—„სასარითა“, № 151—„სასარითა“ და „ჯელჯითა“, № 170—„სასარითა“. საქ. სიძე. ტ. III: № 189—„საჯალვებისა“, დოკ.: № 260—„სასარითა“, № 186—„სასარითა“, № 231—„სასარითა“, № 448—„სასარითა“, № 437 სასარითა და სხვ.

### 3.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ ნათელია, მაინც საჭიროდ მიგვაჩნია სპეციალურად შევჩერდეთ ზოგიერთი ტერმინის განმარტებაზე და მნიშვნელობაზე:

ჭალა. ქართლის დიალექტში სიტყვა ჭალა გაიგება მდინარის პირის ადგილად, რომელიც ჩვეულებრივად ტყით არის მოსილი. მაგრამ შეიძლება იყოს მდინარის პირის მინდორი, უმთავრესად საძოვრად გამოყენებული და ბუჩქნარით დაფარული. უფრო ხშირად კი ჭალას იტყვიან პირდაპირ მდინარის პირის ტყის აღსანიშნავად. ნაწილობრივ ეს ტერმინი განზოგადდა კიდეც და ვაკეზე გვერცელებულ პატარა ტყესაც ჭალას ან ოლეს<sup>1)</sup> უწოდებენ. ვაჟუშტი ბატონიშვილი კი (7) ჭალას ვარკვევით უწოდებს ვაკე ადგილების მდინარის პირზე არსებულ ტყეებს.

ამ ტერმინის გაგებაში ჩვენს საისტორიო წყაროებში და ლიტერატურში ერთსულოვნება არა ყოფილა.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში (11) განმარტავს:

ჭალა—წყლის პირი ნაყოფიერიო.

დაეთ ჩუბინაშვილი კი ისეთ განმარტებას იძლევა ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონში (12):

ჭალა—Прибрежный лес, остров с кустарником, садами, пашнями и проч.

ი. აბულაძე კი შემდეგნაირად განმარტავს (13):

ჭალა—შამბარ-წყლიანი მინდორი, ჯანარი, ჩირგვნარი, გაშვებული მინდორი საბალახოდ, წყლის, გინა ტყის მახლობლად გავერანებული დიდი ვაკე.

არც დ. ჩუბინაშვილის და არც ი. აბულაძის განმარტება ყველაფერში არ შეეტყობულა სინამდვილეს. დ. ჩუბინაშვილის განმარტების მეორე ნახევრის არა-სწორად განმარტების მიზეზი საბას ერთერთი ტერმინის არასწორად გავგების ბრალია და ი. აბულაძისა კი ის, რომ უკროტიკოდ აქვს მიღებული დ. ჩუბინაშვილის რუსული ტექსტის მეორე ნახევრის აზრი.

დ. ჩუბინაშვილი რომ ჭალას კუნძულად სთარგმნის, ეს გამოწვეულია შემდეგით. ს. ს. ორბელიანს ლექსიკონში განმარტებული აქვს:

ჭალა აკი—კუნძული გინა ჭალა.

როდესც აქ საბა „ჭალას“ „გინა ჭალასაც“ ურთავდა, გულისხმობდა ჭალის კნინობით გაგებას, პატარა ჭალას, ჭალაქს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო,

<sup>1)</sup> ოლე ქართლშივე ეწოდება ბერევნასაც—*Pirus salicifolia* Pall. და *P. elaeagni-folia* Pall.

მაშინ კუნძულის განმარტებას იგი უმეტესად ჭალასაც დაურთავდა. მას კუნძული ორგან პქვს ახსნილი:

კუნძული—ხერთვისი, ჭალაკი.

ხერთვისი—ზღვათა და წყალთა საშუალი ბაზილი კუნძული, ჭალაკი.

ი. აბულაძის განმარტებას კი, როგორც აღვნიშვნეთ, დ. ჩუბინაშვილის გავლენა ეტყობა. შეპნატეს ლექსიბში (2576, 2579, 2622), რომლის სოფისაც ი. აბულაძე ჭალის განმარტებას იძლევა, ჭალა უფრო ტყეს ნიშნავს, ვიდრე დიდ მინდობას ან დიდ გაეს (13).

„აბულისა ქუუბანასა საძებნელად თავნი არნეს

„უკაცურსა ჭალაშიგან იბოეს და გაიხარწეს“ (2579).

ან კიდევ:

„რა ფასკუნჯი მოუძლურდეს ან ძალ ედვა აღმა ფრენა  
აბულისა ჭალაშიგან, სადა იყენეს ლომთა დენა,

ზარ დაცუმით ჩამოვარდა, მაშინ მოუხდა ცრემლთა დენა“ (2576).

კუნძულისა და ნახევარკუნძულის შესატყისად ძველს ქართლში ხერთვისი და ჭალაკი ყოფილა. ჭალა არაა ხმარებული.

აკად. ა. შინიძე, არჩევს რა ამ საკითხს (14), შრავალ საბუთთა შორის მოჰყავს ერთი საბუთიც: „გრიგოლ ნოსელის, რომლის თარგმანიც ორ რედაციათ გვაქვს შენახული, ერთ ადგილს ერთს რედაციაში ხერთვისი იკითხება, ხოლო შეორე რედაციაში ჭალაკი“.

ძველს ძეგლებში კუნძულის შემნაცვლელად ჭალაკი იხმარება და არსად ჭალა.

დასადასტურებლად ეს რამდენიმე ნიმუშიც ქმარა. იონა რეისის მიტროვოლიტი თავის „ზგზავრობაში“ კუნძულის შემნაცვლელად ყველგან ხმარობს ჭალაქს (15).

„შემდგომად ამისა მითხრეს შამათა ამის მონასტროისათა: თხაჩერი ამა მონასტრისას სძოეს სიახლოვეს ოციათასი ჭალაკსა კიბარისა არს თხავ, და არა ცხტარი“ (გვ. 45).

„ველეთ დღე ორი და მივედით არხიპელაგოსა ზღუაში, რომელსაც ეწოდება ზღუასა შიგან ჭალაკთ მრავალთ, არხიპელაგო საშუალ ზღუასა. და შევედით დიდსა ზღუასა უკანეს, და წარევემართებით ჭალაკსა მიდილინს“ (გვ. 37).

„აქედამ მივედით კორფუს, ნავთ საყედელსა კეთილსა ჭალაკსა კორფუსისასაც“ (გვ. 73).

„ყოველი ისტორიი, რომელ არს ჭალაკნი მთიან-გორიანიდან და კლდიანი“ (გვ. 72).

„შემოდგომად თურამეტისა დღისა მივედით როდოსს ჭალაკსაც“ (გვ. 18).

მეორე არა ნაკლებ დაუცხრომელი მოგზაური ტიმოთე ქართლისა მთავარებისკოპოსი თავის მოგზაურობაში (16) ხშირად იხსნიებს ჭალაკსაც კუნძულის შემნაცვლელად ანდა მარტო პირდაპირ კუნძულს.

„რამეთუ არს ესე ჭალაკი ზღუასა შინა და ვიხილეთ ქალაქზე გადასახლებადი პატიოსანი<sup>1</sup>“ (გვ. 23).

„ბალითა და ხეხილითა ოლუსილი იყო ჭალაკი იგი და ვიხილეთ მუნ ექსორია ქმნილი ვალახთ მეფე კონსტანტინე“ (გვ. 24).

„ხოლო ქრისტიანეთა მათ პატივი-გუშეს დიდად და მიერ წარვი-გზავნენით ჭალაკი და მიტილინად“ (გვ. 123).

„კუნძული ზღუათა შორის და წალკოტითა და ვენახოვანითა ოლუს-სილი და მთა მაღალი ნაძვიანითა ტევრითა დაფარული იყო“ (გვ. 123). ასევე ხესნებული ავტორის მიმოხილვის მრავალ ადგილას.

როგორც ჩანს მეთვრამეტე საუკუნიდან უკვე თანდათან ჭალაკის ნაცვლად კუნძული იხმარება. თვით ს. ს. ორბელიანი თავის მოგზაურობაში (17) მხოლოდ კუნძულსა ხმარობს:

„მალთიდამ კვიბრეს კუნძული ათას ასი მილია“.

„მალთიდამ როდოს კუნძული... ცხრა ასი მილია“ (გვ. 137).

ჭალა და ჭალაკი აშკარად განსხვავებული ტერმინები იყვნენ და არიან და ჯერ ძველადვე სხვადასხვა შინაარსი ჰქონდათ; ერთვარად იგი შებლალეს მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ლექსიკონგრაფებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ტერმინის შორის ნათესაური კავშირიც არსებობს. ორივე ამ ტერმინის შინაარსი დაკავშირებულია წყალთან და წყლის პირთან. შესაძლებელია ძველადვე თვით წყლის, მდინარის, შესატყვისად სიტყვა „ჭალა“ იხმარებოდა. დღევანდელ სეანურში მდინარის აღსანიშნავად ჭალა ითქმის. მაგალითად, მესტიის წყალს, მდინარეს, სეანები „მესატიის ჭალას“ უწოდებენ. შემდეგში ჭალის სახელწოდება შერჩა მდინარის ნაპირს, გაშლილ ადგილს. ვინაიდნ ვაკე ადგილების მდინარის პირზე ჩვენში უმთავრესად თავისებური ტყით იყო დაფარული, ამიტომ ეს სახელი პირდაპირ ამ ტყეზე გადავიდა. უკანასკნელ ხანძმდე კი ეს ადგილები ტყით იყო დაფარული და ჭალაც ამ ტყეს დიდხანს შერჩა. აკი ვახუშტი ბატონიშვილიც თავის აღწერილობაში „ჭალის“ ძეგშ გულისხმობს ყოველთვის მდინარის პირის ტყეს. მდინარის პირის ტყეთა მოსუნთბის შემდეგ ცარიელ ადგილთ (და ტყეთა არსებობის დროსაც მათ არეში ცარიელ ადგილთაც) კელავ ჭალა დაუმტრუნდა, როგორც დღევანდელ ქართლურშიც ისძის.

ამგვარად „ჭალა“ გარკვეული სანახების ტერმინია—მდინარის პირის მინდორი ბუჩქნარით, ან იშვიათად უიმისოდ, საძოვარი და უმთავრესად ტყე<sup>2</sup>. ამი-

<sup>1</sup> ტექსტით ხილის კუნძული.

<sup>2</sup> ქართულ ხალხურ ფალკონორში ჭალა ხშირად გვხვდება მდინარის პირის ტყის აღსა-ნიშნავად.

1. მიყვარხარ ტებილო კანეთო, დიდო ალაზნის ჭალაო, მოტბო გველივით ქალაქილო, მინდოორ მოსულო ჩალაო (24).

2. ორივ იქ შევეკარენით ჭალასა დიდ ვაკისასა, ხელი გადავყავ ვაკოცე ნაწინებსა გიშრის თმისასა (25).

3. განმოცვა კალის შესახებ: თავი ბუქს უგავს, ფეხი ჩალასა, ნახტომი დევი ჭალასა (25).

4. რა ყროლი რამ ხარ ხამათარო! თოვლისა თოვეს, ქარნი ხქრიანო, ჩათოვნო დულის ჭალა ანი, ქალები ვეღორ დიანო (27).

5. ხევ-ხმელის ჭალა შენც იცა, რა სანადორ ტყე არი, იქა რო შეღები ბუდობენ, კბილებს განჭონდა ძერიალი (27).

ტომ შდინარის პირის ტყის აღსანიშნავად შართებული იქნება გიხმაროთ აღმართლის პირდაპირ, როგორც ამას ჩავდიოდით ზოგჯერ დღემდე და როგორც სამართლიანად—თავის დროისთვის—ჩადიოდა ვახუშტი ბატონიშვილიც, არამედ ჭალის ტყე.

სასარე უკვე განმარტებას არ მოითხოვს, იგია ნარგაობა, სადაც იკაფება სარი. განმარტებულია წერილის დასაწყისში.

საჯალვე—ადგილი, სადაც იზრდება და მზადდება ჯალვი. „ჯელჯი“ ან „ჯალჯი“ ამერიკული დარჩენილია ხალხში. იგი ერთ ხალხურ ლექსშიც გვხვდება: „ღობე გავაელო ჯალჯისა“. მისი შემნაცვლელი გარე-კახეთში არის „ჯარჯი“. ისევე იხმარება აგრეთვე ლექსშიც—„ჯარჯი“<sup>1</sup>. ესაა კელვანი ბუქეთისაგან შეკრული კონა ღობის გასაკეთებლად, რომელსაც, როგორც აღნიშნეთ, დღეს ჯალვის ღობე ეწოდება. ჯალვის კონა უმთავრესად იკვრება ძებისაგან, ქაცისაგან, კუნელისაგან, კოშაბურისაგან, ჩიტაგაშლასაგან და მის მაგვარი კელვანი (ქაციანი) ბუქების ანაკაფისაგან<sup>2</sup>. ესნი კა, როგორც დავინახეთ, წარმოადგენენ ჭალის ქვეტყუს. დ. ჩუბინაშვილი თავის ქართულ-რუსულ-ტრანგულ ლექსიკონში განმარტავს: ჯალჭი—پучک ხევე თერნივითი ძერევა. ამ განმარტების შესახებ უნდა აღვნიშნო, რომ ჯ-ს ნაცვლად ჭ-ს ხმარება არასწორი ჩაწერის შედეგი უნდა იყოს.

ერთის მხრით, თუ საჯალვე პირდაპირ სასარეს ქვეტყუ იყო, მეორე მხრით, შესაძლებელია ჭალის ტყეში გავაფული ყოფილიყო საქმაო ნაკვეთი, სადაც მაღალი ხეებისაგან თავისუფლდებოდა ადგილი და დარჩენილი ბუქები (ქაცი, კუნელი და სხვ.) თავისუფლად იზრდებოდნენ. ასეთი ტიპის საჯალ-ჯები ჩვენს დროშიც ფართოდ იყო გაერცელებული 1930 წლის დანართებით (სოცელი მერეთი, კაბი, ტყვიაცი, ქორდი, კარალეთი და სხვ.). და უფრო სწორად— მაღალი ხეებისაგან თავისუფალ ნაკვეთს, ბუქებით დაფარულს, ეწოდებოდა და ეწოდება „საჯალვე“, რომელიც ჩვეულებრივად ჭალის ტყის არეში იყო გავრცელებული. მასში საქონლის ძოვება სასტიკად იყო აკრძალული.

საღობავი—ტყის ისეთი ნაკვეთია, სადაც დატოვებულია ტყუშული ღობის გასაცელები საწერელე ბუქები. ამ ჭალის ტყებში ასეთი მასალის მომცემ ბუქებად ცნობილი და დაფასებულია შეინდი, შეინდ-ანწლა, თხილი და სხვა ამგვარნი. ამ ნაკვეთშე მაღალამოზარდი ხეები ძეა-იქ იყო დატოვებული, უმთავრესად სასარედ გაშვებული. ჯალვის მომცემი ბუქები ძირჯესვიანად იკაფებოდა, რომ საწერელ ბუქებისათვის განვითარების მეტი არე მიეცაო. ჯალვის მომცემთ სტოვებდნენ ნაპირისაკენ, რომ მათ ცოცხალი ღობის დანიშნულებაც შეესრულებინათ და საწერელ ბუქები დაეცათ დაზიანებისაგან. წერელი იკაფებოდა ყოველწლიურად, მაგრამ არა პირალებით, ამორჩევით, ისე რომ ზოგი მეორე წლისათვის დარჩენილიყო და უფრო მეტად მომწიფებულიყო. იკაფებოდა გვიან შემოდგომაზე. ყოველივე სხვა სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დამთავრების შემდეგ, უფრო ზამთრის დასაწყისში და ზამთრის დასასრულს ან გაზაფხულის დასაწყისს. საქონლის ძოვება სასტიკად იყო აკრძალული.

<sup>1</sup> აკად. გ. ახულებიანის მოწმობით.

<sup>2</sup> კაცი კაცითაო, ღობე ქაცითაო (ანდაზა, 26).

„საკაფეი“—ეს ისეთი ნაკვეთია, სადაც ჭალის ტყე იქაფუმოდა ფიჩხად და შეშაბ და სხვა სპეციალური დანიშნულება არ ჰქონდა; „საკაფეი“ ჩვეულებრივად სპეციალურად არ უვლიდენ სარს, მარგილს, ლატანს, მხოლოდ გაღა-კაფის შემდეგ დარჩენილ ნაკაფში ოუ გამოერჩეოდა სასარე ან სამარგილე, მას აარჩევდნენ.

„უკაფი“. შესაძლებელია ეპევი გამოიწვიოს კონტექსტში მისმა ხარებამ. იგი გვხვდება „საკაფთან“ ერთად—„საკაფთა და უკაფითა“—და ისეთ ტერ-მინთა გვერდით, როგორიცაა „სათიბითა და უთიბითა“, „სახნავითა და უხნა-ვითა“; მაგრამ მიუხვდავად ამისა „უკაფი“ გარკვეული ტერმინია. ჭალის ტყეებში და საზოგადოდ ჭალებში საკაფებისა და სასარებების გვერდით გვხვდე-ბოდა „უკაფიც“. უკაფი ისეთი ნაკვეთია, სადაც ხევები დაუბელავი რჩებოდა და გაშვებული იყო სიმალლეზე, 5—10 მ-ს სიმალლეზე კი ტოტები შეესხიპ-ბოდა. აქ ზრდიდნენ ხებს ურმის ხელნებად (თელა, იფნა), თავხებად, ბოძე-ბად (მუხა), საბძლის საყვავის თავხედ (თეთრი ვერხვი) და სხვა ამგვართაფის. ისე რომ უკაფი ცალკე ნაკვეთი იყო გარკვეული სამეურნეო საჭიროების მასა-ლის აღსაზრდელად და „გამოსაყვანად“. ასეთი უკაფები ჩვეულებრივად ან გარ-კვეულ გვარებს ჰქონდათ (ტეტუნაშვილების სოფ. ტირქნაშვი) ან ძლიერ მეოჯა-ხებს, იშვიათად სოფლეურადაც იყო.

საშეშე, საშეშო—განმარტებას არ მოითხოვს. ესაბ ტყის ნაკვეთი, უფრო ხშირად ვაკის ტყეებში, მთის ტყეებში და იშვიათად ჭალის ტყის ფარ-გალში, სადაც შეშა მზადდებოდა. ხების მოვლას, ქვეტყის გაწმენდას დიდი ყურადღება არ ექცეოდა. არც საქონლის ძოვება იყო სასტიკად აკრძალული. ამ ნაკვეთში დამზადებულ შემაშიც აირჩეოდა მარგილი, სარი, ლატანი. საშეშე ხშირად გადაღიოდა სასარედ ან უკაფად. მაშინ უკაფი ამ ნაკვეთსაც უვლიდნენ, სასტიკად კრძალავდნენ საქონლის ძოვებას. ზოგჯერ სასარე ან უკაფი კვლავ გადიქცეოდა საშეშედ, მაშინ როდესაც ნაკვეთი მოილებოდა და კელა იძლე-ოდა დამაქმაყოფილებელ მასალას. ეს გრძელდებოდა მანამდე, სანამ ამ აღვილს ახალ სასარეს არ გააშენებდნენ. მაგრამ ჭალის ტყე საშეშოდ პატივებული არ იყო<sup>1</sup>), რადგან მასში სპარბობდა ერთხვი და მისთანანი.

ერთერთ სიგელში, სახელდობრ გიორგი XII 1798 წლის სიგელში გვხვდე-ბა სიტყვა „სას ს ლ ა ვ ი თ ა.“

„...ვიბოძეთ გარიანს ჩენი სახასო ყმა და მამული, დემეტრე, ნაქო-ნი, რომელიც მდივან-ბეგს მეთოდის ეჭირა, თავისის სახნავითა, უხნავი-თა, სახსლავითა, ქვერ-მარნითა, წყლითა, წისქვილითა, მთითა ბარითა, ტყითა, ჭალითა, მინდერითა, სათიბითა და უთიბითა, ყოვლის თავისის სამართლიანის სამძღვრებით და შესავლითა და გამოსავლითა.“

(საქ. სიძვ. ტ. III, 1798 წ. 16/VII. გვ. 209—210, № 222.)

ეს ტერმინი რომ „ტყითა“-ს, „ჭალითა“-ს წინ ან შემდგომ იყოს, მაშინ, რასაკვირველია, ეჭვმიუტანელი იქნება, რომ იგი ტყის მეურნეობასთან დაკავ-

<sup>1</sup> ეს ხალხურ ლექსშიაც არის ასახული:

დალოცვილა ვერ წერის შეშა, მალ-მალ გინდა შეკეთება,

ბრიყვს საქმე გაუფლებულია ჰქუმა იცის გაკეთება (25).

შირებული ტერმინია, მაგრამ ამ ტექსტში იგი სახნავს და უზნავს მოსდევს და კარგობრძნელობის მიზანს.

მის შემდეგ მოხსენებულია „ქეყრ-მარანი“. ამიტომ საფურიებულია, ეს ტერმინი მევენახეობასთან ხმდ არ არის დაკავშირებული. მაგრამ, მეორე მხრით, ღლევან-დელ ცოცხალ ქართლურ ენაში საკაფის შემნაცვლელად ხშირად სიტყვა „სას-ხლია“ იმაის, უმთავრესად ისეთ საკაფზე, სადაც სასარე მასალა დიდი რაოდე-ნობით ადის ხოლმე. მოჭრილ ტოტს გვერდით ტოტებს ასებავენ, ს ხ ლ ა ვ ე ნ.

გვერდება ერთი საცეკვო ტერმინი—ესაა „საკონი“, რომელიც გვხვდება როსტომ შეფის მიერ გაცემულ სიგვლში 1653 წ. ამ თვეთ სიგვლის ეს ნაწილიც.

....ეს შეუალად დაგიმეუიღეთ და გიბოძეთ... ყოვლის მისის  
სამართლიანის საქმითა და სამძლურითა, მთითა, ბარითა, წის-  
ქუილითა, ველითა, ვენავითა, ვეკლესიითა, სასაფლაოთა, ჭალითა, სანა-  
დიროთა, საწყლისპიროთა, ხაკონითა (?) და ყოვლის მისის შესავლითა  
და გასავლითა...“

(Бюл. Бодз. № II, 1653 № 33: 71—72, № 52.)

საბა სულხან ორბელიანი თავის ლექსიკონში (11) ასე განმარტავს ამ სიტყვას: კონი—თვეზის საპურობი.

ს აკონი—შესაკონები, შესაყრდნობელი, შესახვევი.

ქონი—сеть для ловли лососины (დ. ჩუბინაშვილის კართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი. 1840).

ზორის, როდესაც მეუის სიგელში, ნახყოდობის წიგნში ან გუჯარში სა-  
თვეზაო ადგილი ფართოდ და ფრიად დაწვრილებითაც არიან მოსხენებულნი:

„...ვერეთვე სოფელი შოშილეთი მისის მთით და გარითა, სახ-  
ნავ-უხნავითა, წყლითა და წისქვილითა, საფაცრითა, სათევზე  
გოდრითა, ტყითა და ველითა, რაც მისი სამართლიანი სამძღვარია.“

(Տայ. Տօնց. Ը. II, 1710 Պ. 27/I. ՅՅ. 225—226, № 183.)

„... მოგყიდეთ თაფანს ერთი მთელი საკომლო ტაველას შეიღის მამული, მიწითა, საწნავითა და უწნავითა, სარწყავითა და ურწყავითა, ვენაჯითა, ნიფზნარითა, ხილნარითა, წყლითა და რუთა, მისის შესმატითა, მისის სამართლინით სამძრლითა, მთითა, ბარითა და ხახარითა, სახლითა, კარითა, ქვეერ-მარნითა, საწნახლითა, შესავლითა და გასავლითა სამარჯილის შესავალის გზითა, საწყლის-პიროთი, საფიჩნულითა, ხაონის გვერდითა, საკუდ-მოძრითა, საოხაროთა, საორაგულოთა, მისის სამართლინის საჭმითა და სამძრლითა მოგყიდეთ და აფელევით ფასი სრული...“

(Տար. Խոճ. 1729 Պ. 83. 352, № 305.)

უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ მოყენილი „საკონითა“ სწორედ სათევზაო აღვილს ეხება. კონი ამ გამოცემის რედაქტორს აღბად საქვოდ მიაჩნდა, თორემ კითხვის ნიშანს აღარ დაუშერდა.

დღეს ქართლში დარჩენილია სიტყვა ს აკონი იმავე გაეტბით, რაგარა-  
დაც ეს საბა სულხან ორბელიანს ესმოდა. საკონი, ივივე საკონავი, არის მანე-  
ულის ან სხვათა წნელი, როთაც იყვრება ფიჩი, ჯალჯი, ჩალა, წალამი, თივა  
თუ სხვა რამ. „ს აკონავი“ ან „ს აკონი“ კი სშირად ეწოდება იმ ნარგაო-  
ბასაც, რომელიც ამ მისალის იძლევა. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვიგულისისმოთ,



რომ ჩვენს ჭალის ტყეში ცალკე ეს ტიპიც გვქონია შეურნეობისა, შეგრძნე ეს კულტურული ჯერ-ჯერობით საეჭვოდ უნდა იქნას მიჩნეული<sup>1</sup>.

გარდა ზემოთ მოხსენებულ წერილის მომცემ ბუჩქებისა (შვინდი, ოხილი, შეინდ-ანწლა), ამ ნაკვეთებზე, რომლისთვისაც გამოყოფილი იყო მცირე ფართობი საღობავის არეში, ამრავლებდნენ და ზრდიდნენ ყვითელ მანეულს ანუ მარნეულს. მანეული შესანიშავ მასალას იძლევა როგორც საკონავისათვის, ისე გოდრების, კალათების და სხვა ამგვართა დასაწნავად, აგრეთვე მისი ტოტის გვერდის ანასხები ვაზის შესაყველს. რასაკირეველია, ამ ნაკვეთზეც სასტიკად იყო აკრძალული საქონლის ძოვება. ჩვეულებრივად მანეული იკაფებოდა ყოველ-წლიურად, ზამთარში ან პირველ გაზაფხულზე.

ესეც რომ არ იყვეს, 6—7 მეურნეობის ტიპის არსებობა უკვე ბევრს ნიშნავს და უპირველესად იმას, რომ არსებული დოკუმენტების შიხედვით უკვე მეთხოთმეტე საუკუნეში (1477 წ.) ჩვენში ცნობილი იყო ტყის დიფერენცირებული მეურნეობა: სასარე, საკაფი, უკაფი, საჯალჯე, საღობავი, საშეშო და სხვ., რაც პირველ რიგში მოასწავებს ჩვენი სოფლის მეურნეობის მაღალ დონეზე დგომას. ამგვარი ტიპები ტყის მეურნეობისა ეკრობაში, როგორც ალვნიშნეთ, ფეხს იყიდებენ მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში.

#### 4

საჭიროა ერთი საკითხიც გავარკვიოთ, სახელდობრ საქართველოს რომელ რაიონებშია ეს ტიპი გავრცელებული და რად?

ძველი საბუთების გეოგრაფიას რომ თვალი გადავავლოთ, დავინახავთ, რომ ყველა ეს სიგელები, გუჯრები და ნასყიდობის წიგნები შეეხება ქართლს (სააკადემი, ჯავახებშვილები), ბორჩალოს (ორბელიანები, საგინაშვილები), გარეკანებთ და უმთავრესად ამ მხარეთა ვაკე აღგილებს. თუ დოკუმენტი მოთან აღგილების ან მთის წინა კალთების მიწებს მოიხსენიებს, მაშინ დოკუმენტში არც ჰალაა მოხსენებული და არც სასარე-საჯალჯენი. იმ დოკუმენტებში, რომებიც შიგნით-კახეთს ან იმერეთს ეხება, არსაც ცალკე „საჯალჯენი“, „სასარენი“ ან „საკაფები“ მოხსენებული არ არის, რაც გამოწვეულია ამ მხარეთა ვაკე აღგილების, ე. ი. ვენახთა გავრცელების არეების, დიდი და ხშირი ტყიანობით.

თუ ქართლში, გარე-კახეთში ან ბორჩალოში საჭირო გახდა ასეთი ტიპის მეურნეობა შექმნილიყო, ეს გამოწვეული უნდა იყოს მით, რომ ამ მხარეთა ვაკე აღგილებში ე. წ. ვაკეთა ტყები მოისპნენ, რადგან მათი გავრცელების არეები გამოყენებულ იქნა კულტურულ ნაკვეთებად. ამ ტყეთა მოსპობის პროცესი დიდი ხნის წინათ დაიწყო; უნდა ვითიქროთ, რომ მათი მოსპობა ხენა-თესეის შემოღებასთან უნდა იყოს დაკავშირებული და გრძელდებოდა უკანასკნელ ხანამდე.

„ბოლო კავალად აღის წყლის დასავლეთით არს წყალი სურამისა. გამოსცის ლიხის მთას, მიერთვის სამხრიდან მტკვარს, ისიაურს ზეით. აქ არის ჭალა სურამისა, მტკვრის კიდესა, დაღალულიდამ შოლამდე. არამედ გაპერა 94 მეტემან ვახტანგ და ქმნა დაბნები“ (7).

<sup>1</sup> პროფ. ვ. დომინიშვილი მიმითითა „საკონის“ და „კონის“ სათევზაო მიზნების შესრულებაზე.



1925 წლიდან 1932 წლამდე ხაშურის და ზემო-ქალის შორის მდებარეობა მშენიერი ჭალაც გაიკაფა და მისი ადგილი, ისე როგორც მთელს ქართლის ვაკეზე (1), დაიჭირა ჯაგეკლიანმა ველმა, ძევიანმა. ბუნებრივ პროცესს ტყი-ების უკან დახევისას, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში კარგა ხნის წინათ დაიწყო ვაკეთა ტყების მოსპობით, ხელს უწყობდა აღამიანი; ისპობოდა ტყები და ვაკე ადგილებში კი უტყეობა პირველ რიგში მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარღს—მევენახეობა-მეღლინეობას საფრთხეს უქადღა.

საერთოდ ცნობილია, რომ მევენახეობა და მეღლინეობა ჩვენში ძველადვე ფრიად განვითარებული იყო და მაღალ დონეზე იდგა. ძეველ სიგელ-გუჯრებში, ნასყიდობის წიგნებში და სხვა დოკუმენტებშიც ვენახი ვაკეთა ადგილებისათვის უეჭველად მოიხსენიება. უფრო მეტი, ვენახის კულტურა რომ აქ (ქართლში) ფრიად მაღალ საუცხორზე იდგა, იქიდანაც სჩანს, რომ სავენახე ადგილები წინასწარ არჩეული იყო, სხვა მიწა-მამლულებიდან გამორჩეული.

„...ოდეს დაგვჭირა და თაფანს ორი სავენახე და მისს სახლ-კარითა მოგყიდე, აქათ სოფლის პირს სავენახე, კევს-გალმა, ქვემო ბოლოს ქვები რომ არის...“

(საქ. სიძ. ტ. II, 1704 წ. გვ. 198, № 164.)

„...მოგყიდეთ... ჯავშანიანში ჩემი წილის სახნავითა, უხნავითა, ტყითა, ველითა, სავენაჟითა....“

(საქ. სიძ. ტ. II, 1709 წ. 10/V. გვ. 224, № 181.)

„...თაყაშეილმან დემეტრე მ... მოგყიდეთ... ან რაც ცხნარ-ში ჩემი კერძი და წილი არის, ან აუნებული და ან პარტახი, მათის მთითა, ბარითა, სახნავითა, უხნავითა, ტყითა, წყლის-პირითა, საწის-ქვილოთა, ვენახითა, სავენახოთა, სახლითა, კარითა, მისაღევითა, საბძლითა, კალოთა, საძებრითა, უძებრითა...“

(საქ. სიძ. ტ. II, 1727 წ. 21/XII, გვ. 341—342. № 294.)

გამოყოფილია აგრეთვე „ნავენახარი“ და „ნაზერევი“:

„ქართლს რუსუში ჩემი არის ვ კომლი კაცი, ერთი ნაზერევი ჩემი და ხოდაბუნები ჩემი...“ (საქ. სიძ. ტ. III. დარეჯან დედოფლის მამულების ნუსხიდან. 1801, აპრილი. გვ. 295—300. № 311).

ნაზერევი, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო ძვირად ღირდა და არც ისე აღვილად იყიდებოდა.

ქართლში რომ ვენახები ფართოდ იყო გავრცელებული, ამას ადასტურებს თუნდ ეს ქვემოთმოყვანილი დოკუმენტიც:

„...ჩენის ნება-წადილით ჩენი სამკვიდრო მარანი მოგყიდეთ ყოველის კაცისაგან უცილებელი, თავის სამოცდა ათის ქვევრითა, მარანის გვერდით ოთახი რომ აკრის იმ ოთახითა...“

(საქ. სიძ. ტ. II. 1736. 12/IV. გვ. 382. № 339.)

ქართლში მეფებს უეჭველად ჰქონდათ ზერები:

„... ესე უქუნისამდე უამთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი და პირი და ნიშანი მოგეც მე სულტანას შვეილმა ციხუამა და შვილმა ჩემმა ავთანდილ; თქუნ ბატონს სულხანს და თანა-მეუბედ-

რესა თქუენსა ბატონს ჭეთავანს ასრე და ამა პირსა ზედა, რომე შო-  
გყიდეთ ატენს საფენაჟე მიწა ზედათ დიდს კლდემდი, ქუეშეთ ნეიის  
ზურამდი მისის ნიგზნართა, მისის რუთა და ხასაროთა, სულა შენოვი  
ნასყიდათ მოვაკიცემია.“ (საქ. სიძ. ტ. II, 1613 წ., გვ. 127. № 100.)

ქართლში არსებობდა ხარკის ერთგვარი ტიპი, რომელსაც „ატენური“  
ეწოდებოდა და ხმარდებოდა ატენში ვენახისა და მეფის სასახლის შენახვეს<sup>1</sup>.

„ჯავახიშვილთა... დაგიმტკიცეთ სოფელი ავეკეთი და იის-ცი-  
ხე... და ასრე კელ-შეუვლად გუიბოძებია, რომე ჩუენგან არა ეოხოე-  
ბოდეს საჯინიბო, არა ახორსალართა, არა ბაზიერთა, არა საელ-  
ნო, არა ციხის მუშაობა და ზუართა მუშაობა, არასთანა შემოსაწერი  
და სათხოვარი არა ეთხოებოდეს, არა გორული და ატენური, ყოვლისა  
სათხოვარისაგან კელმოქსნილი გუიბოძებია...“ (სიგელი მეფე გიორ-  
გი XI-ისა ჯავახიშვილებისადმი მიცემული. საქ. სიძ. ტ. II, 1463 წ.  
2/IX, გვ. 19, № 12.)

ერეკლე მეფის მეუღლეს დარეჯან დედოფალს ჰქონდა მამულები და ზერები  
კახეთში: ველისციხეში, სანავარდოში, ზემოხოლაშენში, კუქატანში, გავაზში და  
სხვ. (საქ. სიძ. ტ. III, № 311. გვ. 295—300); მიუხედავად ამისა დარეჯან  
დედოფალი, როგორც ჩანს, ფრიად ენერგიულად აშენებდა ვენახებს ქართლისა  
და ბორიჩალოს სანახებში, რაც ქეერთო მოტანილ დოკუმენტებიდანაც ჩანს:

„დ. ქ. ქართლში ცხინვალი სოფელი, ამაზი ჩემი ყმანი სახლობენ  
აზნაურშვილი და გლეხი, კომლი ლ, ამათში აზნაურშვილებსა და თარ-  
ხებს გარდა წლის კულუხი გვერგება საპალნე გ, ამათი  
პურის ღალა იქნება კოდი ლე, ამავე ცხინვალის სამღებრო და სხვა იჯა-  
რები წელიწადმი გაიცემა იჯარით ორი“, ხან მეტათ და ხან ნაკლებთ.  
აქავ ჩემგან აშენებული ვენახი, ამისი წლის გამოხავალი იქნება  
დღინო ხაბალნე თ, ამის წლის არაყიც იქნება ნახევარი საბალნე. ამ  
ვენახის აშენებაზე და გალავნის შემოვლებაზედ დამხარჯვია თეთრი პ.  
(საქ. სიძ. ტ. III. 1801. გვ. 295—300. № 311.)

„...ქოლაგირი ასის წლის ხარაბა იყო, განსცენებულმა ჩემმა მეუღ-  
ლებ, მეფემ ირკვლიმ, ხან ვის უბოძა და ხან ვის, მაგრამ იმის აშენება  
ვერ შეიძლეს, კელი არავინ მოჰკიდა; მასუკან მე მიბოძა, უცხოს ჰვე-  
უნებიდამ ქრისტიანენი მავაყვანინე და დავასახლე კომლი ნე. ამათი  
ღალა პური, ქრის, თუ ფეტეგი წელიწადში კოდი ს, ხან მეტი და ხან  
ნაკლები; ამავ ქოლაგირში ვენახი გავაკეთებინე, ამისი  
გამოხავალი წელიწადში ღვინო საპალნე იბ, ხან მეტი, ხან ნაკლები...“

(დარეჯან დედოფლის მამულების ნუსხიდან. 1801 წ. აპრილის ბო-  
ლო. საქ. სიძ. ტ. III, გვ. 295—300. № 311.)

რომ ქართლი მევენახეობის მნიშვნელოვანი რაიონი იყო, ეს იმითაც დას-  
ტურდება, რომ ქართლში გაზის ჩვენი აღგილობრივი ქართული ჯიშები მრავ-

<sup>1</sup> პროფ. ნ. ბერძენიშვილის გამარტება.

ლად წარმოიშვა. აქადემიკოსი ივ. ჯავახიშვილის ცნობით ქართლის წარმოშობის ჯიშებია: შვეანე, ჩინური, გორული და სხვ. (10)

ვახუშტის გეოგრაფია ხომ ნათელ სურათს იძლევა ვენახების გავრცელებისას და იგი მეურნეობის ერთერთ ძირითად ტიპად აქვს ქართლის ყველა ხეობისათვის მოყვანილი.

სწორედ ამიტომ იყო, რომ განადგურებულ ვაკეთა ტყეების შესანაცვლად საჭირო გახდა ქალის ტყეები უფრო რაციონალურად გამოყენებინათ და მასში შეექმნათ მეურნეობის თავისებური ტიპი სასარით, საკაფით, საჯალით და სხვ., რაც შესრულებულ იქნა და ჩამოყალიბდა შესანიშნავ თავისებურ მეურნეობის ტაპად, რომელმაც ჩევნამდე მოაღწია და დღესაც შემორჩენილი გვაქვს, მაგრამ რომელიც სამწუხაროდ ამ უკანასკნელ ხანებში ამოვარდნის გზაზე დამდგარი თვით ჭალის ტყეების განადგურების გამო. ამ ტიპის მეურნეობის გარეშე კი ქართლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია.

## 5

მაგრამ სანამ ამ საკითხის გაშუქებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩინა შევხოთ კიდევ ერთს საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ქართლის გატყევებასთან და იმ გზებთან, რომლითაც უნდა მიმდინარეობდეს ეს გატყევება.

ვენახების და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების გვერდით ფართოდ ყოფილი გავრცელებული თავისებური ტიპი მეურნეობისა, რომელიც ერთგვარად ტყის შემნაცვლელიც იყო. ესაა ნიგვზნარები და თუთნარები. ნიგვზნარი მოსახანს ქართლში, ბორჩალოში, კახეთში და სხვაგან. ისინი ყოფილან ყიდვისა და გაყიდვის ობიექტინ:

...მე, თაყი შვილმა დიმიტრიმ... მოგყიდე ჩემი სამყიდრო ლხაკეცეს ლარიბაშვილის საკომლო მამული მიწა და იმას გარდა ჩემი ნაზურევი მისის ნიგვზნარითა, თუთნარითა, საწყლისპიროთა და საწისქილოთა, მისის სათიბითა და მინდვრითა, მთითა და ბარითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა, დღეს რისაც მქონებელი ყოფილიყოს, სახლ-კარითა, შესავლითა და გასავლითა და მისის სასაფლაოთა.“ (საქ. სიბ. ტ. II, 1725 წ. 27/VII. გვ. 329. № 278.)

„... ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩენი ალალი სამყიდრო მამული რევაზენს ყაზინაშვილის საკომლო, რომელიც ერთს მთელს საკომლოს მართებს იმდენის მატულითა და თუ მთელს საკომლოზედ დააკლდეს, სხვაგნიდამ შეგითაო ეს საკომლო მისის მთითა, ბარითა, ველითა, ვენაჯითა, წყლითა. წისქვილითა, საბოსტნითა, ნიგვზნარითა, საწყლისპიროთა, ჭალითა, სათიბითა, საძებრითა და უძებრითა, ყოველითა უკლებლად მოგყიდეთ...“

(საქ. სიბ. ტ. II, 1702 წ. 20/VI. გვ. 188, № 156.)

„მოგყიდეთ... ნასყიდითა, უსყიდითა, მთითა, ბარითა, ვენახითა, ნიგვზნარითა და საწყლისპიროთა, სახნავითა, უხნავითა და სათიბითა, სახლითა, ბარითა და ქვევრითა, შესავლითა და გასავლითა, კალითა და საბლითა...“ (საქ. სიბ. ტ. II. 1736. გვ. 388. № 346.)

„...სულ თქუენთვის მოგვიყიდია: მთითა, ბარითა, წყლითა, საჭიროების წყლის-პირობთა, მნიშვრითა, ველითა, ბაღითა, გვნახითა და საეგნახოთა, წისკვილითა და საწისქვილოთა, ტყითა, ხატყისპიროთა, სახლითა, კარითა, მარნითა, ქვევრითა, ნიგვზითა, სამძლებრითა, სახნავითა, უხნავითა, შესავლითა, გასავლითა, რისაც მქონებელნ ვყოფილ-გართ და გვაქეს.“

(საქ. სიდ. ტ. II. 1732 წ. 26/IV. გვ. 3<sup>6</sup> 6. № 322.)

ამგვარი საბუთების მოტანა მრავლად შეიძლება: ასეთი ნიგვზნარები მრავლად მოიპოვებოდა და მოიპოვება ღლესაც. უკანასქენელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ესენიც ფრიად დაზარალდნენ, რადგან კაკლის მერქნის ექს-პორტონ დაკავშირებით ეს ნიგვზნარები ბევრგან ძირითადად განადგურდნენ.

ქართლში, ბორჩალოში, გარე-ქახეთში ვენახი, ნიგვზნარი, თუთნარი და-კავშირებული იყო და არის სარწყაც არხებთან. სარწყაც არხებთანვე დაკავშირებული იყო და არის ჭალის ტყის გარე არსებული სასარენა და საკაფნი. ღლეს ქართლში სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით წყალსვე ეძლევა გადამწყვეტი მნიშვნელობა და მას არც წინათ ჰქონია ნაკლები მნიშვნელობა. ჩვენი ძეველი იურიდიული საბუთები უდიდეს უურადღებას აქცევს ამ საკითხსაც. ჯერ თუნდაც რად ღირს ვახტანგის კანონები (22) ამ საკითხის ირგვლივ:

„მუხ. 169. ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა და ხელმწიფება არის: წყალი, შეშა და ბალახი.“

„მუხ. № 114. რეს სარწყაცს წყალს როგორც მამულს გაიყოფენ ძმანი ისე წყალი იმდენ ნაკადად გაიყოფის.“

წყლის მფლობელობის საკითხი ძველ საქართველოში გარჩეული აქვს ი. ანთაქს ერთიერთ თავის წერილში (23). მაგრამ მიუხედავად ამისა მე მაინც მოვიტან აქ რამდენიმე ძველ საბუთს იმისათვის, რომ ნათელი იყენს ჩვენს რაიონში რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წყალს, რომელთანაც დაკავშირებული იყო, სხვა კულტურებთან ერთად, ვენახიც და ზოგი სასარეც.

„სანამდისინ ფარე მუზ ცოცხალი იყოს, უნდა ეჭიროს ჩვენგან მიცემული თავისთვის სამკვიდრო გლეხები. გასამყრელო გლეხები, ახლა რომე ავთანდილ და ერასტიმ დანებეს, ღულაძე ბასილი, დალაძი პაპუნა, ფარეში ზურაბა, ესენი თავეთის მამულითა, სამკვიდრო მიცემული ზეარი, ესები სანამდინ ცოცხალი იყოს ფარე მუზ, იმსახუროს და ეჭიროს, და რახაც (sic) სოფელმან არ დაიშალოს და ფარე მუზ აღარ იყოს, ავთანდილ და ერასტიმ შუა გაიყონ. როინს წელი არა აქს. წყლისა ასე იქნას: რაც ეს ფარე მუზს უჭირავს, ავთანდილ და ერასტიმ უნდა შუადამ მოურწყონ. მას უკან შუა ძმათ შუა გაიყონ. ფარე მუზის ზეარი როინ და ძმებმან უნდა მოურწყონ. მას უკან სხვა ზურები მორწყონ, მერმე რაგინ მოსდევან, წყალს ნურავინ გაყიდის. მაისის იმ, ქას უზ. მათეს შვილის ევნახიც საერთოთ უნდა მოარწყვევინონ. მეფე ბაქარ.“ (ბრძანება მეფე ბაქარისა).

(საქ. სიდ. ტ. II. 1719. მაისის 12. გვ. 309. № 254.)

„ქ. ჯავახიშვილი ფარემუშ და მისი შეილნი ორინ, ავ-  
თანდილ და ნაბერალი ხოვლეს წყალზედ ლაპარაკობდენ. უ-  
რემუშ ამას ანბობდა: „რაღაც ჩემთვინ სამყვიდროო ექვსი კომლი კა-  
ცი შეილებისაგან მოსამართლეთ მომცესო, იმისი წყალიც უნდა გამი-  
რიცდესო, რომე ლაპარაკი აღარ შეგვექნასონ“. ამ ამისი ასრე გვიბა-  
ნებია: რაც ხოვლეს წყლის წილი ფარემუშიშეილებს ნათესავებში ჰქონ-  
დეს, იმ თავეთის წილის წყლიდამ ერთი დღე როინ, ორი დღე ეფონ-  
დილ და ნაბერალმან, ფარემუშის ექვს გლეხს დაანებონ, რომე იმითი  
მორწყონ. მერმე როინის საუფროსომ გლეხმან და მანთაშაშვილზედ  
რომ ენახი დასტებია, იმდონი ვენახი მორწყონს. მას უკან ავთანდი-  
ლისა და ნაბერალისა გისამყრელო გლეხები რომ არის, იმათ მორწყონ.  
მას უკან ძმაზედ გაიყონ და ისრე იდიონონ. რა ხნით ენახების რწყვა  
გათავდეს, მიწებიც ასრე ამრივად მორწყონ. მეცე ბაქარ.“

(განჩინების წიგნი მეცე ბაქარისა ფარემუშ ჯავახიშვილის და მისი  
შეილების დავის გამო. საქ. სიდ. ტ. II, 1717—1719. გვ. 308. № 253.)

„გიბოძეთ... მათის უმაღლესობისაგან პირის სანახავად ბოძებული  
ჩენი საკუთარი სოფული ბორჩალოში ახილო თავისის სამართლიანის  
სამძღვრებითა.... თავისის მოითა, ბარითა, ზანგანის არხითა და  
ყოვლის სამართლიანის სიმძღვრებითა“. (საქ. სიდ. ტ. III, 1800 წ.  
1/III. გვ. 343. № 360.)

„1782, ენენისთვის 12.

ქ. ერთობით ახალსოფლელნი და ერთობით კვარხითელნი, სოფ-  
ლის სარწყავს წყლის რუხედ ლაპარაკობდნენ: ამათ ძველათვან ორი  
რუ ჰქონიათ, ერთი მეშვე (?) რუ და მეორე ზელდულეთის რუ,  
ორის რუს წყალზე ახალსოფლელნი კვარხელებს ამას ელაპარაკე-  
ბოდენ, რომ ორი წილი წყალი წვენ ახალსოფლელებმა უნდა წამო-  
ვიყვანოთოთ და მესამედი წყალი თქვენ კვარხითელთ უნდა წამოიყვა-  
ნოთო. კვარხითელნი ამას უბასუხებდენ ახალსოფლელთ, რომ ძველათ-  
ვან ამ ორის რუს წყლიდამ ნახევარი ჩენი ყოფილა და ნახევარი თქვენ  
ახალსოფლელებისათ. ჩენ ბატონიშვილმან ვახ ტანგ, ჩენონან საქარ-  
თველოს მსაჯულთ შეკრებულების თანადასწრებით, ამათი ეს ზემო სიჩი-  
ვარი მოვისმინეთ, თუ(მ)ცა წყლის საქმეზე მეტნაკლებობაზე ლაპარა-  
კობდენ, მაგრამ ჩვენ ახლა ისე გაუსამართლეთ, რომ ამ ზემო-ხსე-  
ნებულს ორს რუში რაც წყალი შემოვიდეს, იქიდ კვარ-  
ხითის თავს სწორეთ შუა უნდა გაიყოფდეთ, ნახევარს  
წყალს თქვენ ახალ სოფლელნი წამოიყვანდეთ და ნახე-  
ვარს წყალს თქვენ კვარხითელნი წამოიყვანდეთ. ამაზე  
მეტ-ნაკლებით ერთმანერთზე წყლის წამოყვანა არ  
იქნება და, როდესაც ამ ორს რუს გაკეთება უნდოდეს,  
ასრეთვე საერთოთ უნდა გაკეთებდეთ და მერუესაც  
ერთათ უნდა დაიჭრდეთ, და თუ ვისმე ამ ზემო-ხსენებულის ორის



რუს წყალზე მოლაპარაკე გაგიჩნდესთ, სამართლით ოქვენ ორმა სო. ფულმა უნდა გასცეთ პასუხი და ამ წყლის გამოისათ ერთმანერთში მტკიცე პირობის დადებით წერილი უნდა დასდოთ, რომ გაყოფილ წყალზე, რომელმაც ნაკლებობა იხმაროს, გარდაახდევინოთ...“

(განჩინების წიგნი ახალ სოფლელების და კვარხითელნის დავის გამო წყალზე. საქ. სიძ. ტ. III, 1782 წ. 12/IX. გვ. 508—509. № 528.)

საინტერესოა იულონ ბატონიშვილის ბრძანება, რომლითაც ის ბორჩალოს არხზე ზრუნავს ისეთ არეულ დროში, როგორიც იყო გიორგი XII მეფობის უკანასკნელი წელი.

„...ამ ბაიდრელებს ვის ამწურალებ, რომ ერთხელ იქ არ გავილი და იქურობაზედ თვალ-ყური არ გიჭირამს? თუ ჩვენ გვამწყრალებ, რათ გვამწყრალებ? ახლა შენ ბაიდარში უნდა ჩახვიდე და არ ხი ამჟ შავებინო. ჩვენც ჩვენის მაგის ბატონის მეფისათვის წიგნი მიგვიწერია და მაგ არხის სამუშაოთ გატეხილ ხიდს ზეგით მუშა ვთხოვეთ, ლოთით იმედიცა გვაქვს, რომ გვიბოძებს და ჩვენის ძმის ალექსანდრესათვისაც წიგნი მოგვიწერია, რომ შულავრიდამ მუშას მოგვახმარებს. ახლა, როგორათაც შენის ერთგულობისაგან ვიყოდეთ, ისე ბეჯითათ უნდა მოიკეცე და ეგ არ ხი გამოატანინო. ჩვენც აქც ცოტა რამ სამუშაო საქმეზი გვაქვს და ამას რომ მოვრჩებით, ლოთის მოწყალებით, ჩვენც მაინთ წამოვალო...“

შენ ჩვენს ჩამოსულას ნუ მოუცდი, რაც შეგეძლოს, არ ხი ამჟ შავებინე, და(ა) შურე დრო ზედა.“

(წერილი იულონ ბატონიშვილისა იოსებ მიშკარბაშთან. საქ. სიძ. ტ. III, 1799. მარტის 29. გვ. 81. № 105.)

წყალი ყიდვა-გაყიდვის აბიექტსაც წარმოადგენდა:

„... მოგყიდვეთ ჩვენი მმკვიდრის ყმის ჯაჯიასშეილის გიორგის და პაპუნას ვენაჯი ხოვ ლეს, რასაც შენი ვენაჯი ჩამიატანს წევეავლამდინ, უწყალოთ მოგყიდვეთ, შენის წყლით უნდა მორწყვიდე.“

(საქ. სიძ. ტ. II, 1727 წ. 15/III. გვ. 339. № 290.)

„... მოგეც და მოგყიდე უმამულოთ, უწყლოთ, უმიწოთ, უვენახოთ და უარარაოთ ბუჩქური გოგინა...“

(დოკუმენტ. 1673 წ. 2/XII. გვ. 49. № 72.)

ეს საკითხი შესაფერ სპეციალისტთა მიერ ცალჭე უნდა იქნას განხილული, მაგრამ აქ თუ მოვიტანეთ, იმდენად, რამდენადაც სარწყავი არხები დაკავშირებულია ნიგვზნარებთან, თუთნარებთან და სასარეებთან და მათ შემდგომ განვითარებასთან.

ერთი საკითხი-დაგვრჩი განსახილველი, საქართვის თუ არა აღმოს. საქართველოში აღდგენილ და განვითარებულ იქნას ეს ტიპის მეურნეობისა?

ძელად საქართველოში სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მევენახეობის მოთხოვნილებამ აიძულა ჩვენი მეურნე ტყის მეურნეობის თავისებური

ტიპი შეექმნა ჭალის ტყის ფარგლებში, რომლის გარეშე, როგორც დავინახეთ, შეუძლებელი იყო მევნენახეობის რაციონალურად წარმოება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში (ჭართლში, გარე-ჯახეთში, ბორჩალოში და სხვ.), რადგან ენახი აქ დაბლარით და წინათაც დაბლარი იყო.

სსრ კავშირის სახკომასაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის ოქტომბრის 15-ის დადგენილება „საქართველოს სსრ ქართლის სოფულის შეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეზოლეობისა და მევნენახეობის, შემფერონი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ ისტორიული ხასიათის დადგენილებაა, რომელმაც მთლიანად უნდა შესცვალოს ქართლის თანამედროვე იერი და ერთ მთლიან აყვავებულ და დოვლათიან ბალ-წალკოტად გადააქციოს.

ამ დადგენილებით ნავარაუდევია, რომ მეხილეობის დარგში: „1945 წლის დამლევისათვის ქართლის რაიონებში ხეხილის ნარგავების ფართობი აყვანილ იქნას 45 ათას ჰექტარამდე, რისთვისაც 1941—1945 წლების განმავლობაში გაშენდეს ახალი ხეხილი 28 ათას ჰექტარ ფართობზე“.

მევნენახეობის დარგში „1945 წლის დამლევისათვის ვენახების ფართობი კოლექტურნეობებში აყვანილ იქნას 10.658 ჰექტარამდე, რისთვისაც 1941—1945 წლების განმავლობაში გაშენდეს 8372 ჰექტარი ახალი ვენახი“.

ბოსტნეულის ნათესები კი 1945 წლისათვის აყვანილ უნდა იქნას 6.500 ჰექტარამდე.

1941—1945 წლებში გაყვანილ უნდა იქნას სარწყავი არხები, „რომლებიც უზრუნველყოფენ 27,6 ათასი ჰექტარი ახალი მიწების მორწყავას“ და გარდა ამისა „3 ათასი ჰექტარი დაპაობებული მიწების ამოშრობას და 12,4 ათას ჰექტარ ფართობზე არსებულ სარწყავ სისტემათა რეკონსტრუქციას“.

ამ უზარმაზარი მეურნეობის მოსამსახურებლად საჭირო იქნება ყოველწლიურად 10—15 ათასი ჰექტარი ტყე. ქართლის ვაკეზე კი ასეთი ფართობის ტყეები არა გვაქვს.

გადაუდებელ ამოცანად ისახება, რომ ქართლის ვაკეზე აღდგენილ იქნას ტყეები: პირველ რიგში ჭალის ტყეები და ვაკეთა ტყის ტიპები. მაგრამ რა სახით აღდგეს? რასაკვირველია, აქ საჭირო არ არის მათ მივცეთ პირველყოფილი სახე, არამედ შესაძლებელია მათი აღდგენა განახლებული სახით.

ჭალის ტყეები პირველ რიგში უნდა იქნას აღდგენილი, ხოლო სადაც გადარჩენილია, დაცული და მოვლილი მტკვრის მთელს გაყოლებაზე ყარია—რუსთავიდან ვიდრე ტაბისქარამდე, ყველა მის შენაჯაჭებები: მაშავერზე, ალგეთზე, იორბე, არაგვზე, ქარეთზე, ლეჩურაზე, მეჯუდაზე, დიდია და პატარა ლიახვზე, ნაწილობრივ სურამულასა და ფურსწყალზე.

ამ ტყეების ხასიათი ძირითადად უნდა იყენეს სასარე და ამავე დროს ისინი უნდა წარმოადგენდნენ ტყე-ბაღებს.

ჭალის ტყეში უნდა აღვადგინოთ ვერხვი (*Populus hybrida* MB), ოფი (*Populus nigra* L.), ტირიფი (*Salix caprea* L., *Salix alba* L.)—ესენი ჩქარა მოზარდ სასარე მასალის მომწოდებელი იქნებიან. მუხა (*Quercus longipes* Stev.), თელა (*Ulmus campestris* L.)—ესენი სარს მოგვცემენ 1—2 წლით გვიან, გიდრე პირველი, მაგრამ სამაგიეროდ სამარგილე საიარალე მასალად უკეთესი არიან და მათი სარიც უფრო ხანგრძლივია. ამ ტყეებში საპატიო აღვილი უნდა

დაეთმოს ქართლისათვის ისტე აპრობირებულ ჯიშს, როგორიცაა თეთრი აკაკია (Robinia pseudoacacia). შესაფერ მყუდრო აღგილებში გაშენდება კაკალი (Juglans regia L.), თუთა (Morus alba L.), როგორც სასარე და აბრეშუმის ჭიის საკვების მომცემი. ესენია პირველი რიგის და სიმაღლის ხეები. შეორე რიგის ხეებად უნდა დავრგოთ ვაშლი და მშალი; რასაკირველია, პანტა და მაჟალო ბევრგან არის თავის ველური სახით, როგორც სანამყენე მასალის გამოსაყვანად თესლის მომცემი, მაგრამ ამავე დროს ზოგიერთი აღგილობრივი გამძლე ჯიშების ჩარევაც ზედმეტი არ იქნება (აბილაური, კიტრა, ბორა, ხანდაკურა, ხეჭვური, გოხა-მსხალი და სხვ.), ტყემალი (Prunus divaricata Led.), ბალი და სხვ.

ქვეტყვში პირველ რიგში გამოყენებული უნდა იქნეს საკალათე ტირიფების მთელი დიდი ასორტიმენტი (ვაზის შეყველვა, წალმის შეკონვა, კალათი, გოდორი, ლასტი და სხ.), ტყის თხილი (Corylus avellana L.) წნევლის მისაღებად და ყუთების პწყალად, შვინდი (Cornus mas L.), შვინდ-ანწლა (Cornus australis C.A.M.)—აგრეთვე წნევლად. კვრინჩის შემნაცვლელად, როგორც ხილეული, ღოლონშო.

საჭიროა თუ არა საჯალჯე ჯიშების შეტანა და აღდგენა ამ ტყებში? ამჟამად მათი ხელოვნურად გაშენება აუცილებელი არ არის. მთა უმეტეს ჭალის ტყეში ბუნებრივადაც აღდგებიან და ზოგჯერ შესაძლებელია მათ შევებრძოლოთ კიდეც, როგორც საწყნელე და საწყალე ჯიშების ხელის შეშლელთ, ზოგან კი, აღგილმდებარეობის მიხედვით, შესაძლებელია მთი ხელოვნურად გაშენება; ესენია ქაცვი (Hippophaë rhamnoides L.), ჩიტავაშლა (Pyracantha coccinea Romm.), კვრინჩი (Prunus spinosa L.), ფშატი (Elaeagnus hortensis MB) და სხვანი. კუნელი (Crataegus monogyna Jacq.) და შავი კუნელი (Crataegus melanocarpa MB) კი ამ ტყებიდან სიცხებით უნდა გამოირიცხონ, როგორც კუნელა ჭიის საბუდარნი.

საჭიროა თუ არა ლიანების ხელოვნურად ოლდგენა? არა, ტყის განვითარების მსვლელობაში თვითონ აღსდგებიან; სადაც ეს საჭიროა და აუცილებელი, დატოვებულ უნდა იქნეს, სადაც არა, მათ უნდა ვებრძოლოთ კიდეც.

კველა ჩამოთვლილ მდინარეთა ნაპირზე ეს ტყე ძირითადად ძეველს ნაალაგევზე უნდა აღდგეს. ეს საჭიროა არა მარტო სასარედ, არამედ თვით მდინარის ნაპირის გასამაგრებლად და იმ უზარმაზარი რიყების ასათვისებლად, რომელიც ჩევნი მიწების ფონდში მძიმე ბალასტად არის. მდ. არაგვის, მდ. ლიახვის, მდ. იორის რიყე მრავალ აღვილას რამდენიმე კილომეტრის სიგანის მქონეა. პირველ რიგში ეს რიყენი უნდა იქნას გატყვევებული. გატყვევების დროს ძირითადად უნდა მიემართოთ აღგილობრივ წესს, განსაკუთრებით ვერხვებისა და ტირიფების გაშენების დროს: 2—2½, მ სიგრძის და 6—12 სანტ. სიმსხოს ტოტით დარგვას.

გარდა ჭალაში არსებული სასარეებისა და საკაფეებისა, ძეველადვე არსებობდა ეგრეთწოდებული სანაკვეთე სასარეები, რომელიც უყველი სარწყავი ნაკვეთის ირგვლივ იყვნენ მოთავსებულნი (იხ. ნასყიდობის წიგნი, დოკუმ. 1680 წ. 1/V. გვ. 64. № 93). ეს სასარენი, ქართლის სანახებში დღეს გაერცელებულ მამულთა ირგვლივ გაშენებულ სასარეთა ანალიზის შედეგად,

შესდგებობის ტიპითისა და ვერხვის ნარგაობათაგან. ცოტა ადგილი არ ეჭირა აგრეთვე ფშატს (*Elaeagnus hortensis* MB), რომელიც ჩვეულებრივად დაბალ-რად ირგვებოდა (1 მეტრის სიმაღლე) და ამასთანივე ახლო-ახლო, რაც ერთსა და იმავე დროს ასრულებდა ორ მოვალეობას: ცოცხალი ღობისას და სასარესას; ირგვებოდა აგრეთვე თუთა (*Morus alba* L.). ეს ჯიშები, რასაკვირველია, არც ახლა კარგავენ მნიშვნელობას, მაგრამ მათი გამდიდრება შეიძლება სხვა ჯიშე-ბითაც და პირველ რიგში თეთრი აქაციით (*Robinia pseudoacacia*), ხოლო მაშინ მისი ნაბარტყის წინააღმდეგ საჭირო იქნება ერთგვარი ზომების მიღება.

რასაკვირველია, ქართლის მეურნეობის დასაქმაყოფილებლად საქმარისი არ იქნება ჭალის ტყეების აღდგენა. მას სასარე და სხვა მასალა გაცილებით დიდი რაოდენობით სჭირდება და საჭიროა ხელოვნურ სასარეთა, ქარის სა-ფართა და ტყის ზოლების მასივების შექმნა თვით ქართლის ვაკეზე, რასაც აგრეთვე მელიორაციული მნიშვნელობაც ექნება (ქარი, ნიაღვრები და სხვ.).

ასეთი სასარეებისათვის და ტყე-ბაღების მასივების გასაშენებლად პირ-ველ რიგში საჭიროა გარეულეს ქართლის არხების ნაპირები: ღოღლაურის, სერა-ქარელის, სალოვინის, ტირიფონის, ქენის, ყარაიის და სხვ. არხებისა. არხის სანაპიროთა სასარეების შემაღენლობაში უნდა შედიოდეს: მდინარის პირისეკე ტირიფები, შემდეგ ვერხვი, გარეთ მუხა, თუთა, თეთრი აქაცია. ქვე-ტყეში შესაძლებელია შევიყვანოთ საწენელე მასალისათვის ტირიფი (სამანეულე), თხილი, შეინდ-ანწლა, შეინდი და ამგვარი. ზოლი საჭიროა იყოს 50—100 მ სიგანისა, ასეთივე ზოლი უნდა გაძყვეს გამნაწილებელ არხებსაც, სადაც არხის ნაპირიდან რიგით გაპყვება ტირიფი, ვერხვი, აქაცია, თუთა, კაკალი (*Juglans regia* L.). ქარსაფარმა ტყე-ბაღებმა სიგრძე-სიგანეზე რამდენიმე ადგილას უნდა გადაპყეოთს მთელი ქართლი. ამ ზოლთა სიგანე 200—300 მ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამ ტყე-ბაღის შექმნის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ ტყეთა გენეზისი, რომელიც ოდესლაც აქ, ქართლში და საზოგადოდ აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული და დღეს კი აღარ არის. ძირითადი შემაღენელი ჯიშები ამ ტყეებისა შემდეგია:

მუხები (უმთავრესად *Quercus iberica* Stev. და აგრეთვე *Quercus longipes* Stev.), იფი (*Fraxinus excelsior* L.), ოქლა (*Ulmus campestris* L.), ნეკერ-ჩხალი (*Acer campestre* L.). მეორე რიგის ხეებია: მაჟალო (*Malus communis* L.), პანტა (*Pyrus communis* L.), თიმელი (*Sorbus torminalis* Crantz.), შავი კუნელი (*Crataegus melanocarpa* MB), ბალამწარა (*Prunus avium* L.), ტყემალი (*Prunus divaricata* Led.) და სხვ.

ქვეტყის ძირითადი წარმომადგენლებია: შეინდი (*Cornus mas* L.), წითელი კუნელი (*Crataegus monogyna* Jacq.), შეინდ-ანწლა (*Cornus austalis* C.A.M.), შავი კუნელი (*Crataegus melanocarpa* MB), თხიფსელა (*Ligustrum vulgare* L.), ჯონჯოლი (*Staphylea colchica* Stev., *St. pinnata* L.), ჩიტავშლა (*Pyracantha coccinea* Roon.), კვრინჩი (*Prunus spinosa* L.), ღიძეგული (*Samucus nigra* L.), ძახველი (*Viburnum Opulus* L.) და სხვა მრავალი. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეტყის მიხედვით ეს ტიპი საქმარისად მდიდარი იყო, ზოგ ნებრიან ადგილებში ქაცი და მისგვარნიც იშვიათნი არ იყვნენ.

საქოროა თუ არა ეს ტყეები უკლებლივ აღდგენილ იქნას თავისი შემატებული გენლობით? რასაკირველია არა, მაგრამ მრავალი კი ამ სიიდან უნდა გამოვიყნოთ. პირველ რიგში ესენია: მუხა, თელა, იჯნა<sup>1</sup>, მაჟალო, პანტა, ბალამწარა ტყემალი. ხოლო მაჟალოსა, პანტასა და ბალამწარის ნაცვლად მრავალ ადგილას უნდა შევიტანოთ გაულტურებული, მაგრამ გამძლე ჯიშები; ვაშლებიდან: აბილაური, კიტრა, ბორა, ხანდაკურა, კეხურა და მის მაგვარნი; მსხლებიდან: გოხა, ხეჭეჭური, ზაფა მსხალი; ბალთამაგვარებიდან: ქართული ბალი, ქართული ალუბალი, ქლიავის მაგვართავან — ქანქური, დამასხი, ტყემალი, ალუჩა, ღოლნოში და სხვ. ამ მხრივ ჩვენ ტიპიური ტყე-ბალი გვექნება. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დავიწყებული კაკალი (*Juglans regia L.*) და განსაკუთრებით მდიდარი ნიადაგების არებში ამ ზოლებში უნდა შეიქმნას კაკლის მასივები „ნიგუბნარები“, რომლითაც ასე მდიდრები ვიყვაით წარსულში და რომელსაც ხალხის კვების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ქვეტყეში სავსებით უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი კუნელი და კოწახური (*Berberis*), როგორც გამავრცელებელი და საბუდარი მავნებელთა და ავადმყოფობათა. ქვეტყის ჯიშებიც მათი გამოყენების თვალსაზრისით უნდა იქნეს შერჩეული, ასეთნია: თხილი, შეინდი, შეინდ-ანწლა, ტირიფები (მანჯული და საყუთე პწეალი). საკვებიდან აუცილებლივ სავალდებულო და საჭიროა შევიტანოთ ორივე ჯონჯოლი, როგორც *Staphylea pinnata L.*, ისე *Staphylea colchica Stev.* ესენია ძირითადი ადგილობრივი ტყის შემაღებლობიდან. რასაკვირველია, ცოტა ადგილი არ დაეთმობა ახალ ჯიშებს, პირველ რიგში აკაციას და აგრეთვე ზოგიერთ წიწვანებს, ისეთს, როგორიც არის ელფარის ფეხვი და სხვა მის მაგვარნი, რომელიც ლანდშაფტს შეალამაზებენ კიდეც, განსაკუთრებით ზამთარში.

ასეთი ტყე-ბალები ტაშისქარიდან არაგვის ხეობამდე უნდა გაკეთდეს 4 ზოლი და სიგანეზე კი 10—12 ზოლი, ე. ი. დაახლოებით ყოველ 8—10 კილომეტრის შემდევ. შესაძლებელია ზოლები დაახლოებულიც იყვეს, ეს დამოკიდებულია რელიეფზე და თვით მეურნეობის მოთხოვნილებაზე. გარდიგარდონ სიგანეზე გავლებული ზოლები დაცერებული უნდა იქნეს ჩრდილო-აღმოსავალე-თიღიან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, რათა, ერთის მხრით, შეაკავონ ჩრდილოეთის ქარები და, მეორე, მხრით კი, აღმოსავლეთის ქარები. სიგრძის ზოლებს კი უნდა ექნეთ ასეთივე გაღახრა სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

ამ ზოლთა გარდა უნდა შეიქმნას ქარსაფარი და ქარსატეხი ზოლები, რომელებიც ამ მთავარ ზოლებს შორის იქნება მოქცეული. რასაკვირველია, ამ წერილის მიზანი არ არის ამ ზოლებისა და ქარსაფარის ტექნიკური, სამუშაო გეგმის მოცემა. ჩემი მიზანი იყო მხოლოდ ის, რომ მეჩევნებინა ასეთი ზოლების

<sup>1</sup> იმპი ტრიად პატიკვემულია როგორც საიარალე ჯიში, ურმის ხელნებად, გუთნის ყელად და სხვ. საშეშედაც ძვირობასად სთვლიან.

„საწყალსა კაცასა ვინ მისცემს აღების ღამეს ღვინოსა,  
დიკისა აურსა საჭმელად, ი ფრისა შეშას საწველად“. (25)

და ტყის ტიპის შექმნის აუცილებლობის ისტორიული, ბუნებრივი და ეკონომიკური მიური საფუძველები.

ამგვარად: ა) დღევანდელ ქართლის ვაკეზე ფართოდ იყო გავრცელებული ჭალისა და ვაკის ტყეები.

ბ) ჯერ კიდევ ჩვენს ისტორიულ წარსულში, განსაკუთრებით მევენახეობასთან დაკავშირებით, ამ ტყეებში შექმნილი იყო თავისებური ტიპი ტყის მეურნეობისა: სასარე, საჯელჯე, საკაფი, უკაფი, საშეშე, სასხლავი და შესაძლებელია აგრეოვე ყოფილიყო ცალკე ტიპი საკონავისა.

გ) ამჟამად ვაკის ტყეები და ჭალის ტყეები მოსპობილია. სასარე მეურნეობის შექმნა ფრიად ნელი ტემპით მიმდინარეობს. საჭიროა აღდგენილ იქნას ჭალის ტყეები, შექმნას ტყე-ბაღების ზოლები. გატყევდეს მთავარი და განმანაწილებელი არხების ნაპირები. ამ გატყევდასათვის გამოყენებულ უნდა იქნას ძირითადად ადგილობრივი ჯიშები და იგრძელვე ისეთი ეგზოტინი, რომელიც ჩქარი მოზარდი არიან და ჩვენში კარგად იზრდებიან. ზოგი ადგილობრივი ჯიში კი—კუნელი, კოჭახური და მისთანანი—სრულიად უნდა გამოირიცხოს გასაშენებელ ჯიშთა სიიდან.

Акад. Н. КЕЦХОВЕЛИ

## ПРОШЛОЕ ПРИБРЕЖНЫХ ЛЕСОВ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ И К ВОПРОСУ ОБ ИХ ВОССТАНОВЛЕНИИ

На равнинах Восточной Грузии в районах распространения степных формаций, хорошо выражены также формации прибрежных лесов. Эти последние являются аналогами тугайных лесов, распространенных в среднеазиатских степях и в полупустынях. Прибрежные леса распространены обычно на первых и вторых береговых террасах.

В прошлом прибрежные леса создавали значительные массивы по берегам реки Куры и ее притоков (Алазани, Иори, Кциа, Машавери, Арагви, Ксани, Дидалияхи, Патара Диахви и пр.). Пока для добывания дровяного и хозяйственного леса эксплуатировались предгорные леса, прибрежные леса находились сравнительно в хорошем состоянии, но с уничтожением предгорных лесов началось истребление прибрежных лесов, в особенности в XIX веке и в начале нынешнего столетия, когда они попали в руки частников, которые совершенно не считались с государственными интересами и соображениями. Между тем, в стародавние времена указанные прибрежные леса были объектом заботливого ухода и охраны, поскольку от их состояния в значительной степени зависело благо-

получение сельского хозяйства (главным образом виноградарства) равнинной Грузии. В основном эти леса давали хозяйственный материал, идущий на нужды виноградников (таркалы, колья, изгородь), а также изделийный материал для ароб, пахотных орудий и их частей.

В большинстве случаев эти леса были излюбленным местом царей для охоты и с этой целью в определенных пунктах (в сел. Начармагеви, около Гори, в Карайзах, в Бостан-калаки и др.) были выстроены охотничьи дворцы. Для приема и охраны царских охотничих угодий назначались специальные должностные лица — «мишкарбаси» (егермейстеры). Действовавшим в то время законодательством (в частности, законы Вахтанга VI) «лес, вода и пастбища» были объявлены государственным достоянием.

Наши предки — грузины прекрасно учитывали всю значимость и экономическую эффективность лесов, поскольку с ними теснейшим образом было связано сельское хозяйство, особенно виноградарство, которое достигало по тем временам высокого уровня развития, а в самом лесном хозяйстве практиковалась вполне определенная лесохозяйственная система.

Изучение древнегрузинских жалованных, уставных грамот, царственных и запродаенных записей и др. юридических документов дает наглядную картину о характере лесного хозяйства в прошлом. В исторических документах<sup>1</sup> еще XIII и XIV в. в. имеются ясные указания на наличие в системе хозяйства прибрежных лесов отдельных типов. Каждый из них требовал своеобразного, обособленного ухода, имел свое назначение и формировался на протяжении ряда веков. В лесах существовали следующие виды хозяйства: «сасаре», «указани», «сакапани», «сагобави», «саджалдже», «сашеше», «саконави» и др.

1. «Сасаре» (буквально: лес предназначенный для таркалов). Этот тип хозяйства имел в виду изготовление таркалов и кольев, необходимых для виноградных лоз (в качестве боковых опор). Для этой цели использовались следующие древесные породы: тополь

<sup>1</sup> 1. Грузинские древности т. I, под редакцией Е. Такайшвили, 1920 г. Тбилиси, второе изд., см. док. №№ 117, 122, 143.

2. Грузинские древности т. II, под редакцией Е. Такайшвили, 1909 г. Тбилиси, см. док. №№ 36, 40, 47, 52, 76, 100, 151, 156, 170, 183, 186, 189, 231, 260, 278, 305, 346.

3. Грузинские древности т. III, под редакцией Е. Такайшвили, 1910 г. Тбилиси, см. док. №№ 222, 528 и др.

4. Документы по социальной истории Грузии, т. I. Крепостнические отношения XV—XVIII в.в. под редакцией Н. Бердзенишвили, 1940 г. Тбилиси, см. док. №№ 93, 173, 186, 229, 231, 250, 260, 262, 274, 432, 437, 448.

(*Populus hybrida MB*), ива (*Salix alba L.*, *S. caprea L.*), дуб (*Quercus longipes Stev.*), вяз (*Ulmus campestris L.*), шелковица (*Morus alba L.*) и др. Каждое дерево подрезалось на высоте 2,5—3 метра и это безвершинное дерево, периодически, через каждые 2—5 лет давало от 10 до 30 таркалов (безвершинное хозяйство). Зачастую на этих участках производилось искусственное выращивание наиболее быстрорастущих и продуктивных (в отношении выхода таркалов) пород. Различались два вида „сасаре“: 1) существующие в прибрежных лесах, 2) разведенные вокруг культурных участков, вдоль оросительных каналов и вообще в поливных угодьях. Строго запрещалась пастьба скота.

2) „Уканчи“ (не подлежащий вырубке мачтовый, высокоствольный лес). Под этим наименованием подразумеваются такие участки прибрежных и равнинных лесов, где деревья были пущены в высоту и выращивались специальные породы, дающие издельный материал (для ароб и пахотных орудий), а также строевой материал (конь крыши, столбы). В таких лесах нижние ветви отсекались, чтобы дать возможность деревьям свободнее расти в вышину. Подлесок вырубался. Здесь выращивались и выхаживались главным образом: вяз (*Ulmus campestris L.*), ясень (*Fraxinus excelsior L.*), дуб (*Quercus longipes Stev.*, *Q. iberica Stev.*) и др.

3. „Сакапчи“ (подлежащий вырубке)—представлял собою дровяной лес (древа и хворост), но из срубного материала отбирались таркалы и колыя. Здесь росли по преимуществу: ясень, вяз, дуб, клен, частично: осина, ива, боярышник.

4. „Сагобави“ (изгородный—участок, где выращивался материал для изгородей). Здесь деревья первой категории оставлялись только местами. Главное внимание уделялось разведению и уходу следующих кустарников, дающих прутья для плетней и других хозяйственных надобностей: лещина, кизил, некоторые ивы и др. Прочие породы либо вырубались, либо выкорчевывались, чтобы не мешали основным породам. Пастбища на них скот строго воспрещалось. Вырубка участков производилась через каждые 1—3 года.

5. „Саджалдже“ (отведенный под колючие кустарники). Этот участок давал материал для обыкновенных изгородей, обнесенных колючей хворостиной. Здесь свободно росли: облепиха, терн, барбарис, боярышник, держи-дерево. Участок подвергался вырубке периодически через каждые 3—5 лет. Пастбища на нем скот строго запрещалось.

6. „Сашеше“ (лровяной) участок, отведенный под заготовку дров и хворостины. Здесь не было строгого запрета пастьбы скота.

7. „Саконави“ (обязочный). На этих участках, дающих в основном обязательный материал, размножали разные ивы, лещины, кизил, глог и пр. Пасты скот строго запрещалось. Вырубка производилась ежегодно.

Указанный нами выше тип лесного хозяйства надо полагать возник и сформировался значительно раньше XIII и XIV веков, от которых, как сказано выше, дошли до нас письменные памятники. Наименования разновидностей этого хозяйства, прочно вошедшие в юридические документы, о которых упоминается в указанных памятниках, с другой стороны, самые термины „сасаре“, „саканчи“, „укалчи“ и пр., представляющие собою стабилизовавшиеся юридические категории, дают основание думать, что обсуждаемый нами вид лесного хозяйства возник за много веков раньше XIII-XIV столетий, а м. б. даже в первые века нашего летоисчисления, тогда как в Европе указанный вид хозяйства не только в равнинных лесах, но и вообще в лесах, появляются только в XV-XVI в. в. и то лишь урывками, получив распространение со второй половины XVIII столетия.

В настоящее время, благодаря отсутствию ухода и небрежному отношению, прибрежные леса совершенно опустошены, а между тем реконструированное сельское хозяйство требует огромнейшего количества таркалов и кольев. Постановление Совнаркома СССР и ЦК ВКП (б)<sup>1</sup> предусматривает троекратное увеличение существующих площадей под виноградники и фруктовые сады Карталинии, на что потребуется ежегодно не менее 50 мил. кольев и таркалов. Для удовлетворения этой растущей потребности необходимо не только полностью восстановить прежние прибрежные леса, но отвести и новые участки. На восстанавливаемых участках должны быть разведены как ранее существовавшие породы, так и новые экзотические и быстрорастущие. Без восстановления указанных прибрежных лесов не представляется возможным обслуживание реконструированного хозяйства равнинной Карталинии. Работа по восстановлению должна вестись на современных научных началах, с учетом и критическим использованием прежней богатой практики и опыта.

---

<sup>1</sup> О мероприятиях по дальнейшему подъему сельского хозяйства, в особенности промышленного плодоводства и виноградарства, в районах Карталинии Грузинской ССР.

Постановление Совета Народных Комиссаров Союза ССР и Центрального Комитета ВКП (б) 1940 г. 15 октября.

*Academ. N. KETSKHOVELI*

## RIPARIAN FORESTS OF GEORGIA IN THE PAST AND THE PROBLEM OF THEIR RESTORATION.

Riparian forests are very distinct on the plains of the Eastern Georgia. They are analogous to the „tugai“ forests that occur in the steppes and semi-deserts of Middle Asia. Riparian forests usually occupy the first and the second terraces.

Formerly riparian forests covered considerable areas along the river banks of the Eastern Georgia, but during recent years they suffered greatly and in many places have been destroyed. In the remote past riparian forests were preserved carefully because the farming on the Georgian plains depended largely on their state. Those forests yielded mainly the material for the needs of farming: making of „arba-s“ (two-wheeled cart common in Georgian villages), stakes and hedges for vineyards and farm implements.

Our forefathers were aware of the importance and economic efficiency of riparian forests for agriculture, especially for viticulture. That was the reason of the high, for those times, development of farming and of a definite sylvicultural system being in vogue.

The study of ancient Georgian muniments, charters of regulations, various records, deeds and other juridical documents allowed us to acquire a distinct idea of forestry of those days. The historical documents of the 13-th and 14-th centuries<sup>1)</sup> contain many indications as to the presence of distinct types in riparian forests. Each type needed some special care, had its own functions, and the process of its formation lasted for many centuries. The following types existed in those forests: „sasare“, „ukapi“, „sa-kapi“, „sagobavi“, „sadjaldje“, „sasheshe“, „sakonavi“ etc.

1. „The Georgian Antiquities“, v. I, edited by E. Takaishvili, 1920, Tbilisi, the 2-nd edition; see doc. 117, 122, 143.

2. „The Georgian Antiquities“, v. II, edited by E. Takaishvili, 1909, Tbilisi. See doc. 36, 40, 47, 52, 76, 100, 151, 156, 170, 183, 186, 189, 231, 260, 278, 305, 346.

3. „The Georgian Antiquities“, v. III, edited by E. Takaishvili, 1910, Tbilisi. See doc. 222, 528 etc.

4. The documents on social history of Georgia. 15—18 centuries, edited by N. Berdzenishvili, 1940, Tbilisi. See doc. 93, 173, 186, 229, 231, 250, 260, 262, 274, 432, 437, 448.

1. „Sasare“ (literally from Georgian: needed for the stakes). This type of the forest was intended for the production of stakes for vines. For that purpose the following trees were used: *Populus hybrida L.*, *Populus nigra L.*, *Salix caprea L.*, *S. alba L.*, *Quercus longipes Stev.*, *Ulmus campestris L.*, *Morus alba L.*, etc. The tree was cut at the height of 2,5—3 met., and such topless tree produced 10—30 stakes in 2—5 years. Sometimes the most productive (as to the yield of stakes) and quickly growing trees were cultivated artificially. There were two kinds of „sasare“: a) found in riparian forests, and, b) planted around the cultivated fields and along irrigation canals. The grazing of cattle was strictly forbidden there.

2. „Ukapi“ (which must not be cut). This name was given to those plots of riparian forests, where the trees were allowed to grow in height. *Ulmus campestris L.*, *Fraxinus excelsior L.*, *Quercus longipes Stev.*, *Q. iberica Stev.* and other trees grown there produced the material for making „arba-s“ and farming implements, as well as the material for building purposes. In these forests the lower branches were cut off to make the trees grow in height. The undergrowth was cut too.

3. „Sakapi“ (which must be cut). It was the type of the forest which produced firewood, but, usually, the stakes were sorted out of the cut wood. For this type the following species were characteristic: *Ulmus campestris L.*, *Fraxinus excelsior L.*, *Quercus longipes Stev.*, *Q. iberica Stev.*, *Populus hybrida MB*, *Crataegus-es*, *Salix-es*, etc.

4. „Sagobavi“ (for hedges). This type produced the material for hedges. There were few trees of the first category there, and the following shrubs were mainly grown: *Corylus avellana L.*, *Cornus mas L.*, *Cornus australis C.A.M.*, some *Salix-es*, etc. The other species were either cut or stubbed out. The grazing of cattle was strictly forbidden there. Such forests were cut periodically every second-third year.

5. „Sadgaldje“ (covered with thorny shrubs). Such plots produced the material for common hedges made of spiny twigs. The typical species were: *Hippophaë rhamnoides L.*, *Prunus spinosa L.*, *Berberis vulgaris L.*, *Paliurus spina Christi (Mill.) K. C. Schneid.*, *Crataegus-es*, etc. Cuttings were practised there every third-fifth year. The grazing of cattle was strictly forbidden.

6. „Sasheshe“ (for firewood). Such plots produced firewood. The grazing of cattle was allowed there.

7. „Sakonavi“ (for binding). On such plots producing in the main the material for binding the following species could be found: various *Salix-es*, *Corylus avellana L.*, *Cornus mas L.*, *Cornus australis C.A.M.*, etc. The grazing of cattle was strictly forbidden. Cuttings were practised every year.

The system of forestry described above sprang up and developed, as we think, much earlier than the 13-th and 14-th centuries (as it was mentioned before, the first written records that came to us had been dated by

these centuries), namely in the first centuries A. D., while in Europe a similar system appeared only in the 15—16-th cent. and began to be developed from the second half of the 18-th cent.

As we said before, in recent years riparian forests have been almost destroyed owing to the lack of care. In order to satisfy the needs of reconstructed farming of the Eastern Georgia it is necessary not only to restore the riparian forests of the by-gone ages, but to make new plantations as well. New exotic and quickly growing species, as well as the species that had been growing there for ages should be cultivated. The work on restoration should be carried on according to the modern scientific principles with the utilization, at the same time, of some of the old methods practised by our forefathers.

### გამოკვებული ლიტერატურა

1. ბ. კეცხოველი. —საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები. 1935. თბილისი.
2. ა. გროვენორი, დ. სოსნოვსკი. 6. ტროიცკი. —საქართველოს მცენარეულობა. 1928 წ. ქ. თბილისი.
3. А. А. Гроцегейм.—Краткий очерк растительного покрова ССР Армении. 1938.
4. А. А. Гроцегейм. Очерк растительного покрова Закавказья (Азербайджан, Армения и Грузия). 1930 г.
5. Н. И. Кузнецов.—Принципы деления Кавказа на ботанико-географические провинции. Записк. АН, 8 сер., т. 24, 1909.
6. ა. ა. ყანიაველი.—კახეთისათვის ზოგიერთი ახალი მცენარე, 1924
7. ვახუშტი ბატონიშვილი.—ღორონაფიული აღწერა საქართველოდას ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდვილებ დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსეტისაგან. 1842. ს.-პეტერბურგი.
8. 5. კეცხოველი.—მცენარეული საფარი ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში. 1942 წ. ლ. ჭილაძე სახელობის საქარ. სახ.-სამ. ინსტ. შრომები, XVII.
9. Die Forstlichen verhältnisse der Schweit. Zürich, 1925. Berausgegeben vom Schwäizerischen Forst verein.
10. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. II ტ. თბილისი, 1935.
11. საბა-სულხან ორბეგილიანი.—ქართული ლექსიკონი. პროფ. იოსებ ყიფშიძის და აკ. შანიძის რედაქტორ. 1928. ტფილის.
12. დ. ჩუბინოვი.—ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, 1840.
13. შაპ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის—ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაქემ, თბილისი, 1916.
14. ა. შანიძე—ნაშები მესამე პირის მიმერქობის პრეფექტის ხმარებისა ხმოვანების წინ ქართულ წმინდაში. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე. თბილისი, 1922—1923.
15. იონა რუსის მიტრონ ლიტ. მიმოსულა წმინდათა ადგილთა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა. თბილისი, 1852.
16. ტიმოთე ქართლის მთავარ კანკის კოსი—მოხილუა წმინდათა ადგილთა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა, თბილისი, 1852.

17. სულბან საბა ორბე ლიანი—მოგზაურობა ევროპაში, თბილისი, 1940.
  18. საქართველოს სიძეველენი. ექ. თაყაიშვილის რედაქციით. I ტ. მეორე გამოცემა. 1920.
  19. საქართველოს სიძეველენი. ექ. თაყაიშვილის რედაქციით. II ტ. 1909.
  20. საქართველოს სიძეველენი. ექ. თაყაიშვილის რედაქციით. III ტ. 1910.
  21. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ნ. ბერძნიშვილის რედაქციით.
  22. დავით ჩუბინი ვი.—ქართული ქრისტომატია. I ნაშროვი. სამართალი ბატონის-შვილი ვახტანგისა. 1846 წ. ს. პეტერბურგი.
  23. ი. ანთა ძე.—წყლის მფლობელობა და სარწყავი წყალი საქართველოში. კრებული ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. 1915. ლფოლისი.
  24. ალ. ღლონ ტი ი—ქართული შაირები, 1941.
  25. პ. უმიკა შვილი—ბალხური სიტყვეერება, 1937.
  26. ქართული ანდაზები. შეკრებილი დ. თურდოსპირელისა და ეჭელ. განერილადის მიერ. 1935.
  27. ა. შანიძე—ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული. 1931.
-

0. ლომოური და პ. ბერიასძე

სხვადასხვა კულტურის თესვა ნაზვირალზე ორი მოსავლის  
გილების მიზნით

1942 წლის ზაფხულის დამდეგს საქართველოს მიწაომოქმედების სახ. კო-  
მისარიატმა რაიონებს დაუყზავნა მიმართვა, სადაც აღვილობრივ სამიწაომოქ-  
მედო ორგანოებს, მტს-ებს და კოლმეურნეობებს წინადადება ეძლევა რაც შეიძ-  
ლება ფართოდ გამოიყენონ თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღების შემ-  
დეგ თავისუფლად დარჩენილი მინდორი—ნაწვერალი ზედ, ე. წ. სანწვერალი  
კულტურათა მეშვეობით შეიძლო მოსავლის მიღების მიზნით.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ჩენი სოფლის მეურნეობის წინაშე  
დასმულ ამოცანათა შესრულების საქმეში სანწვერალი კულტურების ფართოდ  
გამოყენებას უსათუოდ უნდა მიეცეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა. ერთსა და  
იმავე წელს, ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე ორი მოსავლის მიღების პრობ-  
ლემა ძალიან დიდი სამეურნეო ღირებულების საკითხია ნორმალური ცხოვრე-  
ბის პირობებშიაც, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსა იყი დღევან-  
დელ ვითარებაში, როდესაც ჩენი გმირული წითელი არმიის მომარაგება  
ფრონტზე, ხოლო მოსახლეობის სურათით უზრუნველყოფა, მოითხოვს მთელი  
ძალონის, ყველა საწარმოო საშუალებათა მობილიზაციას და მაქსიმალური სი-  
სრულით და დატვირთვით გამოყენებას.

საწარმოო საშუალებათა ასეთი სრული გამოყენების ერთ-ერთ გზად უნდა  
ვალიაროთ მთელ რიგ კულტურულ მცენარეთა ნაწვერალზე თესვა. რა არის ამ  
ღირნისძიების ძირითადი აზრი?

ყველამ კარგად იცის, რომ ჩენში, კერძოდ აღმოს. საქართველოს დაბ-  
ლობ და საშუალო ზოლში (დაახლოებით 400—450 მ-მდე ზღვ. ღონიდან), თავ-  
თავიანი მარცვლეულის შემოსელა-აღება წარმოებს, უმეტეს წილად, იყლისის  
პირველ ნახევარში ან ამ თვის პირველი ორი დეკადის მანძილზე. ყანების მოჭ-  
რის შემდეგ ამ მცენარეთა ნათესისაგან განთავისუფლებული მინდორი—ნაწვე-  
რალი გამოუყენებელი, ან თითქმის გამოუყენებელი რჩება ღრმა შემოღომამდე,  
როდესაც იწყება მისი მზრალად ხენა. არის თუ არა შესაძლებლობა ამ ხნის  
განმავლობაში, იმ პერიოდში, რომელიც შეიცავს დაახლ. 100 დღეს, მინდორი  
ხელახლა დაითესოს რომელიმე მცენარით და ამ უკანასკნელისაგან მივიღოთ  
მოსავალი ამა თუ იმ სახით?

კონკრეტულ პირობებში ამ საკითხის დადებითად თუ უარყოფითად ვა-  
დაწვევთა დაკავშირებულია იმასთან, ეყოფა თუ არა ნაწვერალზე დათესილ  
მცენარეს თავისი ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის სითბოს ის რაოდე-  
ნობა, რომელსაც მიიღებს იგი ღროის აღნიშნულ მონაცემში, ე. ი. 15 ივლი-  
სიდან 15 ოქტომბრამდე.

თუ ამ ახალი ლონისძიების სამეურნეო გამოყენების არეს პირველ ხნობში განვისაზღვრავთ აღმ. საქართველოს დაბლობი ზოლით, მაშინ ეს საკითხი იუცი-ლებლად დადგებითად უნდა გადაწყვდეს შემდეგი მოსაზრების საფუძველზე.

13<sup>0</sup>-ზე მაღალი ტემპერატურის საერთო ჯამი აძრილიდან ოქტომბრის გასულამდე აღნიშნული ზოლის ფარგლებში უდრის, დაახლ., 3000—3700°C-ით. ცხადია, რომ ხორბალი, აღებული იყლის პირველ ნახევარში, თავისი ზრდა-განვითარებისათვის გამოიყენებს ამ თბილი ენერგიის მხოლოდ ნაწილს, დანარჩენი კი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა მიღების თვალსაზრისით, უსარგებლოდ დაიყარება. ამ დანაკარგის კუთრი წილი სხვადასხვა იქნება რაიონის ან მიკრორაიონის კლიმატური ხასიათის მიხედვით, ასე მაგალ..

	13 <sup>0</sup> -ზე მეტი ტ-ის ჯამი	სითბოს ჯამი ხორბლის შე- მოსვლამდე	გამოყენებული სითბოს რაოდენობა	
			გრადუსობით	%-ობით
გორი	3194	1405	1789	56,0
საგარეჯო	3230	1355	1845	57,1
ჭინანდალი	3377	1663	1768	50,6
ყარაია	3729	1712	2385	63,9

როგორც ვხედავთ, აღნიშნული 7-თვეიანი პერიოდის მანძილზე დედამიწის ზედაპირზე დაფრქვეული მზის სითბოს საერთო ჯამიდან პურეულ მცენარეთა მიერ გამოყენებული სითბოს სიერთო რაოდენობა ძლიერს 45—50%/-ს. სავეგეტაციო პერიოდის ბოლომდე კიდევ რჩება, დაახლ., 90—100 დღე, როდესაც სავეგებით შესაძლებელია თვეთავიან პურეულთა აღების შემდეგ სხვა კულტურულ მცენარეთა დათვესვა და მათვან ამა თუ იმ სახით ახალი, იმავე წელს უკვე მეორე მოსავლის მიღება. თავისთვად ცხადია, რომ წელიწადში ორი მოსავლის მიღების შესაძლებლობა მით უფრო დიდია, რაც უფრო გრძელია ეს თბილი პერიოდი და რაც უფრო მეტია ტემპერატურის ის რაოდენობა, რომელიც მოხარულება ზაფხულის მეორე ნახევარში დათესილ მცენარეთა განვითარებას შემოდგომის გრილი პერიოდის დადგომამდე.

ამ მხრივ აღმოს. საქართველოს ფარგლებშიაც რაიონებს შორის განსხვავება ფრიად მნიშნელოვანია.

ორი მოსავლის მიღების თვალსაზრისით ყველაზე ფართო პერსპექტივა აქვს ისეთ რაიონებს, როგორიცაა ქახეთში ლაგოდებისა და ყვარელის რაიონები, ალაზნის ველის შუა ნაწილი, შემდეგ ბორჩალო-ლუქესმბურგის, ყარაიას და თბილისის რაიონების სარწყავი ადგილები. საკმაოდ დიდი შედეგებით შეძლება ეს ლონისძიება გატარდეს, აგრეთვე, დუშეთის დაბლობი ზოლის, კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონების ყველა იმ ადგილას, რომელთა მდებარეობა ზღვის დონიდან არ აღემატება 400—500 მეტრს და რომელიც შეადგენს ქართლის ვაკისა და მთის ჭინა ზოლის ქვედა იარუსებს.

ყველა ამ რაიონში ზაფხულის შეორე ნახევრისა და შემოდგომის მანძილზე რაიონულ რაიონის საერთო რაოდენობა, ისე სავეგეტუაციო პერიოდის ხანგრძლიობა საქსებით საქმარისია იმისათვის, რომ მთელ რიგ კულტურულ მცინარეთა თესვით მივიღოთ მეორე მოსავლის სახით ზოგან შედარებით ნორჩალურად შემოსული მარცვალი, ზოგან—სასილოსედ გამოსაყენებელი მასალა და უკიდურეს შემთხვევაში კი მწვანე საკვებად, ან თივად სახმარი ინდა მწვანე სასუქად ვარგისი საქმარ დიდი რაოდენობის მასა.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც აღნიშნულ რაიონებშიაც ზღუდავს ამ ღონისძიების ფართოდ გატარების შესაძლებლობას და რომელიც იმის გამო პაირობებს სანაწევრალო კულტურათა სამეურნეო გამოყენების მასშტაბს. ეს განმსაზღვრელი ფაქტორია წყალი. ცნობილია, რომ აღმ. საქართველოს თითქმის ყველა ჩამოთვლილ რაიონში სანაწევრალო კულტურისათვის გამოსაყენებელი პერიოდი ხასიათდება განსაკუთრებული სიმშრალით, რომელიც მაღალ ტემპერატურასთან, ენერგიულ ინსოლციასთან და ცხელ ქარებთან დაავაშირებით ქმნის წყლის ოქიმის უაღრესად მძიმე პირობებს, ხშირად გადასულს მწვავე გვალვანობის ხასიათში. ამ ხანგრძლივი და მკეთრი სიმშრალის პირობებში ნაწევრალზე თესვის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ წყლის ხელოვნურად მიწოდების საშუალებით და, მშასადამე, მხოლოდ სარწყავ ადგილებზე და აქც მარტო იქ, სადაც ძირითად კულტურათა წყლის მიმართ მოთხოვნილების სრული დაქმყოფილების შემდეგ კიდევ რჩება წყლის თავისუფალი მარაგი. სამწუხაროდ ეს მარაგი უმეტეს რაიონებში ამჟამად მეტად განსაზღვრულია და ეს გარემოება სანაწევრალო კულტურათა ფართოდ გაერტყების შესაძლებლობას მშენდროდ ავაგშირებს ჩვენი წყლის შეურნეობის ისეთ გადაუდებელ ამოცანებთან, როგორიცაა საირიგაციო ქსელის გაფართოება, მისი საექსპლოატაციო უნარის გადიდება, რწყვის არსებული წესების გაუმჯობესება, ერთი მხრივ, სადღეისო მარაგის შეტერიფირებით და ეკონომიკით გამოყენება, სანაწევრალო კულტურისათვის სარწყავ პირობებში სპეციფიკური იგროტექნიკის დამუშავებით, მეორე მხრივ კი, კულტურულ მცნარეთა სპეციალური ასორტიმენტის შერჩევით.

ყველაფერი ეს ახლო მომავლის საქმეა, მაგრამ დღევანდელ პირობებშიაც არც თუ აგრე მცირეა. სანაწევრალო კულტურის შესაძლო მასშტაბი ჩვენს ხელთ არსებული ცნობების თანახმად აღმ. საქართველოს თავთავიანი კულტურებით დათესილი სარწყავი მინდვრების საერთო ფართობი უკანასკნელ წლებში უდრიდა, დაახლ., 80 ათას ჰექტარის. სარწყავი წყლის სიმცირესთან დაკავშირებით სანაწევრალო კელტურებისათვის რომ გამოიყოს ამ ტერიტორიის მხოლოდ  $\frac{1}{3}$ , მაინც მივიღებთ ფართობს, დაახლ., 25 ათას ჰექტარამდე, რომელზედაც მოყვანილი მეორე მოსავალი მნიშვნელოვან სამსახურს გაუშევს ჩვენს მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის და, განსაკუთრებით კი, საფურავ პროდუქტებით უზრუნველყოფს საქმეში.

უნდა ითქვას, რომ ნაწევრალზე სხვადასხვა კულტურულ მცნარეთა თესვა-მოყვანა ახალი საქმე არ არის ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის. ორი მოსავლის მიღების პრაქტიკას წინათაც იცნობდნენ და ახორციელებდნენ კიდევაც

როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოშიაც. ასე, მაგალ., კახეთში განვითარებული იყო ნაქერალზე ფეტვის თესვა. ალაზნის გალმა მძარეს ქერის აღების შემდეგ თესვენ ნაადრევ სიმინდს, ასევე იქცევიან ალაგ-ალაგ საგარეჯოს რაიონებში და ა. შ.

აქაც ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიაც სამურნეო პრაქტიკამ წინ გაუსწორ ავრონომიულ მეცნიერებას და კვლევითს მუშაობას.

საქართველოს საცდელ-საგამოყვალევო დაწესებულებებს სანაწვერალო კულტურათა საკითხის ირგვლივ მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის, ნაწყვეტნაწყვეტად წარმოებული მუშაობა თუ აქვთ ჩატარებული. უკანასკნელ დრომდე ეს ღონისძიება არ ყოფილა ჩევნში სისტემატური და გეგმიანი საპროგრამო საქმიანობის ობიექტად.

ამის გამო ჩენ ზედმეტად არ მიგვაჩნია მკითხველს გაუზიაროთ ის მცირედენი, წინასწარი ხასიათის ცნობები, რომლებიც მიღებული აქვს მემკუნარეობის კათედრას სოფ. ქვემო სკრის III ინტერნაციონალის სახელ. კოლეჯურნეობის მინდვრებზე სანაწვერალო კულტურების შესახებ 1940 წლის ზაფხულშემოდგომით წარმოებული ცდების შედეგად.

თემის მიზანს შეადგენდა ისეთი კულტურების შერჩევა, რომლებიც ქერის ან ხორბლის მოსავლის აღების შემდეგ დათესვისას მოგვცემენ მოსავალს ამავე წლის გვიან შემოდგომამდე. დათესვილი იყო შემდეგი კულტურები: სიმინდის 6 ფორმა, ლობითს 3 №, ბარდა, ცერცევლა, სოია ჭიათურისა და ფეტვი.

კველა ჩამოთვლილი კულტურა დაითესა ნაქერალზე. ქერის მოსავალი აღმოისახებოდა იყო 6/VII—40 წ.; 8/VII-ს ნიადაგი მოიხნა გუთნით 18 სმ-ის სილრეზე, დაიფარცხა ზიგზაგით ორჯერ, დაიყო ცალქე ნაკვეთებად და დაითესა ზემოაღნიშნული კულტურებით. თესვა ჩატარდა ხელით.

### ვ ე ტ ვ ი

ცნობილია, რომ ფეტვს ახასიათებს კარგი გვალვაგამძლეობა და მოკლე ვეგეტაციის პერიოდი (60—100 დღე). ეს ორი დაცებითი თვისება აშკარად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი გამოყენებული იყოს როგორც ნაწვერალის კულტურა. უნდა აღინიშნოს, რომ ნაწვერალზე ფეტვის თესვა სამხრეთ უკრაინაში და რუსეთის სხვა რაიონებშიაც გვხვდება. რაც შეეხება საქართველოს, აქ, მიუქედავად იმისა, რომ ყოველგვარი პირობა არსებობს ამ წესით ფეტვის მოყვანისათვის, მას შედარებით იშვიათად მიმართავენ. სკრის III ინტერნაციონალის სახ. კოლმეურნეობის ფართობზე დათესილი იყო ჩვეულებრივი ფეტვი (*Panicum milliaceum*). თესვა ჩატარდა მწერივად 15 სმ-ის დაშორებით. დათესვის დრო 13/VII. ამ კულტურით დათესილი მთლიანი ფართობი უდრიდა 48 კვ. მეტრს. დათესილ ფართობზე ჩატარებული იყო შემდეგი ძირითადი სამუშაოები: დათესილი 2 დღის შემდეგ ნაკვეთი მოირწყო კულებში მიშვების წესით. აღმოცენების შემდეგ, რაც დასრულდა 21 ივლისს, ჩატარდა ნიადაგის გაფხვიერება, ხოლო აღმოცენებიდან 12 დღის შემდეგ წარმოებდა გამოხშირვა და მეორე გაფხვიერება.



აღმოცენებიდან ერთი თვის შემდეგ 23/VII ჩატარდა მეორე შორის შეკრული ბოლო მორწყვიდან 2—3 დღის შემდეგ — ისევ გათოხნა.

ფეტვები სრულ სიმწიფეს მიაღწია 19 სექტემბერს. მოსავალი აღებული იყო 21 სექტემბერს.

აღნიშნულ 48 კვ. მეტრიან ფართობზე მთლიანი მასის წონა უდრიდა 28 კგ. აქედან 21 კილოგრამი იყო ჩალა, ხოლო მარცვალი — 7 კილოგრამი.

მიღებული ფეტვის თესლი იყო ნორმალური სიმწიფის, 100%-იან გალივების უნარით. აბსოლუტური წონაც სრულიად ნორმალური იყო და არ ჩამოუვარდებოდა ჩეცულებრივი წესით მიღებული ფეტვის მარცვლის აბსოლუტურ წონას (1000 მარც. წონა უდრიდა 6,3 გ-ს). აქედან შეგვიძლია დავსცვნათ, რომ ფეტვის თესვა ნაწვერალზე, მეორე მოსავალის მიღების მიზნით, თავისუფლად შეიძლება ქართლის პირობებშიაც.

## ს ი მ ი ნ დ ი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაწვერალზე დასათესად არჩეული იყო სიმინდის 6 №, რომელთაგანაც ერთი კაუტნიდა აფილობრივ თეთრ კაურვანას, დანარჩენი 5 კი, აღებული იყო 1939 წ. საკავშირო მემკენრეობის ინსტიტუტის მიერ გადმოგზავნილი კოლექციიდან, რომელიც იმავე წელს დაითესა ლაგოდებში.

ლაგოდებში მიღებული მასალიდან ზევით დასახელებული 5 № გადარჩეული იყო ზოგი ნააღრეობის, ზოგი კი მწვანე მასის განვითარების მიხედვით:

1. ყვითელი კაურვანა კანალური № 1043
2. წითელი კაურვანა კანალური № 9718
3. ყვითელი კბილა კანალური № 5743
4. თეთრი კაურვანა ჩრდ. დაკოტის № 6080
5. თეთრი კაურვანა ჩრდ. დაკოტის № 1180

უკვე ხსნებული წესით ნიადაგის დამუშავებისა და მოშადების შემდეგ სიმინდის ეს პატარა კოლექცია დაითესა 12 ივლისს მწვრივთა შორის 60 სმ-ის, ხოლო თვით მწვრივებში 30 სმ-ის დაშორებით. 15 ივლისს ნათესი პირველად მოირწყო. 30 ივლისს ჩატარდა პირველი გათოხნა. 6 აგვისტოს სიმინდის ყველა ნაკვეთში შეტანილი იყო მინერალური სასუქი NK. მეორე მორწყვა ჩატარდა 28 აგვისტოს, ორი დღის შემდეგ — მეორე გათოხნა. სიმინდის ექვსივე № აღებული იყო 23 სექტემბერს, რის შემდეგ მოვლი მოჭრილი ნაწილი, ცოტაოდენი შეშრობის შემდეგ, აიწონა. ცალკე ნომრების მიხედვით შედეგი შემდეგნაირი იყო:

ყვითელი კაურვანა კანალური № 1043. ამ ნომრით დათესილი ნაკვეთი უდრიდა 32 კვ. მეტრს. ნათესის აღმოცენება დაიწყო 20/VII და დამთავრდა 25/VII. ხანგრძლივი გვალვისა და ცხელი ქარების მიუხედავად, მაინც მნიშვნელოვანი შედეგები იყო მიღებული: მთლიანი მწვანე მასის წონა უდრიდა 38 კილოგრამს. რაც შეეხება ტაროს რაოდენობას და მის წონას, იგი ცალკე არ ყოფილა აწონილი. მოსავალის აღების დროს მარცვალი ლილშიერობის პერიოდში იყო. ასეთ ტაროდან მიღებულმა მარცვალმა გაშრობის

შედეგ გვიჩვენა 88% გალივების უნარი. რაც შეეხბა მცენარის სიმაღლე<sup>36195</sup>  
იყი ნორმალურ პერიოდში (გაზაფხულზე) დათესილ მცენარესთან შედარებით  
უფრო დაბალი იყო და აღწევდა 155 სმ-ს. როგორც ერთი წლის მონაცემები  
გვიჩვენებს, ამ მცენარის გამოყენება სანაშვერალო კულტურის სახით აშკარად  
პერსონალურია.

ჭითელი კავკანან კანალური № 9718. მთლიანი ფართობი, რომელიც დაკავებული იყო ამ ჯიშის მიერ, უდრიდა 48 კვ. მეტრს. ნათესმა აღმოცენება დაიწყო 20/VII და დაამთავრა 25/VII.

მთლიანი შევანე მასის წონა უდრიდა 58,3 კილოგრამს. ტაროები საკმაოდ მომწიფებული და მარცვლის გაღივების უნარიც არ იყო დაბალი. მცენარე ზომით საკმაოდ დიდი გაიზარდა და აღწევდა 2 მეტრამდე. ეს ჯიში, ოოგორუნაშვილის კულტურას, ძალიან კარგია შევანე მასის დიდი ოდენობით განეთარების გამო.

ყვითელი კბილა კანალური № 5743. ამ ნომრით დათესილი ფართობი უდრიდა 24 კვ. მეტ. აღმოცენება დაიწყო 19/VII და დაამთავრა 24/VII. მთლიანი მწვანე მასის წონა უდრიდა 37 კილოგრამს. ჩაც შეეხება მარცვლის სიმწიფეს, იგი ამ ჩხრივ უკეთესი იყო, ვიღებ პირველი ორი ჯიში. ამ შემთხვევაში მარცვალი ხასიათდებოდა სრული გალივების უნარით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჯიშიც, თუ კი მოსავლის აღება მოხერხდებოდა ცოტა უფრო მოვგვანებით, აღვილად მოგვცემდა საესებით მომწიფებულ ტაროებს და ნორმალურად შემოსულ მარცვალს. ამ შხრივ იგი ფრიად საყურადღებოა.

თეთრი კაფოვანი ჩრდ. დაკოტის № 6080. მთლიანი ფართობი  
დაკავებული ამ ჯიშის უდრილა 48 კვ. მ. აღმოცენება დაიწყო 19/VII და  
დაამთხვერა 23/VIII. მამრობითი ყვავილების გამოტანა დაიწყო 17/VIII. მი-  
ღებული შევანგ მასის წონა ტაროვანად უდრილა 68 კილოგრამს. უნდა აღი-  
ნიშნოს, რომ ამ ჯიშის ტაროვი უფრო მეტი სიმწიფით ხასიათდებოდნენ,  
ვიდრე აქვმდე განხილული. თესლს ახასიათებდა საქმაოდ კარგი გაღივების  
უნარი. თითო მცენარეზე იყო 2–3 ტარო, მაგრამ უკელა ტარო არ იყო  
ერთნაირი სიმწიფის. მცენარის სიმაღლე უდრილა 120 სმ-ს. ეს ჯიშიც დიდად  
პერსპექტულია, როგორც ნაწერრალის კულტურა.

თეორიი კავკაციანი ჩრდ. დაკომტის № 1180. დათხსილი ფართობის რაოდენობა უძრიდა 52 კვ. მეტრს. მოლიანდ იღებული მწვანე მასა ტარო-იანად აღწევდა 75,5 კგ-ს. მცენარემ აღმოცენება დაიწყო 19/VII და დამთ-რა 24/VII. ამ ჯიშაც, როგორც № 6080-ს ახასიათებდა მწვანე მასის კა-ლიდი რაოდენობა და მარცვლის საკმაოდ მომწიფება. აღმოცენების უნარი უძ-რიდა 95% -ს. ამ ჯიშის, როგორც სანაცვერალო კულტურის, მნიშვნელობაზე უნდა ითქვას, რომ იგი სჯობნის თითქმის ყველა ზემოაღნიშნულ ჯიშს, განსა-კუთრებით კი, ტაროს გეტი სიმწიფეთ.

თეთრი კაქოვანა ა დგი ლობრივი. სათესლე მასალა აღეცული იყო ადგილობრივი კოლმეურნეობილან (სოფ. სკრის III ინტერნაციონალის სახ. კოლმეურნეობა), აღმოცენება დაიწყო 21/VII და დამთავრა 26/VII. მაშრობითი ჰავილების გამოტანა დაიწყო 18/III. ამ ჯიშით ნათესი ფართობი უდ-

რიდა 51 კვ. მეტრს. მთლიანი მწვანე მასის წონა ტაროიანად უდრიდა 58 კგ-ს. ამ მცუნარეზე ტაროები შედარებით ნაკლებად იყო დამშტიფებული და ძლიერ აღმოჩენით მის დატოვებისას შეიძლება მიგველო შედარებით მწიფე ტაროებიც. მარცვლის გაღივების უნარი სუსტი იყო. ეს ჯიში პერსპექტიული იქნება, როგორც დაიდი მწვანე მასის მომცემი. იგივე ჯიში, დათესილი ამ ნაკვეთის გვერდით კოლმეტურნეობის მიერ, ხასიათდებოდა ნაკლები განვითარებით: მწვანე მასა, აღმოჩენით ისეთივე 51 კვ. მეტრის ფართობიდან, უდრიდა სულ 15 კგ-ს. უნდა ვიუიქროთ, რომ განსხვავება გამოწვეული იყო იმ ღონისძიებით, რომლებიც ჩატარდა ჩენენს საცდელ ნაკვეთზე; ასეთი იყო ორჯერ გათოხნა, ორჯერ მორწყვა და სასუქის შეტანა.

ცალკე ჯიშებიდან მიღებული მთლიანი მოსავლის ურთიერთ შედარება გვაძლევს შემდეგ სურათს:

№ №	ჯ ი შ ე ბ ი	ნათესი ფართობი კვ. მ-ობით	მოსავალი კგ-ობით	მოსავალი 100 მ²-ზე
1	ყვითელი კაჟოვანა კანალ. 1043 . . . . .	32	38,0	119
2	წითელი კაჟ. კანალური 9718 . . . . .	48	58,3	112
3	ყვითელი კბილა კანალური 5743 . . . . .	24	37,0	154
4	თეთრი კაჟ. ჩრდ. დაკოტის 6080 . . . . .	48	68,0	142
5	თეთრი კაჟ. ჩრდ. დაკოტის 1180 . . . . .	52	75,5	145
6	თეთრი კაჟოვანა აფილობრუე .	51	68,0	135

საერთო მასის განვითარების მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა კანალური 5743, რომელიც იმითაც არის საყურადღებო, რომ ცდის ზემომოყვანილი შედეგების მიხედვით იგი ტაროს მომწიფებისა და მარცვლის შემოსელის თვალსაზრისითაც ფრიად საიმედო სურათს იძლევა. ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა მთლიანი მასის მოსავლის მხრივ უცხოეთის ჯიშებს შორის გვაძლევს საშუალოს და, საერთოდ, საქმიოდ დამაქმატიურილებულ მაჩენებელს.

### ლ თ ბ ი თ

საცდელად აღებული იყო სამი ჯიში: რაჭული წითელ-ჭრელი (ლაგოდეხის რეპროდუქციით № 286/15), ჭიათურის წითელ-ჭრელი (ლაგოდეხის რეპროდუქცი. № 200/9) და ადგილობრივი.

ზემოაღწერილი წესით დამუშავებულ ნაკვეთზე ლობიოს თესვა ჩატარდა 12 ივლისს მშერივად  $50 \times 25$  სმ-ის დაშორებით.

ნათესის მოელის ყველა ობერაცია (ორჯერ გათოხნა და ორჯერვე მორწყვა) შესრულებული იყო იმავე წესით და იმავე ვადებში, როგორც სიმინდისა. მოსავლის აღება მოხდა 23 სექტემბერს.

ჯიში რაჭული წითელ-კრელი № 286—15. დათესილი იყო 24 კვ. მეტრის ფართობზე. აღმოცენება დაიწყო 19 ივნისს და დამთავრდა 25 ივნისს ხოლო კუვაგილობა 14 აგვისტოს. აღების დროისათვის პარკები ჯერ კრიზე მწვანე იყო. მწვანე მასის (პარკებიანად) მოელი მოსავალი დანაყოფზე უდრიდა 11,4 კგ-ს. ამრიგად, როგორც ჩანს, ეს ჯიში ნაწვერალზე დათესეთ საქმიოდ დიდი რაოდენობით იძლევა მწვანე მასას. მისი გამოყენება შეიძლება, აგრეთვე, მწვანე პარკების სახითაც.

ჯიში ჭიათურის წითელ-კრელი № 280. დათესილი იყო 26 კვ. მეტრიან დანაყოფზე. აღმოცენება დაიწყო 19 ივნისს და დამთავრდა 23 ივნისს. აღნიშნულ ფართობზე მოელი მოსავალი პარკებიანად უდრიდა 7,5 კგ-ს. აქაც მოსავლის აღების დროისათვის პარკები ჯერ შემოუსელელი, მწვანე იყო.

ჯიში ადგილობრივი წითელი—“სიმინდის ლობით”. დათესა 46 კვ. მეტ. დანაყოფზე. აღმოცენების პერიოდი მოდის 19/VII-დან 23/VII-მდე. კუვაგილობა დაიწყო 14 აგვისტოდან, ხოლო პარკების განვითარება 28 აგვისტოდან. მოელი დანაყოფიდან აღებული მოსავალი (პარკებიანად) უდრიდა 38,5 კგ-ს. აღსანიშნავია, რომ ამ ადგილობრივმა ჯიშმა მოგვცა არა მარტო მწვანე მასის საქმიოდ დიდი რაოდენობა, არამედ, ორ წინა დასახელებულ ჯიშთან შედარებით, უკეთესად განვითარებული პარკიც, რომლის გამოყენება მწვანე ლობითს სახით საქსებით შესაძლებელია.

ამ საში ჯიშის მიერ მოცემული მწვანე მასის რაოდენობა წარმოდგენილია ქვევით მოყვანილ ცხრილში:

რი ჩე ნა	ჯიშები	დანაყ. ზომა კვ. მ-ობით	მიღებ. მოსავალი	მოსავალი 100 მ-ზე კგ-ობით
1	რაჭული წითელ-კრელი № 286/15 . . . . .	24	11,4	47,5
2	ჭიათურის . . . № 280 . . . . .	16	7,5	46,8
3	ადგილობრივი . . . . .	46	38,5	83,7

### ხოთა ჭიათურისა

სათესლე მასალა მიღებული იყო თბილისის ცენტ. ზაქონტროლო სადგურიდან. დათესა ისევე, როგორც ყველა დანარჩენი კულტურა, 13 ივნისს, მანძ. 60×30 სმ. დანაყოფის ზომა უდრიდა 5ჩ კვ. მეტრს. აღმოცენება, რომელიც მიმდინარეობდა თვალსაჩინო შეფერხებით, დაიწყო 20 ივნისს და დამთავრდა 27 ივნისს; არა სრული აღმოცენების გამო ნათესი საქმიოდ შეთხელებული აღმოჩნდა, რამაც სათანადო გავლენა მოახდინა მწვანე მასის მოსავალზე. ეს უკანასკენელი (პარკიანად) უდრიდა 24 კგ-ს, რაც 100 მეტრიან დანაყოფზე გადასანგრაშებით მოგვცემს 43 კგ-მდე. უნდა აღინიშნოს, რომ სოიას პარკი კარგად იყო განვითარებული, ხოლო თესლი პარკებში მისული იყო ნაკარგული კარგების განვითარებული.

ხევრად შომწიფებულ მდგომარეობაშე. ამის მიხედვით გვაქვს საბუთი კიფიქ-  
როთ, რომ სკრის კოლმეურნეობის პირობებში ნაწვერალზე დათესილი სიია  
შეიძლება გამოყენებულ იქნას მწვანე სასუქადაც, საქონლის საკვებადაც რო-  
გორც თივის, ისე სილოსის სახით.

### ბ ა რ დ ა

სათესლე მასალა ოლებული იყო აღგილობრივ, სკრის კოლმეურნეობის  
ფონდიდან. ნიადაგის დამუშავება, თესვა და ნათესის მოვლა წარმოებდა და-  
ნარჩენი კულტურების მსგავსად და ერთდროულად. თესვა ჩატარდა მწვრივებში  
20 სმ-ის მანძილზე. დანაყოფის ზომა იყო 45 მ². ოღმოცენება წარმოებდა  
17/VII-დან 22/VII-მდე, ხოლო ყვავილობა 31/VII-დან 9/VIII-მდე. მწვანე მა-  
სის მოსავალი დანაყოფზე უდრიდა 58 კგ-ს, რაც 100 მ.ზე გადაანგარიშები-  
სას მოგვცემს 123,6 კგ-ს. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ,  
რომ გარდა, როგორც სანაწვერალო კულტურა, უსათუოდ ფრიდა საყურად-  
ლებო მცენარეა, მით უფრო, რომ აღების პერიოდში მისი პარკებიც და  
თესლიც საქმიოდ კარგად იყვნენ განვითარებულნი და საქმარისი. იყო კი-  
დევ 7—10 დღე, რომ თესლი მისულიყო სრულ სიმწიფემდე.

### ც ე რ ც ვ ე ლ ა

სათესლე მასალა ამ შემთხვევაშიაც მიღებული იყო კოლმეურნეობიდან.  
ცერცელა დაითესა მწვრივიად 20 სმ-ის დაშორებით. დანაყოფის ზომა უდრი-  
და 30,4 კვ. მეტრს. ოღმოცენება დაიწყო 18 ივლისს და დამთავრდა 23 ივლისს.  
მოსავლის აღების დროისათვის, რაც მოხდა ქაც 23 სექტემბერს, მწვანე ნა-  
წილების მასი საქმიოდ დიდი იყო, მაგრამ მცენარეები მეტად დაბალი ტანით  
განვითარდნენ და მისი მოთიბეა ძნელი იქნებოდა. პარკიც და მარცვალიც შე-  
დარებით ნაჯებად იყო განვითარებული და დარჩა მოუმწიფებელი. დანაყო-  
ფიდან აღებული მწვანე მასის მოსავალი უდრიდა 50 კგ-ს, რაც 100 მეტრიან  
ფართობზე გადაანგარიშებით მოგვცემს 165 კგ-მდე. თუ ეს მაჩვენებელი რაო-  
დენადმე შეინარჩუნა ცერცელამ უფრო დიდ ფართობზე დათესვის შემთხვევა-  
შიაც, მაშინ ჩანს ამ მცენარის თესვა სანაწვერალოდ საესებით გამართლე-  
ბულია.

### დ ა ს კ ვ ნ ა

1. ერთს წელიწადში ორი მოსავლის მიღების შესაძლებლობა ნაწვერალზე  
სხვადასხვა კულტურის თესვის გზით უნდა ჩაითვალოს დადასტურებულად  
ქართლის პირობებშიაც.

2. ნიადაგის საშემოდგომო ხენის პერიოდისათვის (სექტემბრის ბოლოს)  
შესაძლებელი უნდა იყოს ნაწვერალზე დათესილი ფერების მარცვლად აღება,  
სიმინდის აღება საქმიოდ დიდ მწვანე მასით და ნედლი ტაროების სახით. ნა-  
წვერალზე აღებული ლობით მოგვცემს მწვანე პარკებს. სიია საუცხოვო მასა-  
ლას სათივედ და სასილოსედ; გარდა იძლევა მწვანე მასის საქმიოდ დიდ რომ-

ჰენობას, ხოლო უფრო ნაადრევი ჯიშის შეჩერებით ან მოსაცლის აღების შემთხვევაში 10 დღით მოგვიანების შემთხვევაში შეიძლება მივაღწიოთ ბარდის მოწიფებული ოქსლის მიღებასაც. ფრიად საგულისხმო შედეგს იძლევა, აგრეთვე, ცერ-ცელია-ვიკა, რომელიც სანატერიალ კულტურის სახით იძლევა დიდი რაოდენობის მწვანე მასას, ვამოსაყენებელს როგორც თივის სახით, ისე ნიადაგში ჩასახავადა.

3. ის გარემოება, რომ 1940 წლის ზაფხულის მეტად არახელსაყრელი ამინდის (მკვეთრი გვალვიანობა) პირობებში ნაწყერალზე ნათეშმა მცენარეებმა მაინც მოგვცა საქმაოდ თვალსაჩინო ეფექტი, გვაძლევს უფლებას დაგესვენათ, რომ ქართლისათვის უფრო ნორმალური წლების პირობებში ამ ღონისძიების ეფექტი კაცილებით უფრო მაღალი იქნება.

4. ეს წინასწარი შედეგები, მიღებული მეტად მცირე ფართობებზე, აუცილებლად ხდის ცდების გაგრძელებას უფრო დიდ საცდელ ნაკვეთებზე, უფრო მაღალი აგროტექნიკის ხმარებით და უკეთესად შერჩეული ჯიშებით.

Ю. ЛОМОУРИ и П. ГВАРДИАДЗЕ

## К ВОПРОСУ О ПОЖНИВНЫХ КУЛЬТУРАХ

Проблема получения двух урожаев за один вегетационный год, путем посева по живилю определенной группы с-х растений, привлекающая внимание агрономических кругов и в условиях мирного социалистического труда, приобретает сугубо важное хозяйственное значение в переживаемый период отечественной войны, когда задача бесперебойного снабжения продовольствием сельского хозяйства фронта и тыла требует максимального использования всех хозяйственных ресурсов и природных возможностей страны. В Грузии в целом и в частности в ее восточных районах имеются все данные для широкого распространения пожнивных культур даже в нагорной зоне, где путем этого мероприятия легко можно добиться получения значительного количества зеленой массы. В предгорной полосе пожнивные культуры могут дать также отличный материал для силоса (кукуруза, подсолнух, горох и проч.). Но в особенности интересна в этом отношении т. наз. низменная зона до высоты 400-450 м. над у. м. характеризующаяся большим количеством тепла и длинным периодом вегетации, далеко не в полной мере используемых колосовыми хлебами.

Даже простой подсчет обычных метеорологических данных указывает, что в громадном большинстве районов низменной зоны такая культура, как пшеница (не говоря уже про ячмень) в состоянии освоить для своего полного развития всего лишь 40—50% получаемой суммы тепла выше 10°, оставляя неиспользованным период вегетации от 90 до 110 дней.

При наличии таких условий низменная поливная зона Кахетии и Карталинии смело может быть использована для получения вторичного урожая ряда с-х культур в различной степени созревания. Такой способ „удвоения“ урожая не остался незамеченным со стороны сельскохозяйственной практики и в ряде районов, главным образом, Кахетии уже давно применяют посев по ячменному живилю проса и ранних сортов кукурузы, получая в большинстве случаев удовлетворительный урожай зерна и стеблевых частей.

В противоположность этому научно-исследовательскими учреждениями Грузии вопрос о пожнивных культурах почти не затрагивался не только в части специфических приемов агротехники, но и в смысле простого подбора пригодных для этой цели растений. В тематике наших опытных учреждений пожнивные культуры нашли свое место только за последние 2-3 года и в силу этого полученные результаты носят лишь предварительный, сугубо ориентировочный характер.

К числу их относится и тот небольшой опыт, который проведен кафедрой Растениеводства летом 1940 года на полях колхоза им. III интернационала в сел. Квемо-Скра Горийского района. В качестве подопытных растений были выбраны: просо, кукуруза из 6 №-ов, горох, фасоль из 3 №-ов, вика и соя „чиатурская“. Все указанные растения были высеяны по живилю ячменя, убранного 6/VII. Через 2 дня участок был вспахан на 18 см, проборонован в два следа, разбит на соотв. число делянок. Посев (ручной) произведен 12-13 июля. За период вегетации проведены: двукратное мотыжение и поливка напуском воды по междурядиям. Довести опыт до конца, т. е. до прекращения вегетации, к сожалению, не удалось, т. к. по независящим от нас обстоятельствам пришлось приступить к уборке значительно раньше намеченного срока: вместо 10 октября уборка произведена 23/IX. В силу этого в момент фактической уборки растения находились в различной стадии созревания.

В результате подсчета урожая и оценки полученных данных можно притти к следующим выводам:

1. Просо к моменту уборки (23/IX) находилось в фазе полной зрелости. Как по массе всей надземной части урожая, так и по количеству и качеству полученного зерна просо бесспорно можно рекомендовать в качестве пожнивной культуры почти во всех районах низменно поливной зоны Восточной Грузии.

2. Из шести №-ов кукурузы в момент уборки ни один не доходил до полной зрелости, но большинство из них находилось в начальной фазе этого периода созревания, на что указывает и то обстоятельство, что почти во всех образцах зерно обнаруживало от 88 до 95% всхожести. Нет никакого сомнения, что в случае пере-

поса срока уборки до первой декады октября, если не все, то во всяком случае большинство высейных №-ов дало бы в урожае вполне нормально созревавшее зерно. Из числа высейных 6 №-ов как по количеству общей массы всего урожая, так и по качеству и степени созревания зерна наилучшие результаты показал сорт "Северная Дакота", кремнистая белая (по каталогу Вир-а № 1180), а также "Канадская" зубовидная желтая № 5743. Местный сорт "белая кремнистая" хоть и уступает по вышеназванным показателям этим двум сортам, но все же дает достаточно удовлетворительные результаты, опережая в этом отношении таких представителей из числа ранних сортов, какими являются Канадская желтая кремнистая (№ 1043) и Канадская красная кремнистая (9718).

В результате можно с уверенностью сказать, что в низменной зоне Карталинии, при соответствующем подборе ранних сортов, пожнивной посев кукурузы легко может дать достаточный урожай вполне созревшего зерна; в крайнем же случае, при неблагоприятных условиях погоды (дождливая осень, ранние холода) пожнивной посев кукурузы обеспечивает получение большого количества продукции как для силоса, так и для скармливания скоту в зеленом виде.

3. Все три № фасоли (сорта: красно-пестрая из Рачи, красно-пестрая Чиатурская и красная местная, т. наз. "кукурузная") были убраны в различной степени развития бобов, но нет у нас основания предполагать, чтоб какой-либо из них мог дойти до полной зрелости к концу первой декады октября. Вероятно, что пожнивная культура фасоли в низменной зоне Карталинии может обеспечить сбор лишь недозрелых бобов, широко потребляемых населением как в свежем, так и предварительно засушенном виде.

4. Соя "Чиатурская" за весь период роста выделялась своим свежим, здоровым видом. Плодоношение было также достаточно обильное и к моменту уборки семена достигали до начала полной или конца восковой спелости. Есть основание предполагать, что в условиях, аналогичных колхозу им. III Интернационала в селении Квемо-Скра, пожнивной посев сои может дать продукцию, пригодную как для корма в виде сена или силоса, так и с целью применения ее в качестве сидерата.

5. Значительно дальше в своем развитии, чем фасоль и соя, был убран горох, который в качестве пожнивной культуры заслуживает серезного внимания. Даже к моменту досрочной уборки семена в бобах были в таком состоянии спелости, что достаточно было 7-10 дней для получения вполне созревшего зерна.

6. Вика по высоте роста и по ходу развития значительно отставала от гороха. Несямотря на низкий рост, общая продукция зеленой массы все-же была довольно значительной. В таком случае пожнивной посев вики мог бы найти применение или в виде выпаса для скота или для запаски в качестве зеленого удобрения.

ე. ბალახშვილი

## ბალახშვილის ოპტიმალური ვადები ჩართულის დაბლობ ნაწილში

უკანასკნელ წლებში საქართველოში კულტურული ბალახებით ნათესი ფარ-  
თობი თვალსასინოდ გაიზარდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ვერ აქმყოფილებს ჩვენი  
ქვეყნის გაზრდილ მოთხოვნილებას თესლბრუნვის შემოღებასა და სოციალის-  
ტური მეცხოველობის განვითარებასთან დაკავშირებით.

საომარ ყითარებაში სოციალისტური მეცხოველობის წინაშე დასმული  
ამოცანები, სახელდობრ, 1942 წლისათვის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა სა-  
ქმნლის სულადობის გადიდება 26,7%-ით, ცხვრისა და თხის—28,3%-ით, ღო-  
რის—37,3-ით, ცხენის—7,2%-ით, მოითხოვს მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.  
ამიტომ მიმდინარე წელს, როგორც საქ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (პ) ც. კ-ის  
დადგენილებაშია ნათქვამი, უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საკვები  
კულტურების, განსაკუთრებით, ბალახთესვის საქმეს.

უნდა ითქვას, რომ საკვები ბალახების აგროტექნიკა, კერძოდ თესვის  
ვადები, საქართველოში არასამარისად არის დადგენილი. იმ წერილის მიზანია  
მემინდევრებობის რესპუბლიკურ საცდელ სადგურზე (ახალუბანი, მცხეთის  
რაიონი) 1936—37—38 წლებში ჩატარებული ცდების შედეგთა საფუძველზე  
გაფაშუქრო ბალახთესვის ვადების საკითხი ქართლის დაბლობი ნაწილისათვის  
და ამით მცირეოდენი წვლილი შევიტანოთ ბალახების აგროტექნიკის გაუმჯო-  
ბესების საქმეში.

მემინდევრებობის რესპ. საცდელი სადგური (ამჟამად სელექციის სადგური) მდებარეობს მუხრანის დაბლობში სოფ. ახალუბნის ტერიტორიაზე, მდ. არაგვის  
მარჯვენა მხარეზე—სოფ. ნატახტარიდან 3 კილომეტრის მანძილზე. მისი გეო-  
გრაფიული მდებარეობა განისაზღვრება კორდინატებით—ჩრდილო განედი  
41°52'' და აღმოსავლეთ გრძედი 44°30''. სიმაღლე ზღვის დონიდან, დაახლოე-  
ბით, 500 მეტრს უდრის.

საცდელი მინდორი ნაწილია ე. წ. მუხრანის დაბლობისა, რომელიც თა-  
ვის მხრივ მდ. მტკერის, ქსნის, არაგვისა და ნარეკვავის ალუვიური წარმონა-  
შობია და ამოქსებულია დელუვი-პროვილური და ალუვიური დანალექებით.  
როგორც პროფ. დ. გედეგანიშვილის გამოკველვებიდან და მისივე რუკიდან  
ჩანს, საცდელი მინდორი წარმოადგენს ყავისფერ საშუალო თიხნარ ქვეშუქრილ  
ლორმლიან, ძლიერ კარბონატულ ნიადაგებს. მათ ახასიათებთ ყავისფერი ჰუმუ-  
სიანი ჰორიზონტი, ბელტოვან-გორბოვანი სტრუქტურა, თიხნარ მექანიკუ-  
რი შემადგენლობა, მკვრივი ან გამკვრივებული აგებულება, ამავე დროს არა  
ხილხატიანობა და ზედაფენებიდანვე კირიანობა ითვლება ამ ნიადაგების დამა-  
ხასიათებელ ნიშანად.

ნათესავის ნათლად აღასტურებს დოკ. გ. ტარასაშვილის ნაშრომში<sup>1</sup> მოყვარული მასალა:

ჭრის სიღრმე	CaCO <sub>3</sub>	მილიმეტრობით					ტენი	N <sup>o</sup> %	N შესათვა- ლი გრ. ნიაზ-	P <sup>o</sup> %, შესათვა- ლი 100 გრ.ნიაზ-	PH	მშრალი ნა- ტურალუ- რის გამოწვევა	
		1— 0,25	0,25 0,05	0,05 0,01	0,01 0,01								
4—14	18,8	6,08	17,02	21,01	49,69	2,35	0,16	52,2	300	7,2	0,4		
25—35	20,7	1,7	26,35	5,94	58,02	1,47	0,15	—	ნაზ.	7,3	0,03		
60—70	22,2	2,53	24,10	14,43	48,48	1,27	0,08	16,8	400	7,2	0,08		
85—95	22,7	1,52	45,27	10,80	37,00	0,28	0,02	16,8	180	7,4	0,15		

მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ნიადაგები მთელ სილიმეზე ხასიათ-დებიან საშუალო თანხარი მექანიკური შემადგენლობით, ჰუმუსს შეიცავენ არა დიდი რაოდენობით, მაგრამ ხასიათგებიან თანაბარი განაწილებით ნიადაგის პროფილში, რაც ველის ტიპის ნიადაგისათვეის, საზოგადოდ, დამახასიათებელ თვეისგას წარმოადგენს. აზოტის მთელი რაოდენობაც არ არის დიდი ამ ნიადაგებში და შეესაბამება ჰუმუსის საერთო რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ აზოტის მთელ რაოდენობასთან შედარებით შესათვისებელი აზოტის რაოდენობა ამ ნიადაგებისა ზედაუნაში—სახნავ ჰორიზონტში მცირე არ არის. იგი 100 გრამ ნიადაგებში 52,2 მილიგრამს შეადგენს. ასევე ითქმის შესათვისებელ ფოსფორჩედაც. რაც შეეხება კარბონატებს ( $\text{CaCO}_3$ ), როგორც მონაცემებიდან ჩანს, მას დიდი რაოდენობით შეიცავს ეს ნიადაგები მთელ სილიმეზე. თუმცა საკიროა ალინიშნოს, რომ  $\text{CaCO}_3$ -ის პროფილში განაწილების მხრივ ვამჩნევთ მის გადა-ადგილებას (ჩარეცხვას) ზედა ფენებიდან ქვედა ფენებში. აქტიური მექანიზმის (PH) ანალიზის მონაცემებიდან ჩანს, რომ ეს ნიადაგები სუსტი ტუტი რეაქციით ხასიათდება მთელ სილიმეზე.

რაც შეეხება წყალში ხსნად საერთო ნივთიერებებს (მშრალ ნაშთს)—მეტად უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავენ მათ ეს ნიადაგები.

ამ დაბლობის ჰავა 3500—4000 სითბოს ჯამით ხასიათდება მრავალი წლის მონაცემების მიხედვით (სელიანინოვი). ყველაზე ცხელ თვეებად ივლისი და აგვისტო ითვლება, ცივ თვეებად—იანვარი და თებერვალი. მაქსიმალური ტემპერატურა (მუხრანში) 35,6°-ია და მინიმალური—29,0°. ნალექების წლიური რაოდენობა მუხრანის მეტეოროლოგიური სადგურის ცნობების მიხედვთ, საშუალოდ, 500 მმ-დე აღწევს. წლის განმავლობაში ნალექები არათანაბრად ნაწილდება, მაქსიმალური რაოდენობა გაზაფხულის დამლევს და ზაფხულის დასაწყისში (მაის-ივნისში) მოდის, მინიმალური—ზამთარში.

გაზაფხულის დამლევს ამ დაბლობში იცის, აგრეთვე, კოისპირული წვიმები. ყარაიასთან შედარებით ეს რაიონი უფრო ცივი და ტენიანია.

<sup>1</sup> მუხრანის საბჭოთა მეურნეობის ცენტრალური ტერიტორიის საექნახე ნაკვეთის ნიადაგები, ხელნაწერი, 1939 წ.

ქარები უმთავრესად ჩრდილო-დასავლეთიდან ქრის აღმოსავლეთისაკენ ხშირად ქარი გრიგალის ხასიათს ლებულობს და დიდ ძალას აღწევს (44 მეტრს წამში). ხშირი ქარებისა და ნალექების არათანაბარი განაწილების გამო ნიდა-გები ძალიან შერება და ხელოვნურ მორწყვებს საჭიროებს. მოსარწყავიდ ხმარო-ბენ არავისა და ნარევების წყალს.

ცდებისათვის ალებული გვერნდა ექვსი კულტურა. ერთწლიანი ბალახე-ბიდან: 1. ცერცველა—*V. sativa* და 2. ბარდა—*P. arvense*. მრავალწლიანი ბა-ლახებიდან: 1. ონჯა თურქენისტანის—*M. sativa*, 2. წითელი სამყურა—*T. pratense*, 3. ესპარცეტი—*O. sativa* და 4. ძიძმ ყვითელი—*M. officinalis*. აღნიშნული კულტურები გამოვცადეთ როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხუ-ლო თესვის პერიოდში.

ცდის მეთოდი კა. დანაყოფის სიგრძე იყო 30 მეტრი, სიგანე—3,6. სულ დანაყოფის ფართობი საფარიანად 108 მ²-ს შეადგენდა. აქედან, საალრიც-ხეო 100 მ² იყო. დანაყოფებს შორის გზების სიფართოვე 0,4 მეტრს უდრიდა. ცდაში მონაწილე ჰველა ვარიანტი აღებული იყო ოთხ განმეორებად.

დანაყოფზე მიღებულ მწვანე მასას (მოსავალს) გამოთიბებისთანავე ვწონი-დით. სანიშვნო ძნების წონა უდრიდა 10 კგ-ს. გაშრობის შემდეგ კვლავ ვწო-ნიდით და თივის მოსავალს ამის მიხედვით ვანგარიშობდით.

მოსავლის საშუალო არითმეტიკულ დამუშავებულია 6. ფ. დერცვეციის „სტატისტიკური დამუშავების და მონაცემების შეფასების მეთოდით“.

ცერცველას და ბარდას თესვის ვადები. 1936 წლის გაზაფ-ხულზე დაყენებული ცდისათვის შერჩეული ნაკვეთი ნასიმინდარი იყო და ადრე გაზაფხულზე, 14 თებერვალს, მოელ სილრმეზე (18—20 სმ) მოვხანით.

ორივე კულტურა დაითესა ჩვეულებრივი, თავთავიანი კულტურების მწერივში სათესი მანქანით. თითოეული მათგანი ჰქექტარზე 150 კგ-ის ანგარი-შით 3—5 სმ-ის სილრმეზე 20 და 30 მარტს, 10 და 20 აპრილს. მარტში თეს-ვის დროს ნიადაგი გამომშროლი იყო, მაგრამ თესვის შემდეგ წვიმები მაღე დაიწყო და ჰველა ვადაში დათესილი ბალახები 10—12 დღეში მასობრივად აღმოცენდა.

ადრე ვადებში (მარტში) დათესილი ბალახი—ცერცველა და ბარდა კარ-გად განვითარდა. აპრილში, განსაკუთრებით 20 აპრილს, დათესილი ბარდა ძალიან სუსტად იზრდებოდა და ისე გავთიბეთ 19 ივნისს, რომ ყვავილის გა-მოტანაც ველი მოასწრო.

მოსავალი ავტომატურით. მასობრივი ჰველი და ბალახების სი-მაღლე და მოსავალი აღნიშნულია 1-ლ ტაბულაში.

ტაბ. 1

თესვის ვადები	მოსავლის აღების დრო	ბარდა		ცერცველა	
		სიმაღლე სმ-ობით	თივის მოს. ც-ობით ჰა-ზე	სიმაღლე სმ-ობით	თივის მოს. ც-ობით ჰა-ზე
20 მარტი . . .	2—	96	25,0	62	22,3
30 . . .	7—6	92	24,0	59	30,0
10 აპრილი . . .	15—6	61	23,5	56	21,8
20 „ . . .	19—6	43	11,8	44	16,8

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, მარტის დასაწყისში დათესილი ბალანსი კარგად განვითარდა, მაისის უკანასკენელ რიცხვებში იყვავილდა და დიდი მოსავალიც მოგვცა, ხოლო 20 აპრილს დათესილი სუსტად განვითარდა, განსაკუთრებით ბარდა, და მოსავალიც ისე ვიღეთ 19 ივნისს, რომ ყვავილის გამოტანაც ველარ მოასწრო. 20 მარტს დათესილმა ბარდამ 25 ცენტნერი თივა მოგვცა, 20 აპრილს დათესილმა—11,8 ცენტნერი, ე. ი. ერთი თვეთ გვინდათესილმა 13 ცენტნერით ნაკლები. სხვა ვადებში დათესილი ბალახები მოსავლის მიხედვით დიდ განსხვავებას არ იძლევა, მაგრამ ადრე დათესილი ცერცველა და ბარდა მინდოოს მაღლ ათავისუფლებს, რასაც სამეურნეო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს.

პირველი მოსავლის აღების შემდეგ ნათესისათვის აღარ მოგვიყელია (არც მოგვირწყავს). მიუხედავად ამისა, მარტში დათესილი ცერცველა მაინც გაიზარდა და 15 ივნისისათვის საშუალოდ 25—30 სმ-ს მიაღწია, მაგრამ აბრეშუმას გვარცელების გამო ვეგეტაციის გაგრძელება აღარ ვაცალეთ და ჩაეხანით.

ეს ცდა 1937 წელს განვიმეორეთ უფრო აღრეული თესვის ვადების შესწავლის მიზნით. დამატებით ავიღეთ ორი ახალი ვარიანტი (2—10 მარტს). თებერვალი და მარტი ძალიან შერალი იყო და ადრე დათესილი ბალახების აღმოცენება 20—25 დღით დაგვიანდა.

ამ ცდიდან მიღებული შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ ბარდას თესვა უმჯობესია მარტის შუა რიცხვებში. 2 მარტს დათესილმა ბარდამ 28,1 ცენტნერი თივა მოგვცა, 20 მარტს დათესილმა—42,8 ცენტნერი, 20 აპრილს დათესილმა კი—39,1. 20 მარტს დათესილმა, სხვა ვადებთან შედარებით, 3—14 ცენტნერით მეტი მოსავალი მოგვცა.

ცერცველი, 2 მარტს დათესილმა, მოგვცა 40,1 ცენტ. თივა, 10 მარტს დათესილმა—53 ცენტნერი, 20 აპრილს დათესილმა კი—30,1. 10 მარტს დათესილმა, სხვა ვადებთან შედარებით, 11—22 ცენტ. მეტი მოსავალი მოგვცა.

ამ ქულტურების შემოდგომაზე თესვის შესაძლებლობის შესწავლის მიზნით გამოვცალეთ საშემოდგომო თესვის ვადებიც. 15 სექტემბერს დათესილი ცერცველა და ბარდაც 5—7 დღეში აღმოცენდა და კარგადაც განვითარდა. სიცივეების დაწყების მომენტისათვის (3 ნოემბერს) ბალახის სიმაღლემ საშუალოდ 11—25 სმ-დე მიაღწია. 15 ოქტომბერს დათესილი ახალი აღმოცენებული იყო, ხოლო 30 ოქტომბერს დათესილი ზამთარში თესლად ჩატყადა.

ცერცველის და ბარდას შემოდგომაზე განვითარებულმა ვეგეტატიურმა მასამ უთოვლო ზამთრის ყინვებს ველარ გაუძლო და პირველ სამ ვადაში (15/9, 1/10—15/10) დათესილი ბალახი მთლიანად დაიღუპა. 30 ოქტომბერს დათესილი ბალახები კი, გაზაფხულზე ძალიან ცოტა აღმოცენდა და მაისის დამლევს (21—25-ს) იყვავილდა. ყვავილების წინ ერთხელ გაიმარგლა და 25 მაისს ორივე ბალახ გაითიბა. 30 ოქტომბერს დათესილმა ცერცველამ მოგვცა 10,1 ცენტნერი თივის მოსავალი, ბარდამ კი—6,4 ცენტნერი.

ამრიგად, ამ მონაცემების მიხედვით, ცერცველის და ბარდას შემოდგომაზე თესვა უთოვლო ან მცირეთოვლიანი ზამთრის პირობებში (რაც დამახასიათებელია მუხრანის დაბლობისათვის) არ შეიძლება. გაზაფხულზე, მარტის შუა რიცხვებ-

ში დათესილი სწრაფად იზრდება, მინდორს მაღვ (მაისის დამლევს) ათავისუ შესაძლებლად მიგვაჩნია რომ რწყვის პირობებში ეს ბალახები ანეულებშიაც დაითესოს და მოსავლის აღების შემდეგ ნიადაგი უკეთესად მომზადდეს საშემოდგომო ხორბლისათვის. ასევე შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ცერცველას და ბარდას მოსავლის აღების შემდეგ საადრეო სიმინდიც ნორმალურად განვითარდეს.

კველა ეს მოსაზრება, რაღა თქმა უნდა, ექსპერტიმენტული წესით შესწავლას საჭიროებს.

ო რ ჯ ა — *M. sativa*. თესვის დროის შერჩევას იონჯისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გვიან შემოდგომაზე თესვის შემთხვევაში მისი გაღიმება და აღმოცენება ნელა მიმდინარეობს—სველსა და ცივ ნიადაგში ველარ ასწრებს ფესვთა სისტემის ნორმალურად განვითარებას, ზამთარში შედის მოუმავრებელი, რაღა თქმა უნდა, ასეთი ნათესი აჟარილად ზიანდება და გაზაფხულზე ძლიერ დასუსტებული გამოდის. ზედმეტად იდრე გაზაფხულზე თესვაც საფრთხილოა, რადგანაც ახლად აღმოცენებული იონჯის ნათესი ნაგვიანევი ყინვებისაგან ადვილად ზიანდება.

უნდა გვახსნოვდეს, რომ იონჯის თესლი წერილია და საჭიროებს ზერდედ, არა უმეტეს 1—2 სმ-ის სიღრმეზე, თესვის. უფრო ღრმად მისი დათესვა შეიძლება მხოლოდ ფხვიერ-მსუბუქ ნიადაგებში. ამავე დროს იონჯის თესლი გაღიმებისათვისაც უფრო მეტ წყალს საჭიროებს (თავისი წონას 87%-ს), ვიდრე ხორბალი (50%-ს). საჭირო არის ყოველივე ამის გათვალისწინება და ისეთი პერიოდის შერჩევა თესვისათვის, როდესაც ტენისა და სითბოს გარკვეული რევიმი მაქსიმალურად ხელშემწყობ პირობებს შეუქმნის მცენარეს განვითარებისათვის. რაღა თქმა უნდა თესვის შერჩეული ვადა უნდა ეთანხმებოდეს რაონის ქლიმატურ პირობებს.

მემინდევრობის რესპ. საცდელ სადგურზე (ახალუბანში) 1936 წ. ჩვენ მიერ ამ საკითხზე ჩატარებული ცდების შედეგები მოცემულია მე-2 ტაბულაში.

ტაბ. 2.

თ ე ს ვ ი ს ვ ა დ ე ბ ი	თივის მოსავალი ც-ობით ჰა-ზე		
	I გათიბვა	II გათიბვა	ს უ ლ
20 მარტი	16,12	5,63	21,75
30 მარტი	18,51	7,31	25,82
10 აპრილი	18,45	5,08	23,48
20 აპრილი	15,55	6,05	21,6

20 მარტს დათესილი იონჯა არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში (იანვარი, თებერვალი, მარტი მშრალი იყო, ყინვები აპრილშიაც გაგრძელდა) მოექცა და ამის გამო მისი აღმოცენება ძალიან გაიკანურდა, თესლი დაობდა და ნაწილობრივ დალა კიდეც. ამრიგად, 20 მარტს დათესილი თხელი გამოვიდა

და შემდეგ წლებშიაც სუსტად განვითარდა. უფრო გვიან ვადებში (30 მარტს 10 აპრილს) დათესილ იონჯას კარგი ამინდი დაესწრო და უკეთესადაც განვითარდა.

იმავე წლის შემოდგომაზე დაყენებული ცდიდან მიღებული შედეგები მოცემულია მე-3 ტაბულაში.

ტაბ. 3.

თესვის ვადები	თვეის მოსავალი ც-ობით ჸ-ზე				ს უ ლ
	I გათიბვა	II გათიბვა	III გათიბვა		
1 სექტემბერი . . .	4,4	7,1	12,1		23,6
15 სექტემბერი	5,6	7,2	13,4		27,1
1 ოქტომბერი . . .	4,2	6,7	9,1		20,0
15 ოქტომბერი . . .	1,9	5,4	9,2		16,5

გვიან შემოდგომაზე დათესილი იონჯა ზამთარში მოუმაგრებელი შევიდა ყინვებისაგან დაზიანდა, გაზიარებულზედაც საქმარისად გელარ განვითარდა და როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, დაბალი მოსავალი მოგვცა. მართალია შემდეგ წლებში გვიან შემოდგომაზე დათესილი იონჯა თანდათანობით გასქელდა, მოსავლიანობით ადრეულ ვადებში ნათესებს მიუახლოვდა, მაგრამ აღრე ვადებში თესვის უპირატესობა მაინც ძალაში დარჩა.

საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვის ვადების ურთიერთ შედარება გვიჩვენებს, რომ იონჯის თესვა ადრე შემოდგომაზე უმჯობესია. ამრიგად, თუ ამ მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, ქართლის დაბლობი ნაწილისათვის იონჯის თესვის ოპტიმალურ ვადებად შემოდგომაზე სექტემბრის შუა, ხოლო ვაზაზე ურთიერთ შედარება—მარტის ბოლო რიცხვები უნდა ჩაითვალოს.

წითელი სამყურა—*T. pratense*, ესპარცეტი—*O. sativa*. ამ კულტურების საშემოდგომო თესვის ვადების შესასწავლად გამოყოფილ ნაკვეთზე 1936 წელს ქერი ეთესა. მოსავლის აღების შემდეგ ნაწერებალი 18 ივნისს აეჩერეთ, 28 აგვისტოს მოეხანით და ერთდროულად „ზიგზაგით“ დაფუარცხეთ.

ორივე მათგანი დავთესეთ მწყრივში სათესი მანქანით—სამყურა 15 კგ-ის რაოდენობით ჰქეტარზე, ხოლო ესპარცეტი—160 კგ-ის რაოდენობით. გვალვაბის გამო (აგვისტოში ნალექი 9,9 მმ-ს შეადგენდა) თესვის პირველი ვადისათვის (1—9) ნიადაგი ძალიან გამომშრალი იყო და ამის გამო 1 სექტემბერი დათესილი სამყურა და ესპარცეტი გვიანამდე არ აღმოცენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგი კარგად მომზადებული იყო, სარეველები მაინც მოერთა და ამ ცდაში დათესილ ბალახებს გამარგვლა ორჯერ მაინც დასჭირდა.

ესპარცეტი პირველი ვათიბვის (25 მაისს) შემდეგ დაიფარცხა „ზიგზაგით“. მოირწყო კიდეც, მაგრამ იმ წელიწადს მეტი მოსავალი აღარ მოუცია. სამყურა, მიუხედავად გვიან გათაბვის (პირველად 14 ივნისს გაითიბა), ასეთივე მოვლის პირობებში, იმ წელიწადს, ე. ი. 1937 წ., სამჯერ მაინც გაითიბა.

საქართველოს კუთხეობის მინისტრის მიერ გამოცემის შესახებ ცნობებს (1937 წ.) იძლევა

მე-4 ტაბულა.

ესპარცეტი (1936 წ. შემოდგომაშე ნაოცი)

ტაბ. 4.

თესვის ვადები	აღების დრო	სიმაღლე სმ-ობით	თვეის მოსავალი ც-ობით ჰა-ზე
1 სექტემბერი . . .	25/5	39	60
15 სექტემბერი . . .	"	47	10,7
1 ოქტომბერი . . .	"	40	5,9
15 ოქტომბერი . . .	27/5	25	7,2

სამყურა (1936 წ. შემოდგომეზე)

თესვის ვადები	I გათიბეა			II გათიბეა			III გათიბეა			სულ მოსავალი
	აღების დრო	სიმაღლე სმ-ობით	თესვის ც-ობით ჰა-ზე	აღების დრო	სიმაღლე სმ-ობით	თესვის ც-ობით ჰა-ზე	აღების დრო	სიმაღლე სმ-ობით	თესვის ც-ობით ჰა-ზე	
1 სექტემბერი .	14/6	43	23,0	15/7	52	30,3	17/8	48	17,8	71,0
15 სექტემბერი .	"	47	27,0	"	51	30,9	"	51	18,6	76,5
1 ოქტომბერი .	18/6	47	27,8	21/7	48	30,3	"	51	19,5	77,6
15 ოქტომბერი .	"	43	12,7	"	46	28,7	"	58	15,6	57,0

როგორც უკვე აღნიშნეთ, 1-ლ ვადაში თესვის დროს ნიადაგი ძალიან გამიგვალული იყო და ნიადაგის დიდი სიმშრალისა და აღმოცენების დაგვიანების გამო ნაწილი თესლისა გაფუჭდა. მის გამო 1-ლ სექტემბერს ნათესი გათხელდა, ხოლო ოქტომბერში დათესილი ბალახი ზამთარში მოუმაგრებელი ჩაყვა და ყინვებისაგან დაზიანების გამო მა პერიოდში ნათესი ბალახებიც გათხელდა. მა მიზნებით უნდა აიხსნას ძირითადად აღრე და გვიან ვადებში დათესილი ბალახების დაბალი მოსავალი. გვიან ვადებში დათესილი ბალახები იმდენად სუსტი იყო, რომ 15 სექტემბერს დათესილს მეორე წელიწადაც ვერ გაუთანაბრდა. ორი წლის შეჯამებული მონაცემების მიხედვით პატიმალურ ვადაში—15 სექტემბერს დათესილმა სამყურამ სხვა ვადებთან შედარებით თვეის მოსავალი 30—31 ცენტრერით მეტი მოგვცა. ეს მდგომარეობა ძით უნდა აიხსნას, რომ თავის დროზე (სექტემბრის შუა რიცხვებში) დათესილი სამყურა ძლიერ ფესვთა სისტემას შემოდგომაზევე ივითარებს, მომაგრებული მცენარე გაზიაფებულზე მალე იზრდება და პირველ წელს ვერ დიდ მოსავალს იძლევა. გვიან დათესილი სამყურა კი, სუსტად დაფუსვიანებული ციფ და უთოვლო ან მცირე თოვლიანი ზამთრის პირობებში ადვილად ზინდება, ნათესი თხელდება და მოსავალიც საგრძნობლად (30—31 ცენტრერით) მცირდება.

შემოდგომაზე დათესილი ესპარცეტი, საერთოდ, სუსტად იზრდება და ყინვებისაგან უფრო ადვილად ზინდება, ვიდრე სამყურა. ცდაში აღებული თესვის ვადებიდან, მოსავალიანობის მიხედვით, სექტემბრის შუა რიცხვებში ნათესი უკათეს შედეგებს იძლევა.

სამყურასა და ესპარცეტის საგაზაფხულო თესვის ვადების შესასწავლებელი გამოყოფილ ნაკვეთზე 1936 წელს ქერი ეთესა. მოსავლის აღების შემდეგ ნაწევერალის აჩეჩა დაგვიანებით, 14 აგვისტოს, ჩატარდა. შემოდგომაზე +16 ოქტომბერს, მთელ სილრმეზე (18—20 სმ) მოიხნა და ერთდროულად „ზიგზაგით“ დაიფარცხა 1937 წლის გაზაფხულზე, 9 მარტს 5 ფრთიანი გუთნით გადაიხნა და თანმიცოლებით დაიფარცხა „ზიგზაგით“.

დაითხესა მწერივში სათესი მანქანით სამყურა—15 კგ-ის და ესპარცეტი—100 კგ-ის ანგარიშით ჰა-ზე. 1937 წელს გაზაფხული შედარებით შშრალი (თებერვალში 4,7 მმ და მარტში 7,8 მმ ნალექი მოვიდა) იყო და ამის გამო ამ ბალახების აღმოცენება, განსაკუთრებით სამყურასი, ძალიან გაჭირდა. 10 მარტს დათესილი სამყურა მხოლოდ 19 აპრილის შემდეგ აღმოცენდა. ესპარცეტი შედარებით უფრო მაღვე აღმოცენდა, მაგრამ სამყურაზე უფრო სუსტად ვითარდებოდა. საერთოდ, ამ ცდაში დათესილი ბალახები, განსაკუთრებით ესპარცეტი, სუსტად იჩრდებოდა, ნიადაგიც არასაქმარისად იყო მომზადებული (ნაწევრალი დაგვიანებით აჩეჩა), ბევრი სარეველა მოერია და ესპარცეტს თხვევრ, ხოლო სამყურას სამჯერ გამარგვლა დასჭირდა. სამყურა გაითიბა მასობრივი ყვავილობის დროს 20 ივლისს და პირველ წელიწადს ერთ მოსავალზე მეტი აღარ მოუცია.

სამყურას სიმაღლისა და მოსავლის შესახები ცნობები 1937 წელს მოცემულია მე-5 ტაბულაში (1937 წ. გაზ-ზე ნათესი).

ტაბ. 5.

თესვის ვადები	აღების დრო	სიმაღლე სმ-ობით	თივის მოსავალი ც-ობით ჰა-ზე
10 მარტი	.	20/7	45
20 მარტი	.	"	48
30 მარტი	.	"	52
16 აპრილი	.	"	45
20 აპრილი	.	"	42

როგორც მე-5 ტაბულიდან ჩანს, გაზაფხულზე თესვის ვადებიდან მარტის შეორე ნახევარში თესვა უკეთეს შედეგებს იძლევა. ასე, მაგ., 20 მარტს დათესილმა სამყურამ, 10 მარტს დათესილთან შედარებით, თივის მოსავალი 5,5 ც-ით მეტი მოგვცა, ხოლო 20 აპრილს ნათესთან შედარებით — 2,8 ცენტინერით მეტი.

ესპარცეტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნელა იჩრდებოდა. ისე გაითიბა 3 სექტემბერს, რომ ყვავილის გამოტანა ვერ მოასწორო.

ცნობები ესპარცეტის სიმაღლისა და მოსავლის შესახებ 1937 წელს მოცემულია მე-6 ტაბულაში.

მე-6 ტაბულის მონაცემების მიხედვითაც უკეთეს შედეგებს (როგორც სამყურას მიმართ ვთქვით) მარტის მეორე ნახევარში დათესილი ესპარცეტი იძლევა. ასე, მაგ., 20 მარტს დათესილმა ესპარცეტმა, სხვა ვადებთან შედარებით, მოსავალ ითითქმის ორი ცენტინერით მეტი მოგვცა.

თესვის ვადები	ალების დრო	სიმაღლე სმ-ობით	თივის მოსავალი ც-ობით ჰა-ზე
10 მარტი . . . .	3/9	28	11,5
20 მარტი . . . .	"	30	13,3
30 მარტი . . . .	"	29	12,8
16 აპრილი . . . .	"	29	12,5
20 აპრილი . . . .	"	29	11,6

სამყურას მარტის მეორე ნახევარში თესვის უპირატესობა შემდეგ წლებშიაც არ შეცვლილა. ასე, მაგ. 20 მარტს დათესილმა სამყურამ, სხვა ვადებთან შედარებით, 8—14 ცენტნერით მეტი მოსავალი გამოიღო. ესაარცეტი უკეთეს შედეგებს იძლევა ოუ იგი 30 მარტს არის დათესილი. საერთოდ, მოსავლანობის მხრივ, ესაარცეტის მიმართ თესვის ვადები დიდ განსხვავებას არ იძლევა.

საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვის ვადების ურთიერთ შედარება გვიჩვენებს, რომ სამყურას თესვა შემოდგომაზე სექტემბერში უმჯობესია. ამ დროს დათესილი სამყურა გაზაფხულიდან მაღე გაიზარდა, პირველ წელსაც სამჯერ გაითიბა და 76—77 ცენტნერი თივის მოსავალი მოგვცა, ხოლო გაზაფხულზე, ოპტიმალურ ვადაში—20 მარტს დათესილი მხოლოდ ერთხელ გაითიბა და 16,5 ცენტნერი თივის მოსავალი მოგვცა.

ესაარცეტის თესვა გაზაფხულზე უმჯობესია. 20 მარტს დათესილი ესაარცეტი პირველ წელიწადს ერთხელ გაითიბა და 13,3 ცენტნერი თივა მოგვცა, ხოლო შემოდგომაზე ოპტიმალურ ვადაში—15 სექტემბერს დათესილიც ერთხელ გაითიბა და, დაახლოებით, 4 ცენტნერით ნაკლები თივის მოსავალი მოგვცა.

ძირი—*M. officinalis*. ძირის საგაზაფხულო თესვის ვადების შესასწავლად გამოყოფილ ნაკვეთზე 1935 წელს ხორბალი ეთესა. მოსავლის ალების შემდეგ აუჩენებად დატოვებული ნაწერებით მოიხსნა 27—28 ოქტომბერს. ხნული ზამთარში დაუფარცხავიდ იყო დატოვებული და 1936 წლის 4 მარტს „ზიგზაგით“ დაიიფარცხა. ნაკვეთის გაწერნის შემდეგ 17 მარტს 5 ფრთიანი გუთნით გადაიხსნა და ერთდროულად „ზიგზაგით“ დაიიფარცხა.

დათესა მწერივში სათესი მანქანით ჰქეტარზე 15 კგ-ის ანგარიშით. აპრილში მოსულმა ნალექებმა (85,6 მმ) და ნიადაგის ტუტე თვისებებმა (როგორც ცნობილია ძირი კირის მოყვარული მცენარე) ძირის აღმოცენება დააჩქარა. დათესვის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში აღმოცენდა და კარგადაც განვითარდა. გაითიბა კოკრების გამოტანის დაწყებამდე. ბალახი ზერელედ (8—10 სმ) გაითიბა, მაგრამ პირველ წელიწადს ერთი მოსავლის მეტი მაინც აღარ მოუცია.

ცნობები ძირის სიმაღლისა და მოსავლის შესახებ 1936 წ. მოცემულია მე-7 ტაბულაში.

თესვის ვადები	აღების დრო	სიმაღლე მ-ობით	თვეის მოსავალი ც-ობით ჰა-ზე
20 მარტი . . . . .	7/7	52	26,5
30 მარტი . . . . .	"	51	25,0
10 აპრილი . . . . .	"	51	25,0
20 აპრილი . . . . .	"	52	22,6

როგორც მე-7 ტაბულიდან ჩანს, 20 მარტს დათესილი ძიძო უკეთეს მოსავალს იძლევა. 20 აპრილის ნათესთან შედარებით თვეის მოსავალი თითქმის 4 ცენტ. მეტი იყო. მეორე წელიწადს კულა ვადაში დათესილი ძიძო კარგად განვითარდა, მაგრამ ადრე ვადებში თესვის უპირატესობა მაინც ძალაში დარჩა.

საშემოდგომო თესვის ვადების შესახურად გამოყოფილ ნაკვეთზე 1936 წელს ქერი ეთესა. მოსავალის აღების შემდეგ ნაწვერალი 18 ივლისს აიჩეჩა, 28 აგვისტოს მთელ სილრმეშე მოიხსნა და ერთდროულად „ზიგზაგით“ დაიფარცხა. დაითესა მწერივში სათესი მანქანით ჰექტარზე 16 კგ-ის ანგარიშით. თესვის დროს წვერები დაგვესტრო და პირველ ვადაში—15 სექტემბერს დათესილი ძიძო 8 დღეში აღმოცენდა. იმ წელიწადს სიკივები მალე დაიწყო და გვიან ვადებში დათესილმა ძიძომ საქმიანისად მომაგრება ველარ მოასწრო, ცივი და მცირე თოვლიანი ზამთრის პირობებში ახლად აღმოცენებული (19—25/10) ძიძო ძალიან დაზიანდა.

გაზაფხულზე ნათესი გათხელებული გამოვიდა და სარეველებიც აღვილად მოერთა. ამ ცდაში დათესილ ძიძოს ხელით გამარგვლა გაზაფხულზე ორჯერ (21/4—2/5) დასჭირდა. გაათიანა კუპავილობის დროს 8 ივნისს. გათაბევის შემდეგ ამ ცდაში დათესილი ძიძო „ზიგზაგით“ დაიფარცხა, 25 ივნისს მოირწყო და იულისში მეორედ კიდევ გაითიბა. მეორე წელიწადს, ე. ი. 1938 წელს, ძიძო აღარ გაიზარდა და მოსავალიც აღარ მიგვიღა.

შემოდგომაზე გვიან ვადებში (1—15 ოქტ.) დათესილი ძიძო საერთოდ სუსტად განვითარდა—თითქმის სრულიად გაქრა.

ცნობები ძიძოს სიმაღლისა და მოსავალის შესახებ 1937 წ. მოცემულია მე-8 ტაბულაში.

ტაბ. 8.

თესვის ვადები	I მოსავალი			II მოსავალი			ს უ ლ
	აღების დრო	სიმაღ. მ-ობით	თვე. მოს. ც-ობით ჰა-ზე	აღების დრო	სიმაღ. მ-ობით	თვეის მოსავ- ც-ობით ჰა-ზე	
15 სექტემბერი . . .	8/6	68	26,8	14/7	45	48,6	75,4
1 ოქტომბერი . . .	"	45	8,0	"	61	13,7	21,7
15 ოქტომბერი . . .	"	59	3,8	"	63	11,4	15,2

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, 15 სექტემბერს დათესილმა ძიძომ ორჯერ გათიბევის დროს მოგეცა 75,4 ცენტ. თვეის მოსავალი, ხოლო ერთი თვეის შემდეგ 15 ოქტომბერს დათესილმა—15,2 ცენტ., ე. ი. 60 ცენტნერით ნაკლები.



ამრიგად, ბერე ვადებში თესვის უპირატესობა (ისე როგორც გაზაფხულზე) შემოდგომით თესვის შემთხვევაშიაც მტკიცდება. საშემოდგომო და საგანაციანო ხულ თესვის ვადების ურთიერთ შედარება გვიჩვენებს, რომ ძიძის თესვა შემოდგომაზე—სექტემბერში უჯოობესია. ამ ვადაში დათესილი ძიძი შემოდგომაზევი კარგად ივითარებს ფესვთა სისტემას, გაზაფხულზე მაღლ იზრდება და პირველ წელიწადს ორ მოსავალს იძლევა.

15 სექტემბერს დათესილი ძიძი პირველ წელიწადს ორჯერ გაითიბა და 75,4 ცენტ. თივა მოგვცა, ხოლო გაზაფხულზე ოპტიმალურ ვადაში დათესილი პირველ წელიწადს მხოლოდ ერთხელ გაითიბა, მეორე წელიწადსაც ერთხელ გაითიბა და ორი წლის განმავლობაში მოგვცა 57,4 ცენტნერი თივა.

ამრიგად, 15 სექტემბერს დათესილმა ერთი წლის განმავლობაში უფრო მეტი მოსავალი მოგვცა, ვიდრე გაზაფხულზე ოპტიმალურ ვადაში დათესილმა ორი წლის განმავლობაში.

М. С. ДАЛАКИШВИЛИ

## ОПТИМАЛЬНЫЕ СРОКИ ТРАВОСЕЯНИЯ В НИЗМЕННОЙ ЧАСТИ КАРТАЛИНИИ

р е з у м ე

За последние годы травосеяние получило в Грузии значительное распространение; однако, несмотря на это, остаются недостаточно изученными вопросы агротехники травосеяния и в частности вопрос оптимальных сроков посева.

В данном труде освещается именно вопрос оптимальных сроков травосеяния для низменной части Карталинии на основе опытных данных, полученных на Республикаской опытной станции по полеводству (Ахалубани, Мцхетского района) в 1936-37-38 г.г.

Указанный опытная станция (ныне Селекционная станция) расположена на правом берегу реки Арагви, в т. н. Мухранской долине, на территории села Ахалубани, на высоте около 500 м над уровнем моря.

Почвы этой долины представляют собою древние аллювиальные отложения рек Куры, Ксани, Арагви и Нареквави и характеризуются коричневой окраской гумусового горизонта, глыбисто-комковатой структурой, суглинисто-механическим составом, плотным или плотноватым сложением и в то же время отсутствием скелетности и содержанием известия в верхних же слоях.

Климат, по данным ряда лет, характеризуется годовой суммой тепла от 3.500° до 4.000°. Самыми теплыми месяцами являются июль и август, самыми холодными—январь и февраль. Максимальная температура воздуха составляет 35,6°, минимальная—29°. Годовое коли-

Чество осадков достигает в среднем 500 мм. Осадки распределяются в течение года неравномерно; максимальное количество осадков падает на конец весны и начало лета (май, июнь), минимальное—на зиму. Ветры преобладают северо-западные. Под влиянием частых ветров и неравномерного распределения осадков почва сильно высыхает и требует орошения.

Результаты проведенных опытов показывают, что наилучшим сроком посева вики (*V. sativa*) и гороха (*P. sativus*) являются средние числа марта. Высеванные в этот срок вика и горох быстро растут, дают много сена хорошего качества, обогащают почву и быстро освобождают поле. Так, например, высеванный 20 марта горох дал урожай в 25 ц сена, а высеванный 20 апреля—лишь 11,8 ц, т. е. на 13,2 ц меньше. Возможен также высев этих трав в паровом клину. После укоса почву можно лучше подготовить под озимую пшеницу. После уборки урожая вики и гороха возможен также посев кукурузы, которая успевает нормально развиться и дать вызревшее зерно.

Осенний посев указанных трав нецелесообразен в условиях характерной для данной долины малоснежной зимы.

Наилучший срок посева люцерны (*M. sativa*) и красного клевера (*T. pratense*), на основании экспериментальных данных тех же лет—первая половина сентября. Так, например, высеванная 1 сентября люцерна дала урожай на 7,1 ц больше против посева, произведенного на месяц позже; клевер высеванный 15 сентября, по сравнению с посевом, произведенным на месяц позже, дал урожай на 30—31 ц больше.

При посеве этих трав весной наилучший результат дает посев в средних числах марта. Высеванный 20 марта клевер, по сравнению с посевами, произведенными в другие сроки, дал урожай на 8—14 ц больше.

Из сравнения сроков осеннего и весеннего посева видно, что наилучшими является осенний посев. Так, например, посев клевера 15 сентября дал в первом году три укоса при общем урожае 76,53 ц сена; посев же, произведенный весною в оптимальный срок (20 марта), дал всего один укос и урожай в 16,53 ц сена.

Эспарцет (*O. sativa*) наилучшие результаты дает при посеве весною, в средних числах марта; осенью же хорошие результаты дает посев в средних числах сентября. Так, например, посев 20 марта дал в первом году при одном укосе урожай в 13,3 ц сена, в то время, как осенний посев, произведенный в оптимальный срок—15 сентября, дал при одном же укосе 10,75 ц сена.

Донник (*M. officinalis*) лучше всего сеять осенью в средних числах сентября. Высеванный в этот донник в первый год при двух укосах дал 75,4 ц сена, в то время, как высеванный на 15 дней позже—21,7 ц, т. е. на 53,7 ц меньше.

Весною донник лучше сеять в средних числах марта. Посев 20 марта дал урожай по сравнению с более поздним посевом на 3,6 ц сена больше.

Сравнение осенних и весенних сроков высева донника показывает, что наилучшим сроком высева является осень, а именно средние числа сентября. Посев 15 сентября в первом году дал при двух укосах 75,4 ц сена, в то время, как весенний посев, произведенный в оптимальный срок—30 марта, дал лишь один укос и урожай в 25 ц сена, т. е. на 50,4 ц меньше.

---

M. S. Dalakishvili

## THE OPTIMUM TIME FOR GRASS SOWING ON THE LOWLANDS OF KARTALINIA

### Summary

The grass sowing in Georgia has been considerably developed during recent years; however, the process of grass sowing and the problem of choosing the best time for sowing have not been deeply enough studied.

This work is intended for the elucidation of the problem of fixing the optimum time for the sowing of grasses on the lowlands of Kartalinia on the basis of the data obtained at the Republican Experimental Field Station (Akhalubani, Mtskhethi district) in the years 1936, 1937 and 1938.

The Experimental Station is situated on the right bank of the river Aragva in the so-called Mukhrani valley, near the village Akhalubani; the height above the sea-level is about 500 m.

The soils of this valley are ancient alluvial deposits of the rivers Kura, Ksani, Aragva and Narekvavi; their characteristic features are: brown humus horizon, cloddy structure, clayey composition, compactness and the presence of lime in the upper layers.

As to the climate, the yearly total of heat, according to the data of many years, ranges from  $3500^{\circ}$  to  $4000^{\circ}$ . The warmest months are July and August and the coldest—January and February, the maximum temperature reaching  $35,6^{\circ}$  and the minimum— $29^{\circ}$ . The yearly amount of rainfall averages at 500 mm. The distribution of rainfall is uneven, the maximum falls at the end of spring and the beginning of summer (May, June), the mini-

mum—in winter. The prevailing winds are from the North-West. Under the influence of frequent winds and uneven distribution of rainfall the soil usually dries up, and irrigation is needed.

The results of our experiments prove that the best time for the sowing of vetch (*V. sativa*) and peas (*P. arvense*) is the middle of March. The vetch and peas grow then rapidly, yield a large quantity of hay of good quality, enrich the soil, and in a short time the field can be ready for another crop. Peas sown on March 20-th yielded 25 cent. of hay, whereas, those sown on April 20-th—only 11.8 cent., i. e. 13.2 cent. less. These grasses can be also sown on a fallow field. After mowing the soil can be easily prepared for winter wheat; or, else, maize can be sown, as there is still enough time for its normal development and ripening. The sowing of these grasses in autumn must not be practised in that valley, for winter there is almost snowless.

The best time for sowing lucerne (*M. sativa*) and red clover (*T. pratense*) according to the experimental data of the same years is the first half of September. Lucerne sown on Sept. 1-st yielded 7.1 cent. more hay than that sown in October; the clover sown on Sept. 15-th yielded 30-31 cent. more than that sown a month later.

The best results of the spring sowing were produced by lucerne and clover sown in the middle of March. The clover sown on March 20-th yielded 8—14 cent. more than the clover sown on some other days. Of the two seasons the best results were obtained from autumn sowing. The clover sown on Sept. 15-th was mown 3 times in the first year and yielded 76.53 cent. of hay, while the clover sown on March 20-th was mown only once and produced 16.53 cent. of hay.

Esparsel (*O. sativa*) produced the best results after spring sowing, in the middle of March; the best time for autumn sowing is the middle of September. Esparsel sown on March 20-th yielded in the first year 13.3 cent. of hay, whereas the autumn sowing resulted only in 10.75 cent.

Melilot (*M. officinalis*) should be sown in autumn. Melilot sown in the middle of September yielded in the first year 75.4 cent. of hay, while that sown 15 days later—21.7 cent. i. e. 53.7 cent. less.

The best time for the sowing of melilot in spring is the middle of March. The yield of melilot sown on March 20-th was 3.6 cent. more than the yield of melilot sown later. The comparison of the results of spring and autumn sowing of melilot shows that the best time for its sowing is autumn, namely, the middle of September. Melilot sown on Sept. 15-th was mown twice and yielded in the first year 75.4 cent. of hay, whereas that sown on March 30-th was mown once and yielded 25 cent. of hay, i.e. 50.4 cent. less.

8. ფ ხ ა ბ ა ძ ე

„გურული“ სივრცის კარიოლოგიისათვის  
 წინასწარი ცნობა

Liliaceae-s ოჯახში—Allium—ერთ-ერთ, სახეობებით მეტად მდიდარ გვარს წარმოადგენს. მას მიეკუთვნება 300 სახეობა, აქედან ამიერ-კავკასიაში ცნობილია 72<sup>1</sup>. მა ვარში, გარდა კულტურული ფორმებისა, შედის მრავალი გარეული, ციტოლოგიურად შეუსწავლელი ფორმა. თვით კულტურულ ფორმებში, რომელიც გამოყენებულია ადამიანის მიერ და მათ კულტივიციას აწარმოებს, მოიპოვებიან ისეთიციც, რომელთა კარიოლიპი ცნობილი არ არის.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს სახეობა Allium sativum — ნიორი, ფორმა, ჩვენ მიერ პირბით სახელწოდებული „გურული“ ნივრად, რომელიც გავრცელებულია საქართველოში, კერძოდ, გურიაში. აღნიშნული ნიორი თვალსაჩინოდ განსხვავდება ჩვეულებრივი ნივრისაგან როგორც თვით მცენარის სიმაღლით, ისე ბოლქვის აგებულებისა და გემოს თვალსაზრისითაც. „გურული“ ნივრის ბოლქვი არის როგორც კბილებანი, ისე უკბილო ანუ მთლიანი. უკანასკნელ შემთხვევაში ის ხახეს ჭავავს. ჩვეულებრივი ნივრის ბოლქვი კა ყოველთვის კბილებისაგან შედგება. „გურული“ ნივრის ბოლქვი გაცილებით უფრო მსხვილია ჩვეულებრივი ნივრის ბოლქვთან შედარებით, უფრო ტკბილია და არც ისეთი მასური სუნი აქვს. „გურული“ ნივრის მცენარის სიმაღლე 150—160 სმ-ს აღწევს. „გურული“ ნიორზე ჩვენ უშუალო დაკვირვება არ ჩაგვიტარებია, მაგრამ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი, ისე როგორც ჩვეულებრივი ნიორი, თუმცა ყვავის, მაგრამ გარდა ზოგიერთი, ჩვენ მიერ ჯერჯერობით შეუმოწმებელი იშვიათი გამონაკლისისა, თესლს არ იძლევა და, მაშასადმე, მრავლდება კბილებით. „გურული“ ნივრის მთლიანი, ხახვისებრი ბოლქვი დარგვისას იმავე წელს იძლევა კბილებიან ბოლქვს, რომლის კბილები გაცილებით უფრო მსხვილია, ვიდრე ჩვეულებრივი ნივრისა. მეორე წელს დარგული კბილები იმავე წელს იძლევიან უკვე მთლიან, უკბილო ხახვასებრ ბოლქვს. მარიგად, „გურული“ ნიორი მორიგეობით გვაძლევს მთლიან და კბილებიან ბოლქვებს.

როგორც გამოირკვა, „გურული“ ნიორი აღწერილი არ არის და არც მისი სისტემატიკური სახელწოდებაა ცნობილი.

ყველა ზემოაღნიშნულის გამო, „გურული“ ნივრის ციტოლოგიური შესწავლა ინტერესს მოკლებული არ უყო, მით უმეტეს. რომ ამ ნივრის მცენარის

<sup>1</sup> А. А. Г р о с с г е й м — Флора Кавказа, 1940.

სიმაღლე, უფრო მძლავრი განვითარება და ბოლქვის სისხმ აზრს ბალებლენტის მის შესახებ, რომ ის პოლიპლოდურ ფორმას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე ციტო-გენეტიკის კაბინეტი შეუდგა „გურული“ ნივრის ციტოლოგიურ შესწავლას, უპირველეს ყოვლისა ქრომოზომების რიცხვის დადგენას. ფესვები და კვავილები განვითარების სხვადასხეა სტადიაზე ფიქსირებულ იქნა ქრომ-აცეტოფორმოლით ნავაშინის მიხედვით და შედეგ შეღებილი ჰემატოგენილინით ჰეიდენჰაინის წესით. ანაკრებს ჰქონდა 10—15 მიკრონის სისქე, ჩახატვა წარმოებდა A1სხე-ს სახატავი აპარატით.

როგორც საქმაოდ დიდი მასალის გაცნობის შედეგად გამოირკვა, სასქესო უჯრედების მომწიფება ბოლომდე არ მიღის, რაღაც მტერის მარცვლები, გარდა იშვიათი ერთიანობი გამონაკლისისა, სამტევერებში არ გვინახავს. უნდა ვიფიქროთ, რომ მტერის მარცვლების დედეული უჯრედები მომწიფების გაყოფათა დასრულებამდე დეგენერაციას განიცდიან. ამის დამადასტურებლად უნდა ჩაითვალოს მტერის მარცვლების დედეულ უჯრედთა ბირთვების თავისებური ფორმა, რომელიც ბირთვის თათისებრ მოყავილობაშია გამოხატული, აგრეთვე, ქრომატიული ნივთიერების დიფუზური მდგომარეობა და შეღებვის უნარიანობის შეცვლა.

იმ ორი-სამი თითისტრის მიხედვით, რომლებიც ჩვენს პრეპარატებში აღმოჩნდა, შეიძლება ვითიქროთ, რომ რედუქციული გაყოფა მიმღინარეობს, მაგრამ იმის თქმა, რომ ის ნორმალურია, არ შეიძლება. შეიძლები ეკვატორული ფირფიტები ჩვენს პრეპარატებში არ აღმოჩნდა, რაც შესაძლებელია იმითაც აისხას, რომ ყვავილები განვითარების გვარია

სტადიებზე ყოფილა აღებული და რედუქციული გაყოფა უკვე დამთავრებულა. იმის გამო, რომ რედუქციული გაყოფის ფირფიტები ჩვენს პრეპარატებში არ აღმოჩნდა, ქრომოზომების რიცხვის დადგენა „გურულ“ ნიორში მეტად გაძნელდა. ამისათვის იძულებული გავხდით მიგვემართა სომატიური უჯრედებისათვის და მიტოზის ეკვატორულ ფირფიტებზე დაგვეჯინა ქრომოზომების რიცხვი. ამ გარემოებამ ძლიერ დააბრკოლა „გურულ“ ნიორში ქრომოზომების რიცხვის დადგენა, რაღაც ქრომოზომების დიდი რაოდნობა, თუთ ქრომოზომების სიგრძე და მათი მჭიდრო დაწყობა ფირფიტაზე ქრომოზომების ზუსტ ათველს ხელს უშლიდა.

მიტოზურ ეკვატორულ ფირფიტებზე ქრომოზომების დათვლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ „გურული“ ნიორი შეიცავს, დაახლოებით, 56 ქრომოზომს, ე. ი. რომ ის სეპტემბლონიდს წარმოადგენს (სურ. 1).

როგორც სომატიური ფირფიტებიდან ჩანს, „გურული“ ნიორის ქრომოზომებს ჩხირისმაგრი და V-სეპტი ფორმა ახასიათებს, თუმცა, ზოგჯერ, ზო-

გიერთ მათვანს მოგრძო ოვალური ფორმაც აქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ქრონიკის მოზომების ასეთი ფორმა იმასთან არის დაკავშირებული, რომ ქრომოზომა გადაიკრა და მთლიანად ფირფიტაში არ მოხვდა. ზოგჯერ ქრომოზომებს ემჩნევათ შედიანური თუ სუბმედიანური და, აგრეთვე, სუბტერმინალური წელი (კონსტრიქცია). V-სეპზ ქრომოზომებს როგორც თანაბარი, ისე არათანაბარი ტოტები აქვთ. ქრომოზომების უფრო დეტალური ჟესტავლა და მათი იდენტიფიკაცია, ზემოაღნიშნული მიხესვების გამო, შეუძლებელი ჟეიქნა.

პოლიპლოიდური ხასიათი „გურული“ ნივრისა, ჩვენის აზრით, ეჭვს გარეშეა, ხოლო ქრომოზომების რიცხვი კიდევ დაზუსტებას მოითხოვს.

„გურული“ ნიორში ქრომოზომების რიცხვის დადგენასთან დაკავშირებით, როგორც აღნიშნული იყო, დამზადებულ და გადათვალიერებულ იქნა პრეპარატების დიდი რაოდენობა, რამაც, მიუხედავად ამის, მართალია ქრომოზომების ზუსტი რიცხვის დადგენის საშუალება არ მოგვა, მაგრამ სხვა საინტერესო დეტალი გამოირჩევია. ეს უკანასკნელი იმაში გამოიხატება, რომ „გურული“ ნივრის ზოგიერთ ქრომოზომას თანამგზავრი (ტრაბანტი) აღმოჩნდა (სურ. 1). ეს იმას ნიშავდა, რომ ჩვეულებრივი დიპლოიდური ნივრის ქრომოზომების წყობაშიაც, რომელიც 16 ქრომოზომით განისაზღვრება და რომლის პოლიპლოიდურ ფორმას „გურული“ ნიორი წარმოადგენს, ასეთი თანამგზავრიანი ქრომოზომები აუცილებლად უნდა ყოფილიყო. ეს მით უმეტეს საინტერესო იყო, რომ თანახმად Allium sativum-ის შესახებ არსებული ციტოლოგიური ლიტერატურისა, კერძოდ, მენზინჯაის შრომისა Allium sativum-ის თანამგზავრები არ ახასიათებს.

ამ გარემოების გამორკვევის მაზრით დაშა-დებულ და შესწავლილ იქნა ჩვეულებრივი დიპლოიდური ნივრის ციტოლოგიური პრეპარატები, რამაც დაგვანახა, რომ ჩვეულებრივი ნივრის კარიოტიპს თანამგზავრიანი ქრომოზომები (ჩვენი გამორკვევით ორი) ახასიათებს (სურ. 2).

შესაძლებელია რომ ეს ორი ქრომოზომა, რომელებსაც თანამგზავრები ახლავს, წარმოადგენს ელემენტებს სუბტერმინალური წელით (კონსტრიქციით), მაგრამ ამ ქრომოზომების ტერმინალური ტოტები (სეგმენტები) ისეთი მცირე სიღიდის არიან, რომ ისინი თავისუფლად ჩაითვლებიან თანამგზავრებად.

ამრიგად, ჩვეულებრივი ნივრის, ისე როგორც მისი პოლიპლოიდური ფორმის — „გურული“ ნივრის, კარიოტიპებით თანამგზავრებით არიან დაბასიათებული, რაც ლიტერატურულ მონაცემებს ეწინაღმდეგება.

რაც შეეხება იმის შესაძლებლობას, რომ „გურული“ ნიორი ხახვისა და ნივრის, ყოველ შემთხვევაში კულტურული ფორმების ჰიბრიდს წარმოადგენს,



სურ. 2.

უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრება გამორიცხულია, ჯერ ერთი იმ გარემოების გამო, რომ საზოგადოდ ნიორი თესლს არ იძლევა (როგორც უკვე აღნიშვნეთ, ჯერ კიდევ დაუდასტურებელი იშვიათი გამონაკლისის გარდა) და მეორე — იმის გამოც, რომ „გურული“ ნივრის ქრომოზომების რიცხვი ამ შესაძლებლობის წინააღმდეგ ამბობს. მართლაც, ხახვის კულტურულ ფორმებს, როგორც მაგალითად, *Allium cepa*, *Al. porrum*, *Al. Schoenoprasum* და *Al. fistulosum*-ს ახასიათებს ქრომოზომების შემდეგი რიცხვები სათანადოდ:  $2n = 16$ ,  $2n = 32$ ,  $2n = 24$  და  $2n = 16$ . მაშასადამე, „გურული“ ნივრის თუნდაც  $56$  ქრომოზომა ნივრისა ( $2n = 16$ ) და დასახელებული ხახვის ფორმებში რომელიმე წარმომადგენლის შეჯვარების შედეგად ვერ წარმომამოდიდა.

გამომდინარე როგორც თვით ნივრის მცენარის აღნაგობიდან, ისე ქრომოზომების რიცხვიდან, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ნიორი, ჩვენ მიერ პირბით სახელწოდებული „გურულ“ ნივრად, გამოყოფილ იქნას როგორც ცალკე სახეობა *Allium georgicum*-ის სახელწოდებით.

„გურული“ ნივრის მაგალითი იმ არა იშევით შემთხვევებს მიეკუთვნება, როდესაც პოლიპლოიდია ნიშანთვისებათა მძლავრ განვითარებას იწვევს და ამით მცენარის ეკონომიკურ ღირებულებას ზრდის. ჩასაკვირველია ეს, როგორც ყველასათვის ცნობილია; პოლიპლოიდის ფენომენისათვის ყოველთვის სავალდებულო არ არის, მაგრამ პოლიპლოიდის ასეთი ეფექტიანობის შემთხვევები საკმარისია იმისათვის, რომ ამ მოვლენის მნიშვნელობა დადგებითად იქნას შეუასებული სელექციურ მუშაობაში.

## Г. ПХАКАДЗЕ

### К КАРИОЛОГИИ „ГУРИЙСКОГО“ ЧЕСНОКА предварительное сообщение

#### р е з ю м ə

1. Среди культурных представителей *Allium sativum* в Грузии распространена форма чеснока, отличающаяся от обычного чеснока строением и величиной луковицы, большим ростом, менее острыми вкусовыми качествами, напоминающими вкус лука и значительно менее резким запахом. Этот чеснок нами условно назван „гурийским“.

2. При своем значительном размере луковица „гурийского“ чеснока вместе с тем сплошная, т. е. без зубков; само растение достигает 150—160 см высоты, цветет, но семян не дает. В год посадки этот вид чеснока дает растение с крупной луковицей, но с зубками, как обычный чеснок, зубок-же высаженный в следующем году дает уже растение с цельной луковицей, т. е. без зубков. Таким образом, „гурнийский“ чеснок характеризуется чередованием поколений с луковицами имеющими зубки и без них.

3. В виду того, что эта форма чеснока не описана в литературе и не известно ее систематическое наименование, а также поскольку размеры самого растения чеснока, так и его луковицы находит на мысль о его полиплоидности, нами было предпринято его цитологическое изучение.

4. На основании просмотра большого количества препаратов корешков и бутонов „гурнийского“ чеснока можно заключить, что созревание половых клеток не идет до конца и материнские клетки пыльцы подвержены дегенерации. По тому незначительному количеству веретен редукционного деления, которое нам иногда попадалось, можно сказать, что редукционное деление протекает, но трудно судить насколько оно правильное. Пыльца в пыльниках, за исключением единичных сомнительных случаев, не попадалось.

5. В виду отсутствия мейотических экваториальных пластинок, что отчасти может быть объяснено отбором бутонов чеснока на поздних стадиях развития, подсчет хромозом нам пришлось производить на митотических экваториальных пластинках, что значительно затруднило установление точного количества хромозом, вследствие большой их скучености на пластинках.

6. На основании недочета хромозом на митотических экваториальных пластинках можно заключить, что „гурнийский“ чеснок имеет 56 хромозом в диплоидном наборе. Это число требует дальнейшего уточнения. Таким образом, „гурнийский“ чеснок является, вероятно, септемплоидом ( $8 \times 7 = 56$ ).

7. Выяснилось также, что „гурнийский“ чеснок имеет хромозомы со спутниками (рис. 1), что навело нас на мысль о наличии таких же хромозом у обычного исходного диплоидного чеснока. В целях проверки означенного обстоятельства, нами были заготовлены препараты обычного чеснока, изучение которых подтвердило наличие (по нашему мнению 2-х) хромозом со спутниками. Этот факт находится в противоречии с литературными данными, по которым кариотип чеснока *Allium sativum* не имеет спутников.

8. На основании вышеприведенных данных, мы считаем возможным выделить „гурнийский“ чеснок в особый вид, под названием *Allium georgicum*.

## ON THE CARYOLOGY OF „GURIAN“ GARLIC

### Summary

1. Among many forms of *Allium sativum* cultivated in Georgia there is one differing from the common garlic in structure and size of the bulb; it is also not so pungent in taste, reminding the onions, its smell is fainter and the growth more abundant. We called this form of garlic conventionally „Gurian“.

2. The bulb of the „Gurian“ garlic is large and cloveless, like that of the onions; the plant reaches 160—165 cm. in height, gives flowers, but no seeds. In the year of planting this variety of garlic grows into a plant with a large bulb cloved like common garlic; one of the cloves planted next year gives a cloveless bulb. Thus, alternation of generations with cloved and cloveless bulbs is characteristic for the „Gurian“ garlic.

3. As this form of garlic has not been described in literature and its systematic name is not known, we undertook a cytological study of the plant.

4. On studying a great number of preparations of roots and flower-buds of the „Gurian“ garlic we have come to the conclusion that sexual cells do not reach their full maturity and that mother cells of the pollen are liable to degeneration. The reductive fission goes on, but it is difficult to say whether it is normal. The pollen has, with rare exceptions, not been found in the anther.

5. The calculation of chromosomes had to be made on meiotic equatorial plates, because of the lack of mitotic equatorial plates, which is, probably due to the fact that the buds have been taken at the late stage of their development. The process of finding the precise number of chromosomes has, thus, been rather complicated owing to their density.

6. The calculation of chromosomes on mitotic equatorial plates enabled us to assert that the „Gurian“ garlic possesses 56 chromosomes in the diploid number (this figure has to be verified). Thus the „Gurian“ garlic is, probably, a septemploid ( $8 \times 7 = 56$ ).

7. It has also been found that the chromosomes of the „Gurian“ garlic have satellites (fig. 1); this fact made us assume the presence of such chromosomes in common diploid garlic. In order to verify that we studied some preparations of common garlic and found in it chromosomes with satellites (in our opinion, two). This fact contradicts to the data in literature, according to which the cariotype of the garlic *Allium sativum* has no satellites.

8. On the basis of the above mentioned facts we consider it quite possible to separate the „Gurian“ garlic into a new species under the name of *Allium georgicum*.

0. 0. ჩატბირიშვილი

მასალები „შავი ტირილით“ დაავადებული კორპის მუხის  
 მორცოლობის-ფიზიოლოგისათვის<sup>1</sup>

დაავადების მაკროსკოპული დახასიათება. კორპის მუხის „შავი ტირილით“ დაავადება, უმეტეს შემთხვევაში, იწყება ფელოგენის შრიდან და მიიმართება შიგნით—მერქნის კაბიუმისაცენ. არის შემთხვევები, როდესაც დაავადების საწყისი ლაფნის შუა ადგილას მდებარეობს. გარკვევით შეიძლება აღინიშნოს ის გარემოება, რომ „შავი ტირილით“ დაავადება ყოველთვის იწყება ლაფნის ქსოვილებში, ვრცელდება მის მთელ არეზე და ხშირად გადადის მერქანტიაც. დაავადება კორპის შრისაცენ ძლიერ სუსტია. იგი ვითარდება მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც სითხის გარეთ გამოიყოფა ხდება; იქ წარმოებს ფელემის დაშლა, რის შედეგადაც ჩნდება ვიწრო ხერელი სითხის საერთოდ.

აღნიშნული დაავადების შემთხვევაში წვენი გუბდება ლაფნის ქსოვილებში, რის შემდეგ დაგუბდებული სითხე გარეთ იწყებს უონეას. ის ადგილები, სადაც წვენი უონეას შავი ლაქების სახით ჩანს ქერქის ზედაპირზე, რაღაც მასში არსებული ტანიდები განიცდიან პარტზე დაეანგაბან. რაც მეტა რაოდენობითაა შავი ლაქები ქერქზე, მით უფრო ადრე იწყება ფოთლების შეყვითლება და მათი ხმობა, შემდეგ კი ტოტების კვდომა და ბოლოს მთელი ხისაც.

„შავი ტირილით“ დაავადება გარეგნულად ადგილი შესამნევია. ხის ქერქზე ფესვის ყელიდან დაწყებული, დაახლოებით, მეტრნახევარ მანძილზე ვამჩნევთ მოშავთ ან შავ ადგილებს (დიდი ზომის შავ წერტილებს), რომელთა ზომა და ფორმა მეტად ცვალებადია. ახლად გამონაჟონი ადგილები მცირეა, მომრგვალობა და მოშავო. ასეთი წერტილების რადიუსი ხშირად უდრის 1 სანტიმეტრს. ის წერტილები კი, რომელიც დიდ ხანს მოქმედებენ, უფრო შავად გამოიყურებიან. მათ ახასიათებთ მოგრძო ფორმა და შედარებით მეტი ზომისაც არიან. მაქსიმალური დამეტრი შავი ადგილებისა 4 სანტიმეტრამდე აღწევს. თუ თითოეულ შავ წერტილს გაფევებით შიგნით ლაფნისაცენ, ვნახავთ დაავადების უფრო დიდ არეალს. გარეთ მდებარე შავი წერტილი გეომეტრიულ ცენტრს არ წარმოადგენს შიგნითა დაავადებული ლაფნის არისათვის. ხან დაავადებულ ლაფნის აქვს ორი გამოსავალი ხერელი, რომელიც დაავადების პერიფერიის პირისპირ ან მისგან დაშორებულ ადგილებში მდებარეობდენ.

<sup>1</sup> სამუშაო შესრულებულ იქნა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის დავალებით.

დაავადებული ლაფანი შეფერვის მიხედვით შეიძლება სამი ტიპისა იყოს და მომუქნად დაავადებული (ახლად დაავადებული), მუქი (უფრო დიდი ხნის დაავადებული) და შავი (ძველი დაავადებული).

ახლად დაავადებული ლაფანი წყლითაა მდიდარი და მომუქნა საღოთან შედარებით. საღოთანი თეორია. ამავე ადგილებში ხშირად ვნახულობთ სხვაგვარ შეფერვასაც. კერძოდ, ლაფნისა და კორპის შრის საზღვარზე მდებარე ქსოვილები ძლიერ შავად (კუპრივით) არიან შეფერილი, შემდგომა, შიგნითა ლაფნის ქსოვილები კი—მომუქნა. ეს გარემოება უნდა აიხსნას პერიფერიაში დაუანგვის პროცესების ინტენსივობით, შიგნითკენ კი—მათი შენელებით. შავად შეფერილი ქსოვილები ჩვენ მიერ ორ ადგილას ქვენა ნახული: ხის ტანის ზედა და ქვედა ნაწილებში. პირველ შემთხვევაში იგი მდებარეობდა ლაფანსა და კორპს შორის, მეორე შემთხვევაში კი—კორპიდან მერქნამდე და მერქანშიც გადადიოდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საღოთანი მერქანი მანტელს ივითარებს. სიღრმე მანტელისა ცვალებადია, რაც, ცხადია, დამოკიდებული უნდა იყოს ლაფნის დაავადების ხარისხზე და მისი მოქმედების პერიოდზე.

ხის დაავადებული ლაფნის არეალის განსასაზღვრავად შევარჩიეთ ერთი 10 წლიანი ხე და მასზე გამოვთვალეთ საღოთან და დაავადებული ლაფნის %, ხის ტანის საერთო ზედაპირიდან. ამ არჩეულ ეგზემპლარს გარედან ჰქონდა განვითარებული 26 შავი ადგილი. ეს 26 შავი წერტილი ხის ტანზე განაწილებული იყო თავისებურად: ქვედა 20 სმ-ზე მოდიოდა 9 წერტილი, შემდევ 20 სმ-ზე იმდენვე (ესე იგი 9), შემდევ 23 სმ-ზე—მხოლოდ 8 წერტილი. ამგვარად, შავ წერტილთა რაოდნობა ფეხების ყელიდან დაწყებული ზევით ვარჯისაცენ მცირდება. ალნიშნული ხის სიმაღლე 2,5 მეტრს აღწევდა, მასზე შავი აღგილება შესამჩნევი იყო მხოლოდ ფეხების ყელიდან 63 სანტიმეტრის მანძილზე. ხის ტანის ამ ნაწილს გავაცალეთ ქერქი, რის შემდეგაც გამოვთვალეთ დაავადებული ლაფნის %, ხის ტანის საერთო ზედაპირიდან (ტაბ. 1).

დაავადებული ლაფნის % ხის ტანის საერთო ზედაპირიდან

ტაბ. 1.

ხის ტანის მაღლები ნ-ობით	დაავადებული ლაფნის სიმაღლე	საერთო სი-ინც	ხის ტანის გიშ-რო დამეტრი სმ-ობით	ხის ტანის განიერი დამეტრი სმ-ობით	ხის ტანის განებულების მაღლების % მასზე	ხის ტანის განებულების მაღლების % მასზე
2,5	63	3,2	5,2	4,2	6,6	66,6
						30,4

მოყვანილი ტაბულიდან ჩანს, რომ დაავადებული ლაფნის % ხის ტანის საერთო ზედაპირიდან შეადგენს 30,4%, თვით ხის ტანის დაავადებული ნაწილიდან კი—66,6%-ს. ასეთი % დაავადებული ლაფნისა, ცხადია, დიდ გავლენას მოახდენს დაღმავალ დენზე, რაც საბოლოოდ მცენარის კვდომისა და აქცერებს. ქვე უნდა ალინიშნოს ის გარემოება, რომ შეიძლება ლაფნის უფრო


ნაკლები 1% იყოს დაავადებული, მაგრამ მან უფრო მეტი უარყოფითი ეფექტი გამოიწვიოს, ვიდრე ლაფნის, შედარებით, უფრო მეტი 1%-ით დაავადების შემთხვევაში. ეს იმ დროს, როდესაც დაავადებული ლაფანი რკალივით ერტყმის ხის ტანს. ამ შემთხვევაში გვექნება ლაფნის შემოსერვის ტიპიური მაგალითი. სხვა შემთხვევებში კი, როდესაც დაავადებული ლაფანი ხის ტანს გარშემო არ ერტყმის, არამედ ადგილ-ადგილა განვითარებული, საერთოდ ლაფნის საქმით დიდი 1%-ით დაავადების შემთხვევაშიც გვექნება საქმე ნაწილობრივ შემოსერვის მაგალითან, რაც ხისათვის შედარებით უფრო ნაკლებად საზიანოა.

თილოზისი. დაავადებულ ლაფანთან მდებარე მერქანში, რომელშიაც გადასულია ივადმყოფობა, ადგილი იქვე კარგად გამოსახულ თილოზისის პროცესს.

თილოზისის პირველი ანატომიურ-ფიზიოლოგიური შესწავლა ჩატარებულ იქნა ჰ. რეიხენბაბის (7) მიერ, რომლის მოსაზრებითაც თილენები წარმოადგენ ჭურჭლის ღრუში მათ მეზობლად მდებარე ცოცხალ უჯრედთა გამონაზარდებს. მისი შეხედულება შემდგომ დადასტურებული და სწორი აღმოჩნდა (მოლიში—8), თუმცა იმ დროს ბემის (9) მხრივ უარყოფითად იქნა შეფასებული რეიხენბაბის თილენების გენეზისის საკითხი (მას თილენებად მიაჩნდა თვით ჭურჭლის კედელთა გაზრდა). კუსტერის (10) მიერ აშერილ იქნა თილენები მცენარის ორგანოთა დაზიანების შემთხვევაში. მკვლევარი (ბორდა, ჟესი—11, სლიტი—12) ზოგიერთი მცენარის ჭინობის დროს უკვირდებოდნენ ჭურჭლებში თილენების წარმოქმნას. სლიტის შეხედულებით ჭურჭლებში თილენების წარმოქმნა აჩქარებს მცენარის სიკვდილს იმის გამო, რომ ამ დროს ნელლება ფოთლებში წყლის მიწოდება.

ცხადა, სლიტს მხედველობაში ჰქონდა მცენარის უკანასკნელი წლიური რგოლის ჭურჭლები, სადაც სატრანსპორტო დენი მოძრაობს.

კორპის მუხა ცილიან ჯაშს მიეკუთვნება. მისი ჭურჭლები უკანასკნელი წლიური რგოლიდან და-



სურ. 1.

წყებული შიგნით ღიანი

არიან. მხოლოდ მერქანის იმ ნაწილში, რომელიც დაავადებული ლაფნის მეზობლად მდებარეობს და რომელშიაც არის გადასული იგრეოვე ეს დაავადება, კხედავთ კარგად გამოსახულ თილოზისის პროცესს. დაავადებული მერქანის უკანასკნელი წლიურ რგოლში ჭურჭლები სრულიად ჩაეტერილი არიან, შემდგომ წლიურ რგოლში კი ეს პროცესი მხოლოდ საწყის მდგრმარეობაშია (სურ 1).



თილოზისის პროცესის ღნტენსივობის შესახებ წარმოდგენის იძლევა მსახურებელი  
ტაბულა.

ტაბულა 2

უკანასკნელი წლიური რგოლი		მომდევნო წლიური რგოლი	
გვიანა მერქნის ჩაკვ- ტილი ჰურპლების %	ადრეულა მერქნის ჩაკვტილი ჰის %	გვიანა მერქნის ჩა- კვტილი ჰურპლე- ბის %	ადრეულა მერქნის ჩაკვ- ტილი ჰურპლების %
100	66,7	37,5	იშვება პროცესი
: 0,7	: 6,4	—	—
100	42,8	50	იშვება პროცესი
50	40	20	"

მე-2 ტაბულის მიხედვით შეიძლება შემდეგი დავასკვნათ:

1. დავადებული მერქნის პერიუერიაში თილოზისი პროცესი კარგადაა გამოსახული, შეგნით კი იგი შენელებას განიცდის.

2. წლიური რგოლის გვიანა მერქნაში უფრო ძლიერაა გამოსახული თილოზისი პროცესი, ვიდრე ადრეულაში.

გვიანა მერქნის პატარა ზომის ჰურპლები, უმეტეს შემთხვევაში, მთლიანად არიან ჩაკვტილი, მაშინ, როდესაც ადრეულა მერქნის დიდი ზომის ჰურპლებში მხოლოდ იწყება პროცესი (მასში თილენები გამონაზარდების სახით მოიპოვდიან).

3. თილოზისი პროცესი მერქნის უყანასკნელ და მომდევნო წლიურ რგოლში, ცადია, შეანელებს წყლის მიწოდებას ფოთოლებში, რაც, თავის მხრივ, დააჩქარებს მცენარის სიკვდილს (სლიტი).

ოსმოსური წერვა. იმის გამოსარკვევად თუ რა სიძლიერით ხდება სითხის გამოყონა დაავადებული ადგილებიდან, მონარდილ ხეებზე დავდგით სინდიკის მანომეტრები როგორც დაავადებული, ისე საღი ლაფნის არეში მათი ოსმასური წნევის შესაღარებლად. დაკვირვებას ვახდენდით დღე-ლამის განმავლობაში 4-ჯერ, ხან კი—5-ჯერაც, 1941 წლის მაისის 29-დან ივნისის 4-შე. მანომეტრებზე აღებული ანათვალები მე-3 ტაბულაში.

მე-3 ტაბულიდან შემდეგი დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ:

1. საღ ლაფანში აღგილი აქვს შეწოვის მოვლენას. შეწოვის ძალა—1-დან —8 მილიმეტრამდე მერყეობს, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში არის უფრო მეტი ძალაც (-24 მილიმეტრი).

2. საღ ლაფანში შეწოვის ძალა განსაკუთრებით მაღლა იშვეს წვიმიანი ამინდის მეორე დღეს. ამ შემთხვევაში შეწოვის ძალა რამდენჯერმე იზრდება.

3. ზოგიერთ საღ ლაფანში (ხე № 1) შეწოვა არ ყოფილა გამომულავნებული, სინდიკის მანომეტრი 0-ზე იყო გაჩერებული. შესაძლებელია ეს მდგომარეობა აიხსნას ლაფნის იმ ქსოვილის ბუნებით, რომელზედაც დადგმული იყო მანომეტრი. კორბის მუხის ლაფანი ხასიათდება გაქვავებულ უჯრედთა კარგი განვითარებით, გაქვავებული უჯრედები შეკრებილი არიან ჯგუფებად და შეაღენენ ლაფანში, დაახლოებით, 50% -ს. მოგვყავს რამდენიმე შემთხვევა გაქვა-

ვებსული უჯრედების ჯგუფთა 0%-ის შესახებ ლაფნის ქსოვილებიდან: 54,4%; 58,5%; 52,3%; 56,5%; 28,2%.

გაქვავებულ უჯრედთა გარდა ქერქში განვითარებულა ლაფნისებრი ბოჭკოებიც ჯგუფების სახით, მხოლოდ ამ ჯგუფებს მცირე ადგილი უჭირავთ გაქვავებულ უჯრედთა ჯგუფთან შედარებით. თუ მანომეტრის პირი მოხვდა ლაფნის ისეთ ადგილს, სადაც გაქვავებულ უჯრედთა ჯგუფებია დიდი რაოდენობით, მაშინ, ცხადია, ოსმომეტრი წნევის ეფექტურობას არ მოგვცემს. სხვა ადგილებში კი იგი შესამჩნევი უნდა იყოს, რაც მე-3 ტაბულაში კარგადაა გამოსახული.

4. მშრალი ამინდის დროს საღი ლაფნის შეწოვის ძალა რყევის არ განიცდის (ხე № 77), ხან კი ამ პერიოდში შეწოვის ძალა 0-ს უდრის (ხე № 13).

5. დაავადებულ ლაფანში წნევა მეტად დიდ ცვალებადობას განიცდის. სითხის გამოყონის მაქსიმალური სიმძლავრე აღწევს +82 მილიმეტრს.

6. ზოგიერთი დაავადება (ხე № 64, 37 და № 41 NW-ის მხარე) ისეთი ბუნების აღმოჩედა, რომ მასში სრულიად არ ჰქონდა ადგილი შეწოვას, მასში ყოველთვის დადებით წნევას გამჩნევდით.

ზოგიერთი დაავადება (ხე № 41 SO-ის მხრიდან, № 1 O-ის მხრიდან, № 1 ა-ის მხრიდან) ხასიათდება დაგებითი წნევით და შეწოვითაც. ამის მიხედვით იქმნება შემდევი შეხედულება: დაავადებული ლაფანი ღრუბელსავით ითვისებს სითხეს მეზობელი საღი ლაფნიდან. ამ დროს, ცხადია, მანომეტრი შეწოვას გვაჩვენებს და შემდეგ მობილიზებულ სითხეს გარეთ გამოიყონას; ამ დროს მანომეტრი დადებით წნევას აღნიშნავს.

7. დაავადებულ ლაფანს, უმეტეს შემთხვევაში, დადებითი წნევა ახასიათებს და იგი დიდ სიდიდესაც აღწევს (+82 მმ), საღი ლაფანი კი შეწოვით ხასიათდება და არ აღწევს მეტად დიდ სიდიდეს (-8 მმ, გამონაკლის შემთხვევაში—24 მმ).

8. ზემოთ აღნიშნული დასკენები გვიდასტურებენ მას, რომ „შავი ტირილის“ შემთხვევებში საქმე გვაქვს ადგილობრივ წნევასთან (ხან ძლიერ დიდ სიდიდეს აღწევს, ხან კი უარყოფთ სიდიდეშიაც გადადის), რომელიც მხოლოდ დაავადებული ადგილის ფართობით ისაზღვრება. ამის გამო, რომ დაავადებულ ლაფანთან ახლოს მდებარე საღი ადგილი შეწოვის ოვისებებს ამჟღავნებს. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს იდგილი ხისათვის ხელოვნური ჭრილობის მიუწების დროსაც.

სუნთქვა სუნთქვა ითვლება მთავარ პირობად პლაზმის სპეციფიკური სტრუქტურის შესანარჩუნებლად, რაც შესაძლებლად ხდის ნივთიერებათა ჩქარ მიმოძრაობას. პოლანდიელ მეცნიერ დიიქსტრის (13) მუშაობითა დადასტურებულია, რომ ქერქის ქსოვილა ინტენსიური ჟანგბაღოვანი სუნთქვა არის მთავარი პირობა ფლოემის გამტარ ელემენტთა მოქმედებისათვის. დიიქსტრის ეს დასკენ საესტებით ემთხვევა მეზონისა და ფილისის (14, 15) მონაცემებს, რომელიც ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ აერაციის გაუარესებით და სუნთქვის სიჩქარის შეცვირებით ნერლდება ფლოემაზე ნივთიერებათა მოძრაობა. საბინინი (3) აქვთ გამომდინარე ასკვნის: რაღაც ქერქის აერაციას ჰქონია

0-263-82079-6 0-263-820

62820



გავლენა ფლორმის გამტარ ელემენტთა მოქმედებაზე, ამის გამო ეს ჩეენ გვიძლება ცენტრული მისამართის მიერ და მოძრაობის ისეთი პროცესის არსებობას, რომელიც მიმდინარეობს მხოლოდ პროტოპლაზმაში და, ამასთანავე, ამ უკანასკნელის ცხოველმოქმედებაზე დამოკიდებული პროცესის ინტენსივობა. ამგვარად, სუნთქვის პროცესს უშუალო კავშირი ჰქონია საცრიად მიღებში ნივთიერებათა მიმძრაობასთან, რაც თავის მხრივ აუცილებელ პირობად ითვლება მცენარის ზრდა-განვითარებისათვის. ამის გამო დავისახეთ მიზნად ძლიერ დაავადებულ, ნაკლებად დაავადებულ და საღი ლაფნის სუნთქვის ინტენსივობის ზესწავლა.

ლაფნის სუნთქვის ინტენსივობის შესასწავლად გამოვიყენეთ ყველაზე უფრო მარტივი მეთოდი დამუშავებებული ო. ა. ივანოვის მიერ (1), ვსაზღვრავ-დით რა დროის ერთეულის განმავლობაში გამოყოფილ  $\text{CO}_2$  რაოდენობას საკვ-ლევი მასალის წონითი ერთეულის მიერ. ცდა ორ გარიანტად დავავენეთ, პირველი სამ დღეს გრძელდებოდა, მეორე კი—6 დღეს. მიღებული მონაცემების მიხედვით გაანგარიშებულ იქნა სუნთქვის ინტენსივობა (ტაბ. 4).

#### ლაფნის სუნთქვის ინტენსივობა

ტაბ. 4

ლაფნის მდგრამარეობა	ცდა 3 დღეზე	ცდა 6 დღეზე
	$\text{CO}_2$ რაოდენობა მგ-ობით 1 გ ნედლი წონის მიერ 24 საათის განმავლობაში	$\text{CO}_2$ რაოდენობა მგ-ობით 1 გ ნედლი წონის მიერ 24 საათის განმავლობაში გა- მოყოფილი
საღი . . . . .	1,95	3,25
ძლიერ დაავადებული .	0,82	0,71
ნაკლებად დაავადებული .	—	1,01

როგორც მე-4 ტაბულიდან ჩანს (ცდა 6 დღეზე) ძლიერ დაავადებული ლაფნი, დაახლოებით, 5-ჯერ უფრო სუსტად სუნთქვას, ვიდრე საღი; შედა-რებით უფრო ნაკლებად დაავადებული კი—სამჯერ სუსტად. ცდა ორივე ვა-რიანტით ერთ ძირითად დებულებას გვიდასტურებს—„შავი ტირილით“ დაავა-დებული ლაფნი სუნთქვას რამდენჯერმე უფრო სუსტად, ვიდრე საღი ლაფნი, რის გამოც ასეთი დაავადებული ლაფნი, თანახმად ზემოაღნიშნული დებულე-ბისა, შეანელებს მასში ნივთიერებათა მოძრაობას.

ამგვარად, „შავი ტირილით“ დაავადების დროს საქმე გვაქვს ადგილო-ბრივი ლაფნის ცოცხალ ქსოვილთა კვდომასთან, რაც საესებით ანალოგიურია ლაფნის ხელოვნურად შემოსერვის მოვლენისა.

#### ლასკვა

ჩატარებული მუშაობის მიხედვით დასტურდება ის გარემოება, რომ „შავი ტირილის“ შემთხვევაში ადგილი იქნება განსაზღვრულ არებზე ლაფნის ცოცხალ ქსოვილთა კვდომას, რომელთა მეზობლად დებარე ლაფნი საღი და ცხოველმო-ქმედი რჩება. „შავი ტირილის“ დროს განვითარებული ფიზიოლოგიური პრო-

ცესები ანალოგიურია ლატნის „შემოსერვის დროს მიმღინარე პროცესებისა, რომელთან რის გამოც „შავი ტირილი“ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ხის ბუნებრივი შემოსერვა.

მოსაზრებანი „შავი ტირილის“ მიზეზების შესახებ. I. „შავი ტირილით“ ავადდება 5—6 წლიან რეულთა ქვედა ნაწილი, მოზარდ ხევბაც ეს ავადმყოფობა ხის ტანის ქვედა ნაწილში უკითარდება. ამ ზონისათვის ალ-სანიშნავია მეტად ძლიერი მოქმედება კორპის ქაბიტუმისა. კორპის მუხაში ფელოგენის ინტენსიური მოქმედება მხოლოდ 5—6—7 წლიდან იწყება. ეს მტკიცდება ფელემის კარგი განვითარებით რეულების აღნიშნულ ხნიერებიში და შემდეგ. მანამდე კი ფელემი ძლიერ თხელ შრეს წარმოადგენს. სანიოს შრომა (16) ეხება მხოლოდ ფელოგენის მოქმედებას კორპის მუხის ახალგაზრდა ტოტებში. უფრო ხანში შესულ ხევბზე კი მისი მოქმედება არ შეუსწავლია. აღნიშნული შრომა პირველია ლიტერატურაში და მეტად საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს დასმული საკითხის გადასაშუცვებად. 5—6 წლიან რეულთა ფელოგენიდან განვითარებული ახალგაზრდა კორპი სკელია, იგი მდიდარია წყლით წინა წელში განვითარებულ კორპის შეეგებათ შედარებით. ახალგაზრდა კორპის შრების დიდი ტენიანობა აღვილი გასაგებია, ვრანიდან კორპის კაბიუმს, შეუდარებელი ინტენსიური მოქმედებისათვის სჭირდება წყლის მეტი რაოდენობა. ამის გამო მისგან ახლად განვითარებული ფელემის უჯრედებიც ტენიანი იქნება და რაღვან ასეთი უჯრედები მრავლად გამოიყოფა და სწრაფად ქმნიან ხოლმე თვალით შესაძნევ ფართო შრეს, ცხადია, ასეთმა შრემ სველი სახე უნდა მიიღოს წინა წელში განვითარებულ კორპთან შედარებით. ახალგაზრდა კორპის დიდი სისველე, ნაწილობრივ, შესაძლებელია აიხსნას აღვილ-სამყოფელის ჭარბი ტენიანობით და კორპის სუსტი ტრანსპორტით.

საკარდის (4) მიხედვით კორპის მუხის ძირითადი კეოლოგიური მოთხოვნილებანი შემდეგია (10): 1. იგი თხოულობს საშუალო წლიურ ტემპერატურას, დაახლოებით, 16—17°-ს. 2. კარგად ვითარდება ისეთ ალგილებში, სადაც ატ-მოსფერული ნალექები აღწევენ მინიმუმ 600 მმ-მდე. 3. მისთვის საჭიროა მაღალი ატმოსფერული ტენიანობა. 4. ვერ უძლებს კალციუმის მიღებას, თხოულობს უჟირქვო ნიადაგებს. 5. ვერ უძლებს ზღვის მარილების მიღებას. 6. მისთვის შეუფრიბელია ბიცობიანი ნიადაგები. 7. უარყოფითად მოქმედებს მტკიცე თიხა და უენევადი ქვენიადაგი. 8. იგი ამჯობინებს ქვინ ნიადაგებს. 9. უმთავრესად კარგად გვარობს ტყის ნაკვეთებზე. 10. კარგად იზრდება გრანიტებში.

ჩვენს პირობებში მოზარდი კორპის მუხა, უმთავრესად, ნიადაგის მიმართ არ არის დაკმაყოფილებული. პლანტაციები (ქუთაისში) გაშენებულია უერნვად და კირით მდიდარ მძიმე ნიადაგებზე, აგუქრის პირობებში კი ზღვის მარილების შემცველ ნიადაგებზე. ამ გარემოებით უნდა აიხსნას კორპის მუხის მიერ მთავარი ფესვის განვითარებლობა; ასეთ პირობებში იგი მხოლოდ დამტკიცებით ფესვებს ივთარებს. მართალია ზოგიერთი მეტყველ სპეციალისტი (პრავდინი) მთავარი ფესვის განვითარებლობის მიზეზდ თვლის გაშენების არა სწორ აფროწესებს წითოლები გამოშეყავთ ქოთხმებში (პარკებში) და შემდეგ გადაქვთ

სანერგეში, ქოთნები აფერხებენ მთავარი ფესვის განვითარებას და მის მაგიერული განვითარებას გვერდითა ფესვების წარმოშობა]; მაგრამ პირდაპირ ნაკვეთზე დაუძლებელი რეაცია არ იძლევა ჩვენს პირობებში მთავარი ფესვს (შეუფერხებელ, მეტად მძიმე ნიადაგის პირობების გამო), მას ჩქარავე ულპება მთავარი ღერძი და მის მაგიერ ვითარდება გვერდითა ფესვები. მთავარი ღერძის ლპობის პროცესი იწვევს კარგად განვითარებულ დამატებით ფესვთა ინტენსიურ მოქმედებას, რის საშუალებითაც მცენარე მდიდრდება შეთვისებული წყლით, რომელსაც ნორმალურად ვერ ხარჯავს პატარა ზომის ამაორთქლებელი ზედაპირის და უხეში ტყავისებრი ფოთლების გამო. მართალია კორპის მუხის ფოთოლს ბაზები დიდი რაოდენობით ახასიათებს, მაგრამ ფოთლის პატარა ამაორთქლებელი ზედაპირი, მის ქვედა ეპიდერმისზე ხარიანი შემუშვა და თვით ფოთლის ტყავისებრი—უხეში კონსისტენცია ანელებს ტრანსპირაციის ინტენსიურობას.

აქვეა საჭირო პრისტლეის (17) თეორიის გახსენება. მისი თეორიით კორპის წარმოქმნის დროს გაძლიერებულია პლასტიკურ ნივთიერებათა მიღენა, სადაც ზრდა იმდენად ენერგიული არაა, რომ მთელი მიღენილი ნივთიერება მოხსმარებულ იქნას. ამგვარად, პრისტლეის მოსაზრებით, სუბერინი, რომელიც უჯრედების გაყორებას იწვევს, იქმნება მათთან ორგანულ ნივთიერებათა იმდენად ჭარბი მიღენით, რომ უკანასკნელი რჩება დაუხარჯავად. ასეთსავე მოვლენას უნდა ჰქონდეს იდგილი კორპის მუხის შემთხვევაშიც. გამომდინარე ზემონათქვამიდან, ე. ი. ფელოგენისა და ახალგაზრდა ფელემის ქსოვილების ჭარბი ტრინიანბა და მათი სიმდიდრე მოუხმარებელი ორგანული ნივთიერებით (რაც დასავლეთ საქართველოს პირობებში, როგორც მისთვის შეუსაბამ ეკოლოგიურ გარემოში, უფრო მეტორად უნდა იყოს გამოსახული), შესაძლებელია აძლევდნენ საწყისს „შავი ტირილით“ დაგენდებას. თუ არ დადასტურდა ამ თავისებურ მოვლენათა პირელადი ბუნება დაავალების გამოშვევაში, ყოველ შემთხვევაში იგი ხელის შემწყობი უნდა იყოს პირველად დამაავალებელ მიკროორგანიზმთა სწრაფი განვითარებისათვის. ჩვენი შეხედულებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯიშის ამ თავისებურებას, ე. ი. ფელოგენის მოქმედებას მოზრდილი ხის ნაწილებში, რადგან მისი სპეციფიკური მოქმედება სურველი იმ ზონაშია გამოსახული, სადაც იდგილი აქვს „შავი ტირილის“ მოვლენას.

II. შეუძლებელია ამეამად მოზარდ 50—60 წლიან ხეებს პერიოდათ „შავი ტირილი“ 5—6 წლიდან დაშეუბული და დღემდე გაეძლოთ მათ. კერნი (2) ავგიწერს ამ მხრივ, ერთ საურადლებო ფაქტს. მომორაში 1914 წელს ავგიწერს ამ მხრივ, ერთ საურადლებო ფაქტს. მომორაში 1923 წელს კი გასახლელი იყო ქერქი კორპის ხეებს გახადეს პირველი ქერქი, 1923 წელს კი გასახლელი იყო ქერქი მეორედ. რადგან ადგილობრივ არ მოიპოვებოდნენ დახელოვნებული მეზები, ჩამოიყანეს ესპანელები. მათ ანგარიში არ გაუშიეს ადგილობრივ ხის ზრდის პირობებს და გახადეს ქერქი ისევე, როგორც თავანთ სამშობლოში ჰელინენ. ბერერმა ხემ ვერ გადაიტანა ოპერაცია, დაიწყო ავადმყოფობა და ხმობა. მათი ლაფანი დასკდა, ნასკომი ადგილებიდან იწყო დენა შავშა წვენმა და, აგრეთვე, გაუჩნდათ ენტომოლოგიური მაგნებლები.

ჩვენს პლანტაციებზე კორპის გახდა ჩატარდა აღვილობრივ სრულიად გა-<sup>მარტივ</sup> მოუცდელი მუშაბის მიერ, რომელიც არა მარტო დაუხელოვნებელი იყვნენ საქონოდ კორპის გახდაზე, არამედ არ იცნობდნენ ხის აღვილობრივი ზრდის თავისებურ პირობებსაც. საესებით შესაძლებელია რომ მათ მიერ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ იწყეს ხეებმა ზავი წვენის გამოყოფა, მსგავსად მამორის კორპის ხეებისა. ასეთ პირობებში მოზრდილ ხეებზე გაჩენილი ინფექცია შესაძლებელია გაფრცელდა ახალგაზრდა რგულებზედაც. ამ მხრივ საყურადღებოა ფიტოპათოლოგიური გამოვლენი ჩატარებული სოლოვიოვის (5), ბორისოვის და უკანასკნელი შიშვინას (6) მიერ. სოლოვიოვის დაკირვებით დაავადების გამომწვევი უნდა იყოს *Endothia parasitica* Fr., რომლის სანაყოფი სხეულებიც იქნა ნაპოვნი მის მიერ. მკელევარს უნდელდება საბოლოო „ზავი ტირილის“ მიზეზად ჩათვალოს აღნიშნული სოკო, რადგან მას არ ჰქონია ჩატარებული ცდები ხელოვნურად დაავადების შესახებ. ამ მხრივ შიშვინას მიერ ჩატარებული მეზოაბა უფრო სრულია. მან დაავადებული ქსოვილებიდან გამოყოფილი შემდეგი მიკროორგანიზმები: *Phytophthora*, *Fusarium*, *Phoma*, *Armillaria* და სხვ. მათ შორის „ზავი ტირილის“ დაავადების გამომწვევად ოვლის სოკოს *Phytophthora*-ს, რომელიც დროებით ვარკვეულია, როგორც *Phytophthora cinnamomi*.

აღწერილი ცდები პათოლოგიური ეფიზიოლოგიის შესასწავლად ჩატარებულ იქნა ჩვენ მიერ 1941 წელს ქუთაისის სატყეო მეურნეობის ბანოჯის კორპის მუხის სადედე პლანტაციაზე.

## И. И. ЧХУБИАНИШВИЛИ

### МАТЕРИАЛЫ К МОРФОЛОГИИ И ФИЗИОЛОГИИ ПРОБКОВОГО ДУБА, ПОРАЖЕННОГО ЧЕРПИЛЬНОЙ БОЛЕЗНЬЮ

Поражение этой болезнью, начинающееся в тканях флоэмы (в большинстве случаев от феллогена), распространяется на весь слой луба и часто переходит в древесину. С пораженных участков начинает вытекать жидкость, содержащая танины; выступая наружу, она окисляется, вследствие чего на поверхности ствола дерева, начиная от корневой шейки на протяжении полутора метров вверх, появляются черные пятна. Пораженные участки луба часто составляют 30% поверхности всего ствола, по отношению же к поверхности пораженной части ствола—60—70%. В тех случаях, когда пораженные участки луба расположены вокруг ствола (по окружности), мы имеем дело с типичным окольцеванием, если же пораженные участки луба расположены местами и не окружают полностью ствола, имеем явление частичного окольцевания.

Интенсивность дыхания (количество  $\text{CO}_2$  в миллиграммах выделенной 1 г сырого веса материала в 1 сутки) больной флоэмы рав-



няется 0,71, а здоровой—3,25 (опыт на 6 дней); снижение скорости дыхания влияет на торможение передвижения веществ по флоэме. Это явление связано с постепенным отмиранием пораженных участков луба.

В пораженных местах наблюдается интенсивный процесс тиллозиса. В последнем годичном кольце ствола сосуды поздней древесины часто закупорены на 100%, 90,7 и 50%, сосуды же ранней древесины на 66,7%, 36,4, 42,8 и 48%. В предпоследнем годичном кольце процесс тиллозиса слабо выражен; сосуды поздней древесины закупорены на 37,5%, 50 и 20%, тогда как в ранней древесине процесс только начинается. Появление тилл в сосудах последнего годичного кольца ускоряет смерть растения, в силу ослабления водоподачи в листья (Слит).

Оsmотическое давление здорового луба отрицательное (явление всасывания) и в основном колеблется от—1 до—8 мм; наблюдалось и—40 мм. В поврежденной флоэме давление положительное (явление вытекания) и колебание силы давления наблюдалось весьма в больших пределах от + 1 до + 82 мм. Таким образом, во время болезни имеем дело с местным положительным давлением, которое ограничено ареалом повреждения. Этим обясняется всасывающая способность по соседству расположенного здорового луба.

Описанные физиологические процессы, протекающие в больных участках флоэмы, аналогичны процессам, протекающим в случае окольцевания, вследствие чего указанную болезнь можно считать естественным (без участия человека) окольцеванием.

---

I. I. Chkhubianishvili

## ON MORPHOLOGY AND PHYSIOLOGY OF THE CORK-OAK INFESTED BY THE INK DISEASE

### Summary

The infestation of the cork-oak by the ink disease arises in the tissues of the phloem, spreads over the whole of the bast layer and often passes to the wood. A liquid containing tannides flows out of the infested portions; on coming out it oxygenates, as a result of that some black spots appear all over the surface of the tree trunk from the roots up to the height of 1,5 m. The infested area of the bast often reaches 30 per cent of the whole surface of the trunk. Sometimes the infested portions of the bast spread round the trunk, it is, then, typical girdling; and when the infested portions are scattered over the trunk and do not encircle it, we call it partial girdling.

The intensity of respiration (the amount of  $\text{CO}_2$  in milligrammes excreted by 1 gr. of the raw material per one day) in the infested phloem is 0,71 and in the normal—3,25; the decrement in the rate of respiration causes the retardation of transport of all substances over the phloem. This phenomenon is associated with the gradual dying of the infested portions of the bast.

We observed an intensive process of the formation of tyloses in the infested portions of the bast. In the last annual ring of the trunk 100, 90,7 and 50 per cent of the vessels of the late wood were blocked up; as to the early wood, 66,7, 36,4, 42,8 and 40 per cent of the vessels were blocked up. In the last but one annual ring the formation of tyloses was not so marked: 37,5, 50 and 20 per cent of vessels of the late wood were blocked up, while in the early wood the process was only at its beginning. The appearance of tyloses in the vessels of the last annual ring precipitates the death of the plant, due to the decrement in water transport to the leaves (Sleet).

The osmotic pressure of the normal bast is negative (the phenomenon of absorption) and varies from—1 to—8 mm., though in one case it was—40 mm. The pressure in the injured phloem was positive (the phenomenon of issue), it varied from +1 to +82 mm. Thus, in the injured phloem there is local positive pressure, which is limited by the area of infestation; this fact explains the presence of the absorptive ability in the normal contiguous bast.

The physiological processes that have been described above and that take place in the injured portions of the phloem are similar to the processes occurring in the case of girdling. On account of that ink disease can be considered as natural (without the participation of man) girdling.

### Л О Г И К А Б У Й

1. Л. А. Иванов—Физиология растений, 1936, Ленинград.
2. Э. Керн—Пробка и пробковый дуб, 1928, Ленинград.
3. Д. А. Сабинин—Минеральное питание растений, 1940, Москва.
4. Л. Саккарди—Пробковый дуб и пробковая кора в Алжире (перевод с французского—рукопись).
5. Ф. А. Соловьев—Болезни и повреждения пробкового дуба, произрастающего на Кавказе. Тр. лесо-тех. Академии им. С. М. Кирова, 1936, № 47, Ленинград.
6. А. К. Шишкина—Причины чернильной болезни пробкового дуба и меры борьбы с ней, Тбилиси, 1941 (рукопись).
7. H. Reichenbach—1845. Bot. Zeitung. 3 Jahrg., 14 Stück, 225.
8. H. Molisch—1889. Sitz. d. Math.—Nat. Classe Ak. Wien, II Abt.
9. J. Boehm—1867. Sitz. d. Math.—Nat. Classe Ak. Wien, Bot. 55, II Abt.
6. მემვაბი

10. E. Küster—1926. Pathologische Pflanzenanatomie.
  11. J. Bordas et Ioesse, 1927. C. R. Ac. de Sc., № 14.
  12. B. Sleet—1933. Phytopathology. v. 23.
  13. S. Dijkstra—1937. Stoffanswanderung und Atmung in Blättern von Nicotiana glauca und Phaseolus multiflorus. Rec. trav. bot. neerl., vol. 34, 332. ციტიურებულის საბინინიდან (3).
  14. T. Mason and E. Phillis—1936, a. The concentration of solutes in sap and tissue and the estimation of bound water. Ann. bot., v. 50, 437. ციტიურებულის საბინინიდან (3).
  15. T. Mason and E. Phillis—1936, b. Further studies on transport in the cotton plant. V. Oxygen supply and the activation of diffusion. Ann. bot., v. 50, 454. ციტიურებულის საბინინიდან (3).
  16. C. Sanio—Vergleichende Untersuchungen über den Bau und die Entwicklung des Korkes (Jahrb. wiss. Bot., Bd. II, 1860).
  17. Priestley—1. Causal factors in Corkformation. New Phytologist, vol. XXI, 1922.  
 2. The water relation of the plant growing point. Ibid., vol. XXII, 1922.  
 3. Further observation upon the mechanism of root pressure. Ibid., vol. XII, 1922. ციტიურებულის ბოსქის მიხედვით—1938).
-



## 6. მახარაძე

### ვაზის ერთჯლიანი ნაშენის მიზნის მიკოფლობა

საკაფშირო კ. პ. (ბ) ც. კ. და საკაფშირო სახელმისამართის 1936 წლის 28 ივლისის ისტორიულმა დადგენილებაშ უდიდესი გავლენა მოახდინა ჩენი სოფ-ლის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განმტკიცებაზე, როგორიცაა მევენახეობა. ამ პერიოდიდან მეტი ტემპით კითარდება საქართველოს მევენა-ხეობა, განუწყვეტლივ ინრდება ვენახების ფართობი და წესიერი იგროტექნიკის შემოღებით ყოველწლიურად მატულობს მევენახეობის პროდუქციაც.

მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის ახალ და უდიდესი მნიშვნე-ლობის ფაქტორს წარმოადგენს საკაფშირო სახელმისამართის და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1940 წლის 25 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ ჩაის მეურ-ნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვი-ნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათ შესახებ“. ამ დადგენილების მი-ხედვით საქართველოში ვენახების ფართობი 1944 წლისათვის უნდა გაიზარ-დოს 80 ათასს ჰექტარამდე, ე. ი. ერთი ხუთწლედის მანძილზე ახლად გაშენე-ბული ვენახების ფართობმა უნდა მიაღწიოს 31.640 ჰექტარს, რაც ნიშნავს არ-სებული ვენახების გადიდებას 65%-ით.

ამ დიდი ამოცანის ჩრდილიზაცია უშუალოდ დაკავშირებულია მაღალხარის-ხოვანი ნამყენის მასობრივად მიღების საკითხთან. ზემოხსენებულ დადგენილე-ბათა საფუძველზე უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული: გაზარდა ამერიკული ვაშის სადედების ფართობი და მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა ჩენი სადედე-ლი და სანერგე მეურნეობაც. მიუხედავად ამისა, მიღებული პროდუქციის ხარის-ხობრივი მაჩვენებლები ჯერ კიდევ ვერ შეეფერება საქართველოს მევენახეობის წინაშე დასმეულ ამოცანებს. ვარების ნამყენის გამოსავალი სანერგიდან ჯერ კიდევ არ არის საესებით დამაქმაყოფილებელი, რასაც ნათლად ამტკიცებს თუნდაც ის გარემოება, რომ რესპუბლიკური მასტრაბით პირველი ხარისხის ნამყენის რაოდენობა, მთელ პროდუქციასთან შედარებით, 1935 წ. უდრიდა 28%-ს, 1936—33%-ს და 1937 წ.—38%-ს. მართალია, ეს მონაცემები სრული სიცხადით მოწმობენ ჩენი სანერგე მეურნეობის განუწყვეტელ გაუმჯობესებას, ნამყენის ხარისხობრივ ზრდას, მაგრამ ამ საქმეში წინსელის ტემპი ჯერ კიდევ საკმაოდ ნელია და კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ შესრულებული იყოს სადირექტო ორგანოების მიერ დასმული საბრძოლო ამოცანა—პირველარისხოვანი ნამყენი მიღებული იყოს საშუალოდ 50—55%-ის რაოდენობით. ამ დიდი ამოცანის დადებითად გადაჭრის დროს ჩენ ნათლად უნდა გვქმნდეს წარმოდგენილი, თუ რა მიხედვის ან, უკეთ რომ კოქვათ, რა



გავლენათა ქომპლექსი ამცირებს პირველხარისხოვანი ნამყენის გამოსავალს და რითა გამოწვეული ნამყენის ცუდად შეზრდის მასობრივი მოვლენა.

ამ. ლ. პ. ბერიას სახელმძღვანი სასოფტ.-სამ. ინსტიტუტის მევენახეობის კათედრას არ შექმლო თავის წინაშე არ დაესვა ეს საკითხი და არ ცდილიყო ამა თუ იმ მომენტში მის ნაწილობრივ მაინც გარკვევას. ამასთან დაკავშირებულ სხვა მრავალ საკითხს შორის<sup>1</sup> კათედრამ საჭიროდ დაინახა გაურკვევია— ხომ არ არის ნამყენის ცუდად შეზრდის ერთი მიზეზთაგანი მისი დაავადება რაიმე მიკროორგანიზმებით. ამ მიზნით 1938 წ. შეუდევქით ერთშემსრული გაზის ნამყენის მიკოფლორის შესწავლას. მუშაობა წარმოებდა 1938—1939 წლებში<sup>2</sup>.

1938 წელს საგამოკვლევო მასალა ოლებულია დამპალოში ზამბან-კომბინატის სანერგებში, მუკუზანსა და ვარციხეში—სამრტესტის სანერგებში. ეს პუნქტები შეტევული იყო იმ მოსაზრებით, რომ, ჯერ ერთი, ისინა მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი კლიმატური და სხვ. პირობებით და, მერე იმიტომაც, რომ სწორედ ამ პუნქტებში მიმდინარეობდა მევენახეობის კათედრის მიერ წარმოებული ცუდი—შემოფენულში ნამყენის მიღებაზე.

შესაფერისი საშუალო ნიმუშების მისაღებად ჩენ მიერ გასინჯული იყო 40 ათასი ნამყენი, რომელთაგან ვარგისი (პირველხარისხოვანი) იყო 38%. რადგან ჩენი თემის ძირითად მიზანს შეადგენდა ცუდად შეზრდის მიზეზის გამორკვევა, ამიტომ საგამოკვლევო მასალა ოლებული იყო მარტო უვარესიად ცნობილი ნამყენებიდან და პირველხარისხოვან ნამყენს ვიღებდით მხოლოდ საკონტროლოდ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკონტროლო მასალის შემოწმების დროს თითქმის არავითარი დაავადება არ იყო აღმოჩენილი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, როდესაც მხოლოდ საძირის ქრქის ზედაპირზე გვხვდებოდა სოკოები *Mucor* და *Aspergillus*.

ლაბორატორიაში დასამუშავებლად დამპალოში ყოველ ორ კვირაში ერთ-ხელ აღებით მივიღეთ 500 ნამყენი, ვარციხეში—100 და მუკუზანში—150 ნამყენი; ამრიგად, საგამოკვლევო მასალის სიმრავლე საკისრისად უზრუნველყოფდა გამოკვლევის სისუსტეს და ააშეარევებდა მიკოფლორის შემაღებულობას.

ლაბორატორიულ მუშაობას ვაწარმოებდით, ე. წ. წმინდა კულტურების მეოთლით, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: საგამოკვლევო მასალის გადარჩევის დროს ვიღებდით დაავადების მხრივ საეჭვო ნამყენებს და მათი ვარეგანი სტერილიზაციის შემდეგ (ცეცხლზე ან სპირტით) აქედან აღებულ მონაცერს, ან აღმოჩენილი სოკოს ნაწილებს (ფიტქს, ძაფებს, ჭიშ და სხვ.) ვოსტავდით საკვებს სუბსტრატზე, მეტ 2%-ულ ლუდ-აგარზე. ამ სახით კულტურებს ვათავსებდით თერმინსტატში 20—26°C პირობებში. წმინდა კულტურას გარკვევა ისაზღვრება.

<sup>1</sup> დოც. მ. რამიშვილი—საკონტროლო გრილების აფგილმდებარეობის გავლენა 1-ელ ხარის. ნამყენის 1%-ულ გამოსავლიანობაზე; 2) რების პრესიანობის გავლენა 1-ელ ხარის. ნამყენის 1%-ულ გამოსავლიანობაზე; 3) რების ზონალობის გავლენა 1-ელ ხარის. ნამყ. 1%-ულ გამოსავლიანობაზე; 4) სანერგებში ნამყენებს შორის უკეთესი მანძილის გამსაზღვრა; 5) ნამყენი ვაზის სანერგებში წაფარების წესის გამორკვევა.

<sup>2</sup> ჩ. ჩ. ნ. შვილი—ვაზის რების დააფრაგმისა და გულგულის შესწავლისათვის.

<sup>2</sup> მოხსენებული თემის დამუშავებაში მონაწილეობას იღებდა მევენახეობის კათედრის ლაბორატორი ქ. თ. გეგეშ შიძე.

ბოდა სოკოების გვარების დადგენით. კულტურების აღწერას ვაწარმოებდი მაკროსკოპულად და მიკროსკოპულად და ჩემოხსენებული გზით მიღებული მასალა ჩვენ მიერ დაჯგუფებულია შემდეგნაირად: I. მიკოფლორა ნამყენზე—დარგვის წინ: ა) მიკოფლორა მყნობის აღილზე, ბ) მიკოფლორა სანამყენზე, გ) მიკოფლორა საძირებზე. II. მიკოფლორა მყნობის აღგილზე—სანერგეში: ა) შემოფიცრულში, ბ) მიწის ქვეშ. III. მიკოფლორა სანამყენზე—სანერგეში: ა) შემოფიცრულში, ბ) მიწის ქვეშ. IV. მიკოფლორა საძირებზე—სანერგეში: ა) შემოფიცრულში, ბ) მიწის ქვეშ.

### 1. მიკოფლორა დარგვის წინ.

ა) მიკოფლორა მყნობის აღგილზე—საექსპერიმენტო მასალად გამოყენებულია 200 ცალი ნამყენი, აღებული დარგვის წინ დამპალოში. გადარჩევის დროს 200 ნამყენიდან მყნობის აღილის დაავადების მხრივ საეჭვო აღმოჩნდა 33 ნამყენი, რომლის გამოკვლევის შედეგები მოცემულია 1-ელ ტაბულაში (1 და მე-2 სვეტში).

### მიკოფლორა ნამყენზე—დარგვის წინ

ტაბ. 1.

მიკოფლორა მყნობის აღგილზე	შემოფიცრული მიწის ქვეშ	მიკოფლორა სანამყენზე	შემოფიცრული მიწის ქვეშ	მიკოფლორა საძირებზე	შემოფიცრული მიწის ქვეშ
Alternaria . .	16	Alternaria . .	16	Alternaria . .	19
Aspergillus . .	12	Aspergillus . .	16	Aspergillus . .	13
Fusarium—სექცია:		Botrytiscinerea .	4	Botrytis cinerea.	7
Martiella . .	24	Fusarium—სექცია:		Fusarium—სექცია:	
Mucor. . .	12	Martiella, spo-		Elegans, Arth-	
Penicillium . .	24	rotrichiella .	32	rosporiella .	35
Verticillium . .	8	Penicillium . .	52	Moniliopsis . .	3,9
Moniliopsis Ader-		Verticillium . .	8	Mucor . . .	3,9
holdii Ruhl. .	4	Bacterium . .	3	Penicillium . .	45
Bacterium (ჩხირი- სებრი) . . .	20			Verticillium . .	3,9
				Bacterium . .	2,9

ამ შრომაში საერთო დაავადების % მიღებულია კველა აღებული ნამყენის რიცხვიდან. ცალკეული მიკროორგანიზმების % გამოანგარიშებულია მხოლოდ დაავადებული ნამყენის რიცხვიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მყნობის აღ-

<sup>1</sup> დაჯგუფება „შემოფიცრულში“ და „მიწის ქვეშ“ ჩვენ მიერ აღებულია იმ მუშაობის შესასებად, რომელსაც აწარმოებდა დოც. მ. რამი შვილი შემოფიცრდის საშუალებით საღი და მაღალხარისხოვანი ნამყენის მიღების მიწინოთ.

გილზე დაავადება გამოწვეულია ან მხოლოდ ერთი სოკოს გვარით, ან ამ სო-  
კომბინაციით.

ბ) მიკოფლორა სანამყენოზე—დარგვის წინ (ტაბ. 1-ლი, მე-3  
და მე-4 სვეტი). საგამოკვლევო შასალად სანამყენოზე მიკოფლორის დასაღე-  
ნად აღებულია იგივე 200 ნამყენი. დაავადებული აღმოჩნდა 25 ნამყენი (12,5%).  
როგორც ტაბულიდან ჩანს, სანამყენოზე აღმოჩნდა ბაქტერიები და სოკოების  
7 გვარი—ცალცალქვე და იმავე სოკოების კომბინაციებში.

გ) მიკოფლორა საძირებზე—დარგვის წინ (ტაბ. 1-ლი, მე-5 და  
მე-6 სვეტი). საძირებზე მიკოფლორის დასაღენად გამოვიყენეთ იგივე 200 ნამ-  
ყენი, რომელთაგან დაავადებული იყო 51 ცალი (75,5%) ბაქტერიებით და სო-  
კოების 8 გვარით. როგორც პირველ ორ შემთხვევაში, ისე აქაც დაავადება გამო-  
ხატულია სოკოების ერთი რომელიმე გვარით, ან ამ სოკოების კომბინაციით.

დარგვის წინ, ნამყენის სამივე ნაწილზე გვხვდებოდა ერთი და იგვენ  
მიკროორგანიზმები, ხოლო საძირებზე მიკროორგანიზმების რიცხვი მეტია—  
25,5% მაშინ, როდესაც დაავადების % მყნობის ადგილზე და სანამყე-  
ნოზე უდრის 12,5%-ს. ამ მიკროორგანიზმებიდან ყველაზე ხშირად გვხვდე-  
ბოდა *Penicillium*, *შემდეგ Fusarium*-ის სექციები: *Martiella*, *Elegans* და  
*Arthrosporiella*. საპროფიტული სოკოები, როგორიცაა *Mucor*, *Aspergillus*,  
*Penicillium*, *Verticillium* და ბაქტერიები, უმეტეს შემთხვევაში, გვხვდებოდა  
ნამყენის ქერქის ზედაპირზე. ქსოვილებში მათი შეჭრა არც ერთხელ არ ყო-  
ფილა შემჩნეული. მაგრამ *Verticillium*, *Penicillium* და *Fusarium*-ის ძლიერი  
განვითარების შემთხვევაში ეს სოკოები მთლიანად ფარავდნენ ნამყენის საძი-  
რის გადანაჭერს და იწვევდნენ უჯრედების (2—3 ფენის) გაყავისფერებას.  
იქ კალუსი სრულიად არ იყო განვითარებული. ქერქის გულგულის სხივებში  
სახამებელი გვხვდება მხოლოდ ცალკეულ უჯრედებში. საძირებზე საყრადებოა  
ისეთი სოკოს შეხვედრა, როგორიცაა *Botrytis cinerea* Pers. ეს სოკო ქერქიდან  
იჭრება საძირის ქსოვილში, აზიანებს ქერქს და სხივების უჯრედებს, რომელიც  
იქლინობიან სუბერინით, ალაგ-ალაგ კი იწყება მათი დაშლაც. ხშირად ამ სო-  
კოს მიცელიუმის ნაწილებით გამოვსებულია ჟურქლები და სხივების ცალკეული  
უჯრედები. ქერქის ქსოვილი სრულიად თავისუფალია როგორც სახამებლისა,  
ისე მთრთიმლავი ნივთიერებებისაგან. ალაგ-ალაგ ქერქის ქსოვილიდან შერჩენი-  
ლია მხოლოდ ჩინჩხი. კამბიუმი უშემდია და სრულიად არ გვხვდება ახლად  
წარმოქმნილი უჯრედები. კალუსი ან სულ არ ვითარდება, ან გვხვდება წყვი-  
ტილი რკალის სახით.

## II. მიკოფლორა მყნობის ადგილზე—სანერგეში

ეს საკითხი ჩვენ მიერ შესწოლილია ორი კომბინაციით: ა) შემოფიცრულ-  
ში და ბ) მიწის ქვეშ. მასალა აღებულია 3 პუნქტში: დამბალოში, მუკუჩანსა  
და ვარციხეში. პირველ კომბინაციაში (შემოფიცრულში) დამბალოს მასალიდან  
(200 ნამყ.) დაავადების მხრივ საეჭვო იყო 7 ნამყენი. გამოკვლევის შემდეგ ამ  
7 ცალიდან ერთი აღმოჩნდა სტერილური, დანარჩენებზე (3%) გვხვდებოდა

სოკოების 4 გვარი: Fusarium, Penicillium, Alternaria, Verticillium. მუკუტ-ნისა და გარციის მასალა სრულიად თავისუფალი იყო სოკოებისაგან, თუ არ ჩათვლით მუკუტნის ერთ ნამყენს, რომელზედაც აღმოჩნდა უნაყოფო მიცელიუმი. მეორე კომპინაციაში (მიწის ქვეშ) დამპალოში იღებული 200 ნამყენიდან დანავადებული იყო 17 ნამყენი (85%) სოკოს 6 გვარით. ამ შემთხვევაში სოკოების უმეტესობა გვხვდებოდა კომპინაციაში, ზოგჯერ ორ ცალად, ერთ შემთხვევაში 3 ცალადაც კი. რაც შეეხება მუკუტნისა და გარციის მასალას, აქ საერთოდ ისეთივე სურათი იყო, როგორიც პირველ კომპინაციაში, ე. ი. გარციის მასალა სრულიად სალი აღმოჩნდა, ხოლო მუკუტნაში შეგვხდა უნაყოფო მიცელიუმი 6 ნამყენზე (4%, ტაბ. მე-2).

ମିଳିବାରେ କଥା ମୁଣ୍ଡିଲିବାରେ

Q. 2.

პუნქტი და დაავადების საერთო %	მიკოფლორა შემოფიცრულში	ინტენსივური ტენიანობა %	პუნქტი და დაავადების საერთო %	მიკოფლორა მიწის ქვეშ	ინტენსივური ტენიანობა %
დამპალო	Fusarium . . .	50	დამპალო	Botrytis cineria .	11,8
დაავადება = = 3%	Penicillium . . .	50	დაავად. =	Fusarium . . .	52,8
	Alternaria . . .	16,6	= 8,5	Alternaria . . .	23,8
	Verticillium . . .	16		Verticillium . . .	17,6
				Penicillium . . .	4,1
				Mucor . . .	17,6
მუკუზანი	უნაყოფო მიცელიუმი .	1	მუკუზანი	უნაყოფო მიცელიუმი	4
დაავადება = = 1%			დაავად. = = 4%		
ვარციხე	არ იყო	—	ვარციხე	არ იყო	—

მე-2 ტაბულის მონაცემებიდან ვხედავთ, რომ 1) სრულიად სალი გასალა ეკუთვნის ვარციხს, საქმაოდ სალი მყნობის ადგილი მოგვცა მუკუჩანმაც და უფრო ძლიერი დაავალება ახასიათებს დამპალოს, 2) შემოფეიცრულში მყნობის ადგილი გაცილებით უფრო ნაკლებად არის დაავალებული, ვიდრე მიწის ქვეშ.

### III. მიკოლოგორა სანამყენოზე—სანერგეში

ეს საკითხი განხილულია იმავე კომბინაციებში, როგორშიაც მეორე (შემოფიცრულში და მიწის ქვეშ) და მასალა აღებულია იმავე სამი პუნქტიდან. I კომბინაციაში, დამპალოში აღებული 200 ნამყენიდან დაავადებული აღმოჩნდა 49 ცალი (24,5%). დაავადების გამომწვევი სოკოგბიდან გვხვდებოდა: *Fusarium* 59%, *Alternaria* 22,4%, *Verticillium* 22,4%, *Stachybotris* 2%, *Penicillium* 32%, *Rhizoctonia* 2% და *Aspergillus* 3%. ამ სოკოგბიდან კვლავ ხშირად

გვეცვებოდა *Fusarium*, რომელიც ჩვენს შასალაში აღნიშნულია როგორც ცალკე ისე თითქმის ყველა სოკოსთან კომბინაციაში.

მუკუჩანიში აღებულ 75 ნამყენიდან დაავადებული აღმოჩნდა 5 ცალი (6,6%)—ერთი ფუზარიუმით, ხოლო 4—პენიცილიუმით და მუკორით. ვარციხე-ში 50 ნამყენიდან დაავადებული იყო 3 ნამყენი (6%)—ორი პენიცილიუმით და ერთი—ასპერგილუსით.

მეორე კომბინაციაში (მიწის ქვეშ) დამპალოს 200 ნამყენიდან დაავადებული იყო 40 ცალი (20%) სოკოების 9 გვარით (ტაბ. 3). ამ მასალის მიკოფლორის შემადგენლობაში ყვრადღებას იპყრობს ბაზიდიალური სოკოების ხშირი შეხვედრა (12,5%). გაცილებით უფრო საღ მასალის იძლევა მუკუჩნისა და ვარციხის სანერგე. პირველ პუნქტზე 75 ნამყენიდან, ხოლო მეორეზე 50 ნამყენიდან დაავადებდა შენიშნულია მხოლოდ თითო ნამყენზე: მუკუჩანიში უნაყოფო მიცელიუმით, ვარციხეში კი—ფუზარიუმით. მიწის ქვეშ სანამყენ ნაკლებად იყო დაზიანებული, ვიდრე შემოფიცრულში.

#### მოკოფლორა სანამყენოზე

ტაბ. 3.

პუნქტი და დაავადების საერთო %	მიკოფლორა შემოფიცრულში	მიკოფლორა შემოფიცრულში	მიკოფლორა მიწის ქვეშ	მიკოფლორა შემოფიცრულში	პუნქტი და დაავადების საერთო %
დამპალო 24,5	<i>Fusarium</i> —სექცია: <i>Martiella</i> , <i>Eupion-</i> <i>notes</i> . . . . . <i>Alternaria</i> . . . . . <i>Verticillium</i> . . . . . <i>Rhizoctonia</i> . . . . . <i>Stachybotris</i> . . . . . <i>Penicillium</i> . . . . . <i>Aspergillus</i> . . . . .	59 22,4 22,4 2 2 32 10,3	<i>Fusarium</i> —სექცია: <i>Eupionnotes</i> . . . . . <i>Alternaria</i> . . . . . <i>Rhizoctonia</i> . . . . . <i>Moniliopsis</i> . . . . . <i>Verticillium</i> . . . . . <i>Stysanus</i> . . . . . <i>Penicillium</i> . . . . . <i>Aspergillus</i> . . . . .	47,5 7,5 5 7,5 7,5 32,5 5	დამპალო 20%
მუკუჩანი 6,6%	<i>Penicillium</i> . . . . . <i>Fusarium</i> . . . . .	80 20	უნაყოფო მიცელ . . . . .	—	მუკუჩანი 1,3%
ვარციხე 6%	<i>Aspergillus</i> . . . . . <i>Penicillium</i> . . . . .	33 63	<i>Fusarium</i> . . . . .	—	ვარციხე 2%

#### IV. მიკოფლორა საძირებე—სანერგეში

კომბინაციები და პუნქტები ივივე იყო, რაც წინა ორ შემთხვევაში. დამპალოს 200 ნამყენიდან I კომბინაციაში დაავადებული აღმოჩნდა 5 ნამყენი (27,5%) ბაქტერიებით (3 ნამყენზე) და სოკოების 6 გვარით (ტაბ. 4). აქც ყველაზე ხშირად გვეცვებოდა ფუზარიუმი, შემდეგ ალტერნარია, ვერტიცილიუმი და პენიცილიუმი ცალცალქვე ან სოკოების ერთმანეთთან კომბინაციაში.

მუკუზნის მასალაც საკმაოდ დაავადებული აღმოჩნდა: 75 ნამყენიდან დაავადებული იყო 27 ცალი (36%). სოკოების 9 გვარით (ტაბ. 4). ვარციხემ მოგვცილებით დაავადებით სალი მასალა. აქ დაავადება უდრიდა სულ 8%-ს. მეორე კომბინაციაში (მიწის ქვეშ) დამპალოს 200 ნამყენიდან დაავადებული აღმოჩნდა 54 ნამყენი (27%, მე-4 ტაბ.).

აქედან აღსანიშნავია *Fusarium*—სექცია—*Elegans*'ით დაავადების დიდი რიცხვი (51,8%) და *Fusarium*—სექცია *Eupionnotes* (20%). მუკუზანში 75 ნამყენიდან დაავადებული იყო 23 ცალი (30%). ვარციხემ მოგვცილებით სალი მასალა—დაავადება უდრიდა სულ 6%-ს.

მიკოფლორა საძიროება

ტაბ. 4

პუნქტი და საერთო დაავადების %	მიკოფლორა შემოფიცრულში	დამპალო %	პუნქტი და დაავადების საერთო %	მიკოფლორა მიწის ქვეშ	დამპალო %
დამპალო 27,5%	<i>Fusarium</i> სექცია: <i>Eupionnotes</i> , <i>Elegans</i> . . . . . <i>Alternaria</i> . . . . <i>Verticillium</i> . . . . <i>Rhizoctonia</i> . . . . <i>Stachybotris</i> . . . . <i>Penicillium</i> . . . . .	40,7 25 24 5,5 1,6 24	დამპალო 27,5%	<i>Fusarium</i> სექცია: <i>Eupionnotes</i> , <i>Elegans</i> . . . . . <i>Rhizoctonia</i> . . . . <i>Alternaria</i> . . . . <i>Moniliopsis Aderholdi Ruhland</i> . . <i>Coremium</i> . . . . <i>Aspergillus</i> . . . . <i>Penicillium</i> . . . . <i>Mucor</i> . . . . .	51,8 3,7 5,5 5,5 5,5 0,5 27,7 2,7
მუკუზანი 36%	<i>Fusarium</i> სექცია: <i>Eupionnotes</i> . . . . <i>Alternaria</i> . . . . <i>Penicillium</i> . . . . <i>Aspergillus</i> . . . . <i>Helminthosporium</i> . . . . <i>Trichothecium</i> . . . . <i>Mucor</i> . . . . . <i>Rhizopus</i> . . . . . <i>Sporodesmium</i> . . . . .	18,4 8,4 48,5 7,4 3,7 3,7 3,7 3,7 3,7 3,7	მუკუზანი 30%	<i>Fusarium</i> სექცია: <i>Eupionnotes</i> , <i>Elegans</i> . . . . . <i>Alternaria</i> . . . . <i>Verticillium</i> . . . . <i>Aspergillus</i> . . . . <i>Penicillium</i> . . . . <i>Mucor</i> . . . . .	34,7 17,3 8,6 21,7 17,3 4,3
ვარციხე 8%	<i>Fusarium</i> სექცია: <i>Elegans</i> . . . . . <i>Alternaria</i> . . . . <i>Penicillium</i> . . . . <i>Mucor</i> . . . . .	50 25 25 50	ვარციხე 6%	<i>Fusarium</i> . . . . . <i>Aureobasidium</i> . . <i>Alternaria</i> + + <i>Mucor</i> . . . . .	33 33 33

მე-4 ტაბულა უკვე ვეღარ გვიჩვენებს შემოფიცრულის უპირატესობას მიწის ქვეშ მოთავსებულ ნამყენთან შედარებით.

ასეთი იყო 1938 წლს ნამყენის მიკოფლორაზე მუშაობის შედეგი. თვით ამ მუშაობის პროცესში ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ერთი წლის შედეგად მიღებული მასალა ვერ მოგვცემს საბუთს რაიმე გარკვეული დასკვნის გამოტა-

ნისათვის თუნდაც იმის გამო, რომ აღნიშნული წლის შეტეოროლოგიური ჰიგიენიკური რობები მკვეთრად განსხვავდებოდნენ აღებული პუნქტების ჩვეულებრივი ამინდის ხასიათისაგან<sup>1</sup>. ამ მოსაზრებით გამოკვლევა გაგრძელდა კიდევ 1 წლით.

1939 წელს მიკოფლორის შესწავლა წარმოებდა ნოტიო კამერებისა და წმინდა კულტურების მეთოდით, ოლონდ უკანასკნელი შევსებული იყო შემდეგი ახალი მომენტებით: ა) გარდა კარტოფილ-აგარისა და ლუდ-აგარისა, ჩვენ მიერ საკედ არედ, დამატებით, აღებული იყო ყურძნის წვენი, ვაზის რქის ნახერი, ბრინჯი და კარტოფილის ნაჭრები, ბ) თუ 1938 წელს წმინდა კულტურებს ვათავსებდით 20—26°-ის პირობებში, 1939 წ. ტემპერატურის საზღვრები უფრო ფართოდ იყო აღებული (10—27°-მდე).

ამ ცვლილებების შეტანა საჭიროდ ვიცანით იმის გამო, რომ წინა წელს სოკოების საქმაოდ დიდი რაოდენობა არ იძლეოდა ნაყოფიანობას. საკვლევი მასალა აღებული იყო სამ ვადაში: I—მაისს, სანერგეში ნამყენის დარგვის წინ, II—სექტემბერში და III—დეკემბერში, სანერგიდან ნამყენის ამოლების დროს. საგამოკვლევო მასალა აღებული იყო 3 პუნქტში შემდეგი რაოდენობით: დამპალოში 350 ნამყენი<sup>2</sup>, თელავში 50 ნამყენი<sup>3</sup> და საქარაში 100 ნამყენი<sup>4</sup>. ზემოაღნიშნული წესით მიღებული მასალის გამოკვლევის შედეგი მოცემული გვაქვს მე-5 ტაბულაში. უკანასკნელი გვიჩვენებს მიკოფლორის შემადგენლობას მყნობის ადგილთან დარგვის წინ (მაისში) დამპალოში აღებულ მასალაზე.

### მიკოფლორა მყნობის ადგილთან—შაისში

ტაბ. 5

პუნქტი	მიკოფლორა <sup>a</sup> სიძირებში	შემ/ გრძელები	მიკოფლორა <sup>a</sup> მყნობის ადგილშე	შემ/ გრძელები	მიკოფლორა <sup>a</sup> სანამყენოში	შემ/ გრძელები
დამპალო	Fusarium სექცია: Eupionnotes, Arth- rhosporiella . . . Verticillium . . . Penicillium . . . Alternaria . . . Mucor . . . . Penicillium+Bac- terium . . . .	10,7 7,1 7,1 7,1 7,1 7,1 17,8	Penicillium სულ დაავად.	— 2	Fusarium სექცია: Arthrosporiella . . . Penicillium . . . Aspergillus . . . Mucor . . . .	11,1 56 11,1 22,2
	სულ დაავად. .	28			სულ დაავად..	9

გამოკვლეული იყო სულ 100 ნამყენი, რომელთაგან დაავადებული საძირით აღმოჩნდა 28%, სანამყენოთ—9%, ხოლო მყნობის ადგილზე დაავადებუ-

<sup>1</sup> 1938 წელი მეტად გვალვიანი იყო, 1939 წ. კი უზეი ნალექებით ხასიათდებოდა.

<sup>2</sup> ზამპანკემინატის სახელგვ.

<sup>3</sup> საქ. მეცნიერებლის ინსტიტუტის საცდელი ნაკვეთი.

<sup>4</sup> ასპ. ნ. ბენდიანაშვილის საცდელი ნაკვეთი, სოფ. საქარაში.

ლი იყო სულ 2%. როგორც მე-5 ტაბულა გვიჩვენებს, მიკოფლორის შემადგენლობის მიხედვით კულტურაზე მდიდარია საძირე, შემდეგ სანამყენო, ხოლო მყნობის აღილდებს გვიჩვენებს დაავადების უმნიშვნელო რაოდენობას: საექვოდ მიჩნეული 7 ნამყენიდან დაავადებული აღმოჩნდა სულ ორი და ისიც მხოლოდ *Penicillium*-ით, მეორე ვადაში (სექტემბერში) აღილდული მასალის გამოკვლევის შედეგები მოცემულია მე-6 ტაბულაში.

აქაც მასალა აღებულია მხოლოდ ერთ პუნქტზე—დამპალოში 100 ნამყენის რაოდენობით. შეხორცების ხარისხის მიხედვით მასალა დაყოფილი იყო ორ ჯგუფად: პირველი ხარისხისა და უვარგისის. პირველი ხარისხის მასალიდან დაავადებული აღმოჩნდა 14 ნამყენი: აქედან საძირებე—10, მყნობის აღილდე—2 და სანამყენოებე—2. როგორც მაისში აღილდული მასალის შემთხვევაში, ისე აქაც მიკოფლორის შემადგენლობით უფრო მდიდარი აღმოჩნდა საძირე, სადაც *Penicillium*-ის გარდა აღნიშნული იყო, აგრეთვე, *Fusarium* და *Alternaria*. ამ სოკოების მიცელიუმი გვხედებოდა მხოლოდ კანის ზედაპირზე. ქსოვილის უჯრედები სალი და უცვლელი იყო. გულგულის სხივების, ლიბრიფორმის, კანის პარენქიმის უჯრედები სახსე იყო სახამებლით, ხოლო თხელგარსიანი ლაფანი და ჭურჭლების ირგვლივ მდებარე უჯრედები შეიცვალნენ მთრიმლავ ნივთიერებებს. მყნობის აღილდები და სანამყენოებე—კი გვხედებოდა მხოლოდ *Penicillium* და *Aspergillus*, ისიც სულ ორ შემთხვევაში. როგორც მოსალონებრივი იყო, მიკოფლორის მხრივ უფრო მდიდარი აღმოჩნდა უვარგისად ცნობილი ნამყენები. დაავადების მხრივ საექვოდ ცნობილ 29 ნამყენიდან დაავადებული საძირით აღნიშნული გვაქვს 20 ცალი (20%), რომელთაგანაც *Fusarium* 30%, *Verticillium*—10%, *Penicillium*—45%, *Alternaria*—10%, უნაყოფუ მიცელიუმი—5% და *Mucor*—5%. მყნობის აღილდები მიკროორგანიზმები გვხედებოდა საკმარისად მნიშვნელოვანი რაოდენობით: *Fusarium* აქ აღნიშნული იყო 28%, *Verticillium*—11%, *Penicillium*—38%. შედარებით უფრო სალი იყო სანამყენო—სულ 4% დაავადება. მესამე ვადა—დეკემბერი, სანერგიდან ნამყენის ამოღების დროს საქმიანო თავისებურ სურათს გვაძლევს როგორც ნამყენთა დაავადების ხასიათით, ისე მიკოფლორის შემადგენლობითაც (ტაბ. 7). მასალა აღებული გვქონდა 3 პუნქტზე—დამპალოში, საქარასა და თელავში.

დამპალოში აღებული იყო I ხარისხის 150 ნამყენი. მასალიდან დაავადებული აღმოჩნდა სულ 10%, რომლიდანაც 8,6% ეკუთვნილა საძირები, ხოლო სანამყენოსა და მყნობის აღილდე—0,6%. საძირის დამავადებელი მიკროორგანიზმებიდან გვხედებოდა *Fusarium* სექც.—*Martiella*, *Alternaria*, *Aspergillus*, *Penicillium* და *Mucor*. მყნობის აღილდები და სანამყენოზე გვხედებოდა *Penicillium*. საყურადღებო სურათს გვაძლევს უვარგისად ცნობილი ნამყენის ანალიზი. მყნობის აღილი აქ სასებით სტერილური აღმოჩნდა, სანამყენოც, შედარებით, უმნიშვნელოდ იყო დაავადებული, ხოლო *Penicillium*-ი—3 შემთხვევაში (2%). სამაგიროდ საძირები გვაჩვენა მიკოფლორის საქმიანო მდიდარი შემადგენლობა. დაავადების 19 შემთხვევიდან *Fusarium* ს ეკუთვნის 14 (73,6%), *Botrytis*—5,2%. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დეკემბრის ნიმუშზე შეგვხდა პირველად *Botrytis*, გარემობა, რომელიც უნდა მიეწეროს დაბალი ტემპერატურის

మిక్రాగ్రాలో ప్రయోగాలు అభివృద్ధి తాను — స్టేట్ రీపర్టుల్ రీప.

పుస్తకాలి

ప్రశ్నల్లం	మిక్రాగ్రాలో పొరపాలు కొరిస్తాడి			మిక్రాగ్రాలో ప్రయోగాలి			
	సాధించే విషాదాలు	మ్యాక్రాగ్రాలు	సాంస్కృతికాలు	సాధించే విషాదాలు	మ్యాక్రాగ్రాలు	సాంస్కృతికాలు	
	ప్రశ్నల్లం	ప్రశ్నల్లం	ప్రశ్నల్లం	ప్రశ్నల్లం	ప్రశ్నల్లం	ప్రశ్నల్లం	
ఫాబిసిల్స	Fusarium స్టో—Ele- gans . . . . .	Penicillium Aspergillus స్టో డాయ. . .	Penicillium Aspergillus Mucor . . .	Fusarium స్టో— ఎలెగాన్ . . . . .	Fusarium . . . . .	22	Fusarium స్టో— ఎలెగాన్ . . . . .
	30	2	2	Eupionnotes . . . . .	Verticillium . . . . .	11.1	Verticillium స్టో— మార్టిల్లా . . . . .
	Alternaria . . . . .	10	స్టో డాయ. . .	Verticillium . . . . .	Penicillium . . . . .	33	Penicillium . . . . .
	Penicillium . . . . .	10	Alternaria . . . . .	Aspergillus . . . . .	Rhizopus . . . . .	22	శ్రీంగార్పణ మి- ప్రెలింపులి . . . . .
	స్టో డాయాట. . .	10%	Penicillium . . . . .	Penicillium . . . . .	Mucor . . . . .	22	స్టో డాయాట. . .
			Mucor . . . . .	Mucor . . . . .	స్టో డాయాట. . .	9	
			Aspergillus . . . . .	Aspergillus . . . . .			
			శ్రీంగార్పణ మి- ప్రెలింపులి . . . . .	శ్రీంగార్పణ మి- ప్రెలింపులి . . . . .			
			5	5			
			20	20			

გველენას. ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, *Fusarium*-ის ძლიერი განვითარებაში ამ შემთხვევაში სოკო ფუზიარიუმი წარმოდგენილია სექციით *Elegans*, რომლის მიერ გამოწვეული დაზიანება როგორც გარეგანი, ისე ანატომიური ხასიათითაც, საერთოდ წააგავს *Botrytis*-ით დაზიანების სურათს. ე. ი. აქაც საძირის გადანაჭერის ზედაპირზე ემჩნევა მოშავო ფერის ლაქა, რომლის შუაგული ზოგჯერ მკედარია (ზოტრიტისით დაზიანებულ რქის გადანაჭერზე ამ მკედარ-ნეკროზულ ლაქის უჭირავს გაცილებით უფრო დიდი ადგილი) და ირგვლივ შეფერილია ყავისფრად. ეს ლაქა მდებარეობს ქერქთან. სიშავე ვრცელდება საძირის სიგრძით, დაახლოებით, 27—25 სმ-მდე. კალუსი ან სულ არ არის წარმოშობილი, ან გვხვდება აქა-იქ, ჭრილის ცალკე ადგილებში.

ლაქის ადგილს, უფრო ნეკროზული ლაქების ადგილზე, ჭურჭლებში გვხვდება სოკოს მიცელიუმის ძაფები. ქერქისა და გულგულის სხივების უჯრედები ყავისფერია და იწყება მათი დაშლა. სახამებელი არ არის. იგი იშვიათად გვხვდება სხივების ცალკეულ უჯრედებში. ჭურჭლები ამოვესებულია გუმით და მათთან მდებარე ქსოვილი ლია ყავისფერი ან რუხია—კაბბიუმი უქმდია, მაგრამ მასალის ზოგიერთ ნიმუშში კაბბიუმი ჯერ კიდევ მოქმედებს. ალაგალავ მან შექნა ახალი მერქნი და ზოგან ახალვე ქერქა. ამ ახალგაზრდა ქსოვილებში საკმაო რაოდენობით გვხვდება პლასტიკური ნივთიერებანი (სახანებელი და მთრიმლავი ნივთიერება). ჭურჭლების უმეტესობა თილებიანია. შეარებით უფრო მეტი სისალის სურათს გვიჩვენებს საქართველოს ბარის ბარისხის საკალაზე მყნობის ადგილი სრულიად სტერილურია. სანამყენო გვიჩვენებს უმნიშვნელო დაზიანებას—*Penicillium*-ით (2%) და *Mucor*-ით (1%), მაგრამ არც საძირებზე გვხვდება მაინცდამანც მნიშვნელოვანი დაავადება, რომელიც აქ გამოხატულია სულ 6 ნიმუშზე და შედგება *Penicillium* და *Aspergillus*-გან. რაც შეეხება კარგის ნამყენს, აქ სურათი ცოტა სხეანაირია. მართალია, მყნობის ადგილზე დაავადება აღნიშნულია მხოლოდ ერთ შემთხვევაში, სანამყენოზე დაავადების ხეთი შემთხვევიდან 2 (40%) ეკუთვნის *Fusarium*-ს, მაგრამ პირველხარისხის მასალასთან შედარებით მიკროორგანიზმებით უფრო მდიდარია საძირე. აქ 13 შემთხვევიდან *Fusarium* სექც.—*Discolor* და *Fusarium*—*Elegans*ი იყო 24%, *Alternaria*—15%, *Penicillium*—54%, *Pestalozzia*—76%. დაახლოებით ასეთი სურათის გვაძლევს თელავის მასალაც, რომელიც აღებული გვქონდა 50 ნამყენის რაოდენობით. პირველხარისხოვანი მასალა აქაც გვიჩვენებს საქართველო მაღალ სისალეს: მყნობის ადგილი სრულიად თავისუფალია მიკროორგანიზმებისაგან. უმნიშვნელო დაავადებით ხასიათდება, აგრეთვე, საძირე და სანამყენო. უფრო მნიშვნელო დაავადების სურათს გვაძლევს უვარგისად ცნობილი ნამყენები. მყნობის ადგილზე აქ გვხვდება: *Fusarium* და *Penicillium*-ით, დაავადებულია სულ 8%. სანამყენოზე, *Penicillium*-სა და *Fusarium*-ს გარდა, ერთ შემთხვევაში გვხვდება, ავრეთვე, *Botrytis cinerea*. რაც შეეხება საძირეს, აქ დაავადების ხასიათი შემდეგნაირია: *Fusarium*-ი—30,7% (*Fusarium* სექცია *Ventricosum*—7%, *F. Elegans* 23,7%), *Botrytis cinerea*—15,8% და სხვ. (ზე-7 ტაბ.).

მიკროორგანიზმების ასეთი (შედარებითი) სიმრავლე, ჩვენთვის სრულებით მოულოდნენლი, ამ სანერგის საერთო კულტურული მდგომარეობის პირობებში შეიძლება ინსხას მხოლოდ აღნიშნული წლის ძლიერი სეტყვის ზეგავლენით.

ମୋଟକ୍ଷତା ନାମପରିଚୟ—ଫାଇଲ୍‌ଡାରଙ୍କ

ნამყენი 30-ი კვლია ხარისხისა					ნამყენი უვარგისი						
პრეცტი	მიკოფლორა საძირებელი	%	მიკოფლორა ნენტობის ადგილზე	%	მიკოფლორა სახამყენოზე	%	მიკოფლორა საძირებელი	მიკოფლორა მუნიციპალური ადგილზე	მიკოფლორა საწამყვნოზე	%	
დაბალი	Fusarium—სექ.: Martiella . . . Alternaria . . . Aspergillus . . . Penicillium . . .	17,3 15,3 15,3 15,3	Penicil- lum . . . — სულ დაავ. .	— 0,6	Penicil- lum . . . 0,6		Fusarium—სექცია: Elegans . . . Fusarium—სექცია: Eupionnotes . . . Botrytis . . . Alternaria . . . Penicillium . . . Verticillium . . . Aspergillus . . . Mucor . . . Rhizopus . . .	73,6 — 5,2 21 47,3 5,2 1 5,9 5,2		Penicillium . . .	2
	სულ დაავად. .	8,6					სულ . . . Fusarium—სექცია: Discolor, Eleg. . . Alternaria . . . Penicillium . . . Pestalozzia . . .	12,7 24 15 54 7,6	Alternaria+Peni- cillium	Fusarium სექ.: Lateritium . . . Alternaria . . . უნაოოო . . . სულ დაავ. .	40 20 40 5
საქართველო	Penicillium . . . Alternaria . . . Aspergillus . . .	— — —	— — —	— — —	Penici- llium . . . Mucor . . .	3	სულ დაავ. . . Fusarium—სექცია: Ventricosum . . . Fus. სექ. Elegans . . . Botrytis . . . Verticillium . . . Trichothecium . . . Rhizopus . . . Aspergillus . . . Alromoniella . . . Mucor . . .	13 7 23,7 18,8 15,8 7,6 7,6 7,6 7,6 7,6			
ორენცი	Fusarium . . . Acremonium . . . Penicillium . . .	— — —	— — —	— — —	Acremo- nium . . . Trichothec- cium . . .		Fusarium Penicil- lum	Fusarium სექ.: Martiella . . . Botrytis . . . Penicillium . . . სულ დაავ. .	6		

ის სურათი, რომელსაც ვღებულობთ ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოიყენებოდა მინიმუმის წინაშე იყენებს რამდენიმე საკითხს, რომელთა საბოლოო გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება ამ მუშაობის უფრო ფართო მასშტაბით და ღრმად გაშლის შემდეგ. იქნებან, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ პრაქტიკულად ვეღარი მაღალი პროცენტი ნამყენის ვარგისიანობისა მიღებული იყო სწორედ იმ პუნქტებში, რომლებიც გვიჩვენებს სოკოლი დაავადების მინიმალურ პროცენტს. ასე, მაგ., 1938 წ. ვარცისები ვარგისი ნამყენის რაოდენობა უდრიდა 45%-ს, მუკუჭანში—48%-ს, დამპალოში კი—18%-ს; 1939 წ. საქარაში—25,6%-ს, დამპალოში—21%<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, ნამყენის ხარისხი, ერთი მხრივ, და მისი დაავადების დონე, მეორე მხრივ, რაღაც შებრუნებული შეფარდებით არის მოცემული. თუ არა გვაქვს საბუთი ვიგულისხმოთ, რომ ნამყენის დაბალი სამუშანეო ღირსება უშაულოდ გამოწვეულია დაავადების სიძლიერით და ამა თუ იმ სოკოს განვითარებით, ყოველ შემთხვევაში უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ მოკლენათა შორის არსებობს ერთგვარი პარალელური თანხედრილობა.

მეორე საკითხი გამომდინარეობს იმ სურათიდან, რომელსაც გვაძლევს ჩვენს ნაშრომში მოცემული მასალა, რომ 1938 წელს მუკუჭანში და განსაკუთრებით კი ვარცისებ, ხოლო 1939 წ. საქარამ, გაცილებით უფრო საღი მასალა მოგვცა, ვიდრე დამპალო. ამ მოვლენის მთავარი მიზეზი არ უნდა იყოს საგამოკვლევო წლების მეტეოროლოგიური პირობები, რადგან, თუ 1938 წელი იყო განსაკუთრებით გვალვიანი, მომდევნო წელი ხასიათდებოდა ნალექების საკმარისი სისუჟით ყველა პუნქტზე. ეს გარემოება გვაუიქრებინებს, რომ საგამოკვლევო მასალის სისალეში აღნიშნული განსხვავება და მიკოლორის შედარებითი სილარისე ვარცხსისა და საქარის პუნქტებზე უნდა მიეწეროს საცდელი ნაევეთების ვარგისიანობას, ზუსტ აგრძელექნიას და მყნობის პროცესში პიგინური პირობების დაცვას<sup>2</sup>.

ტექსტში მოყვანილი მონაცემებიდან საქმაოდ ნათლად ჩანს, რომ ნამყენის სისალის თვალსაზრისით შემოფიცრულ კომბინაციის არავითარი უპირატესობა არა აქვს მეორე კომბინაციის (მიწის ქვეშ) წინაშე. მართალია, მყნობის აღგილზე, დაავადების მხრივ, შემოფიცრულში მოთავსებული მასალა გაცილებით უფრო საღია, ვიდრე მიწის ქვეშ, მაგრამ სანამყენოსა და საძირებე სურათი საესებით შებრუნებულია და დაავადების სიძლიერე შემოფიცრულში უფრო მეტია, ვიდრე მიწის ქვეშ.

ისევე როგორც 1938 წ., მომდევნო 1939 წელსაც თითქმის ყველა შემთხვევაში მყნობის ადგილი საქმაოდ საღი იყო, სანამყენო შედარებით ღარიბი მიკოლორით, საძირე კი გვიჩვენებდა ყველაზე ძლიერ დაავადებას, რომლის გამომწვევ მიკროორგანიზმთა შორის ნამყენის ამ ნაწილზე განსაკუთრებით სა-

<sup>1</sup> ნამყენის დანარისხებას აწარმოებდნენ კათედრის თანამშრომლები და ეს საჭმიანობა ზუსტად იყო ჩატარებული.

<sup>2</sup> დამპალოს ნაკვეთი ეკალოფიური პირობების თვალსაზრისით სანერგიისათვეის ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში იმყოფება და საეჭსპერიმენტო მასალაც აღმული იყო საჭაომონ ხასიათის ნაკვეთიდან.

ყურადღებო იყო *Botrytis cinerea* Pers. და *Fusarium* სექცია—*Elegans*. უკანასიანი გვ. მათ შემთხვევაში ნასკვლნი, ჩვენის აზრით, ყველაზე მეტად აფერხებები ნამყენის შეხორცებას.

ამ ორი წლის მუშაობის შედეგად ჩვენ უკვე საშუალება გვაქვს ცოტად თუ ბევრად ნათელი წარმოდგენა ვიქმნიოთ ნამყენის მიკოფლორის რაობისა და გვარობრივი შემადგენლობის შესახებ. ყველა პუნქტში მიღებულ მასალაზე ჩვენ მიერ აღნიშნულია შემდეგი მიკროორგანიზმები: *Acremonium* sp., *Alternaria* sp., *Aspergillus glaucus* Link., *Aspergillus* sp., *Botrytis cinerea* Pers., *Botrysoporum* sp., *Coremium* sp., *Fusarium*—სექციები: *Arthrosporiella*, *Discolor*, *Elegans*, *Eupionnotes*, *Lateritium*, *Martiella* და *Ventricosum* (ერთი შემთხვევა), *Moniliopsis Aderholdii* Ruhl.<sup>1</sup> *Monochaetia viticola* Cav., *Mucor* sp., *Penicillium* sp., *Pestalozzia* sp., *Rhizopus nigricans* Ehrh., *Rhizoctonia* sp., *Spicaria* sp., *Sporodesmium viticolum* Sace., *Stachybotris* sp., *Stysanus* sp., *Trichothecium roseum* Link., *Helminthosporium* sp., *Verticillium candelabrum* Bonordem., *Verticillium* sp.

შესვედრილობის სისტერის მხრივ ზემოჩამოთვლილი მიკროორგანიზმები შეიძლება განაწილდნენ შემდეგნაირად: ყველაზე ხშირად გვხდება *Penicillium* sp., შემდეგ *Fusarium*, *Alternaria* და *Verticillium*. ცალკეულ შემთხვევაში აღნიშნული გვაქვს *Pestalozzia*, *Monochaetia*, *Spicaria*, *Stachybotris*. ეს უკანასკნელნი ჩვენ გვხდებოდნენ ნამყენის ზედაპირზე და შიგნით ქსოვილში მათი შესვლა არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა შემჩნეული.

აღნიშნულ მიკროორგანიზმთა დიდი უმცირესობა ექვთვნის ობის სოკოების ჯგუფს და ამის გამო არც თუ ძნელი უნდა იყოს მათი განვითარების სიძლიერის შემცირება მყნობის ოპერაციებისა და ლერწის შენახვის დროს საჭირო ჰიგიენური და აგროტექნიკური პირობების დაცვით. გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვენ ისეთი სოკოები, როგორიც არის *Botrytis cinerea* და *Fusarium*, ე. ი. ნახევრად პარაზიტული მიკროორგანიზმები. მათი არსებობა ნამყენზე არავითარ შემთხვევაში არ არის სასურველი და საშიშიც კია იმდენად, რამდენადაც ისინი, იჭრებიან რა ქსოვილების შიგნით, არღვევენ კანის უჯრედებს, ნაწილობრივ აფერხებენ კამბიუმის მოქმედებას და ამით ხელს უშლიან კალუსის თანაბარი რგოლის წარმოქმნას და ნამყენის შეხორცებას.

*Botrytis*-ის მანერ გავლენის თავიდან ასაცილებლად უმჯობესი უნდა იყოს ლერწის აპრა გაზაფხულობით, მით უმცირესს, რომ, როგორც ცნობილია, ეს დაავადება უმთავრესად ჩნდება ლერწის შენახვის პერიოდში.

<sup>1</sup> პროფ. ნაუმოვი, ვთლენვებერი და სხვ. მკლევარები—*Moniliopsis Aderholdii*-ს იშილავენ როგორც *Rhizoctonia*-ს.

# МИКОФЛORA ДРЕВЕСИНЫ ГОДОВАЛЫХ ПРИВИВОК ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ

## р е з ю м е

С целью установления причин малого выхода первосортных прививок вин. лозы и выработки мероприятий для повышения процента годных прививок, кафедра Виноградарства Груз. СХИ имени Л. П. Берия проделала ряд работ. Среди других вопросов, подлежащих выяснению, перед нами стоял вопрос—влияют ли микроорганизмы, часто встречающиеся на прививках, на качество сращения. С этой целью нами была изучена микрофлора годовалых прививок.

Работа проводилась в течение двух лет в 1938 и 1939 г.г. Материалом для исследования служили прививки, взятые в следующих пунктах: в 1938 году—в Мукузани, Варцихе и в Дампало, в 1939 году—в Телави, Сакара и в Дампало. Эти пункты были выбраны, во-первых, ввиду различия их экологических условий и также потому, что сотрудником кафедры доц. М. Рамишвили, именно в этих пунктах проводились работы по изучению выхода прививок под дощатым прикрытием.

Исследование проводилось как методом влажных камер, так и методом чистых культур.

В результате проделанной работы возник целый ряд вопросов, заслуживающих внимания.

Во-первых, не безинтересен тот факт, что практически большей % годных прививок получен именно в тех пунктах, где нами установлен минимальный процент зараженных прививок. Так, например, в 1938 году на долю первосортных прививок в Варцихе приходилось 45%, в Мукузани—48%, а в Дампало всего—18%, зараженных же микроорганизмом прививок в первом пункте—14%, во втором—36,6%, третьем—54,5%. Как видим, зараженность прививок, с одной стороны, и их качество, с другой, находятся в определенном соотношении. Хотя пока мы не имеем основания утверждать, что плохой выход прививок вызван непосредственно развитием того или другого микроорганизма, но во всяком случае, можно предположить, что между этими явлениями существует определенный параллелизм.

Обращает на себя внимание и то обстоятельство, что наиболее здоровые прививки нами получены в 1938 году в Варцихе и Мукузани, а в 1939 году в Сакара. По нашему мнению, это явление

нельзя приписать метеорологическим условиям указанных лет, т. к. если 1938 год был чрезвычайно сухим, то 1939 год характеризовался большим количеством осадков на всех пунктах. По всей вероятности причину этой разницы нужно искать в том, что в Сакара, Варцихе и Мукузани для питомничьего хозяйства экологические условия более подходящие и на этих пунктах, как на экспериментальных участках, применялась более тщательная агротехника, а для производства прививки и хранения чубуков имелись более гигиенические условия.

Надо отметить, что как в 1938, так и в 1939 году, почти во всех случаях, место прививки было достаточно стерильным; на привое тоже наблюдалось мало микроорганизмов, тогда как, обычно, подвой подвергается повреждению наиболее сильно. На этой части прививки особого внимания заслуживает довольно большой процент *Botrytis'a* и *Fusarium'a*, по нашему мнению, именно эти микроорганизмы задерживают сращение прививок. При благоприятных условиях эти микроорганизмы принимают паразитарный характер: проникают внутрь ткани подвоя, вызывая покоричневение клеток коры, сердцевинных лучей и закупорку сосудов. В сосудах часто встречаются нити мицелия. Клетки камбия местами принимают коричневую окраску и не деятельны.

В результате проделанной работы на годовых прививках нами выявлены следующие микроорганизмы: *Acremonium* sp., *Alternaria* sp., *Aspergillus glaucus* Link. *Aspergillus* sp. *Aureobasidium* sp., *Botrytis cinerea* Pers., *Botryosporium* sp., *Coremium* sp., *Fusarium*—Секции: *Arthrosporiella*, *Discolor*, *Elegans*, *Fupionnotes*, *Latertium*, *Martiella* и *Ventricosum* (один случай), *Moniliopsis Aderholdii* Rahl.,<sup>1</sup> *Monochaetia viticola* Cav, *Mucor* sp., *Penicillium* sp., *Pestalozzia* sp., *Rhizopus nigricans*, *Spicaria* sp., *Stachybotris* sp., *Stysanus* sp., *Trichothecium roseum* Link., *Helminthosporium* sp., *Verticillium candelabrum* Bonorden, *Verticillium* sp.

Заболевание прививок в большинстве случаев обусловлено комплексным действием микроорганизмов. Влияние же отдельных представителей на сращение прививок зависит от интенсивности развития этих микроорганизмов; при сильном развитии *Verticillium*, *Penicillium* и *Fusarium'a* мицелий этих грибов целиком покрывает надрез на подвое, вызывая при этом покоричневение ткани (два-три слоя)—кальлюс в таких случаях не образуется.

По частоте встречаемости различных микроорганизмов, на первом месте стоит *Penicillium*, далее *Fusarium*, *Alternaria* и *Verticillium*.

<sup>1</sup> Проф. Наумов, Волленвебер и др. исследователи *Moniliopsis Aderholdii* рассматривают, как *Rhizoctonia*.

В единичных случаях нами отмечены: *Aureobasidium*, *Monochaetia*, *Stachybotris*, *Trichothecium*. Эти микроорганизмы обнаружены на поверхности коры, проникновение их внутрь ткани ни разу не отмечалось.

Большинство из выявленных микроорганизмов относится к плесневикам и поэтому, соблюдая нужные гигиенические условия и надлежащую агротехнику, можно избежать их присутствия в большем (опасном) количестве.

Значительно большего внимания заслуживают полупаразитные микроорганизмы, *Fusarium* секция—*Elegans* и *Botrytis cinerea* Pers. Наличие их на прививках ни в коем случае не желательно и безусловно опасно. Из них более опасным является *Botrytis cinerea*. Этот грибок встречается, главным образом, на подвое, в стадии конидиального плодоношения и в виде склероций. При повреждении *Botrytis*'ом на надрезе подвоя можно видеть некрозные пятна различной величины и формы. Эти пятна часто сливаются и образуют сплошные полукольца, а иногда живым остается только узкое кольцо вокруг сердцевины. При сильном развитии *Botrytis*'а получается сплошное омертвление чубука на 30—35 см.

На месте некрозных пятен, в сосудах и в клетках сердцевинных лучей встречаются нити мицеля. Клетки коры и сердцевинных лучей пропитаны суберином, либо совершенно лишены содержимого. Местами ткань разрушена, сосуды заполнены или гуми или тиллами. Клетки обкладки сосудов желтые или темно-коричневые. Камбимальные клетки стали коричневыми и не деятельны. Молодая ткань вовсе не встречается.

Итак, попадая внутрь ткани, *Botrytis* распространяется от коры к сердцевине, вдоль сердцевинных лучей. Проникая внутрь ткани, частично разрушает клетки коры, умерщвляет их, задерживает деятельность камбия и, таким образом, мешает образованию каллюса и сращению прививок. *Botrytis* безусловно развивается при хранении чубуков. Поэтому мы считаем предпочтительным производить срезку чубуков весной, перед прививкой.

---

1. A. Allescher—*Fungi imperfecti Sphaeropsideen und Melanconicen*. Rabenhorst. Kryptogam Fl. Deutshl. Oesterr. Schweiz. 2. Aufl. Abt. VI, 1801—1903.
2. O. Appel und H. Wollenweber—Grundlagen einer Monographie der Gattung *Fusarium* (Link) Arb. aus der Kaiser. Biologischen Anstalt. fur Land und Forstwirtsch Band VIII, 1910.
3. G. Lindau—*Fungi Imperfecti, Hyphomycetes*—Rabenhorst's Kryptogamenflora von Deutschl: Oesterr. u. d. Schweiz.
4. Проф. П. И. Нагорны—Микофлора Кавказской виноградной лозы—Труды Тифлисского Ботанического Сада, 1930 г.
5. Проф. Н. А. Наумов—Методы микологических и фитопатологических исследований, Сельхозгиз, 1937 г.
6. Проф. Н. А. Наумов—Болезни Сельскохозяйств. растений, Сельхозгиз, 1940 г.
7. А. И. Райлло—Систематика и методика определения видов рода *Fusarium*, Труды Бот. Института Академии Наук СССР, 1936 г.
8. Проф. Г. А. Боровиков—Анатомия и физиология прививки у виноградной лозы. Украинский научн. иссл. Институт виноградарства, вып. I, 1935 г
9. А. А. Ячевский—Основы микологии, 1933 г.
10. " " " —Определитель грибов, том I, Совершенные грибы, Петроград, 1917 г.
11. " " " —Определитель грибов, том II.  
—Несовершенные грибы—Петроград, 1917 г.

ნ. დ. ჩახნაშვილი

ვაზის არის გულგულისა და ღიაცრაგის შესჯავლისათვის

ვაზის ერთწლიან ნაზარდს რქა ეწოდება. რქას მთელ სიგრძეზე ემჩნევა გასქელებული ადგილები, რომელთაც მუხლები ეწოდებათ. ორ მუხლს შორის მოთავსებულ რქის ნაწილს მუხლთშორისი ეწოდება. ყოველ მუხლთან მოთავსებული კვირტი. კვირტის მოპირდაპირე მხარეზე კი, იმავე მუხლთან, პწყალია მოთავსებული. რქის ყველა მუხლს პწყალი არ შეესაბამება.

პწყალი გვხვდება რქის ბაზის მე-3—5 მუხლიდან, ზოგ ჯიშს კი უფრო მაღლაც უკეთდება მე-6—7 მუხლზე; ამის შემდეგ ყოველ ორ მეზობლად მდებარე მუხლზე, კვირტის პირდაპირ, მდებარეობს პწყალი. მესამე მუხლზე პწყალი აღარ არის, შემდეგი ორი მუხლი ისევ იკეთებს პწყალს, მესამე არა და ა. შ. ზოგიერთი ამერიკული ჯიში, მაგ., *Labrusea*-ს წარმომადგენლები, ყველა მუხლზე იკეთებენ პწყალს. თუ გავჭრით რქას სიგრძეზე დავინახავთ, რომ ცენტრული საკმაო დიდი ადგილი უკავია გულგულს, რომელიც რქის მთელ სიგრძეზე ვრცელდება.

მუხლებთან გულგული გადატიხრულია დიაფრაგმით. დიაფრაგმის სისქე და ფორმა ვაზის სხვადასხვა ჯიშას და სახეობებში სხვადასხვანაირია. გულგულის სიფართოვეც იცვლება ვაზის ჯიშებისა და სახეობათა მიხედვით. ვეგეტაციის მიწურულში გულგული იღუპება, ე. ი. მისი უჯრედები სიცოცხლის უნარს ჰყარგავნ, ისე რომ ერთწლიან რქაში გულგული შევი მკვდარია.

დიაფრაგმა შედგება პარენქიმული ცოცხალი უჯრედებისაგან და ისაზღვრება გულგულის მილის მკვდარი უჯრედებიდან ზევიდანაც და ქვევიდანაც 2—4 წყება გასაფევებული უჯრედებით (2).

პირელხარისხოვანი ნამყენის გამოსავლიანობის გადიდებაზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, გავლენას ახდენს რქის გულგულისა და დააფრაგმის განვითარებაც. რამდენადც გულგული წარმოადგენს მკვდარ ქსოვილს, მას არ შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ნამყენის შეხორცების პროცესში და ამიტომ რქა იძღნენად უკეთესი გამოსაყენებელია ნამყენისათვის, რამდენადც ნაკლებად ეჭნება მას განვითარებული გულგული (3).

დიაფრაგმას ნამყენებისათვის საფარის მნიშვნელობა აქვს. უდიაფრაგმო სანამყენოს მონაპერი (რქის ნაწილი) ვერ იქნება კარგად დაცული გარემო გავლენებისაგან და ადგილად შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად გამოშრეს (2), მიმოტომ რაც უკეთ იქნება განვითარებული დიაფრაგმა, მით უკეთესია. ლიტე-

რატურაში გვხვდება, რომ დიაფრაგმა პწყლიან და უპწყლო მუხლში ერთნაკრისა და მუხლში დიაფრაგმა ყოველთვის უფრო უკეთ არის განვითარებული, სახელდობრ, პწყლიან მუხლში დიაფრაგმა ყოველთვის უფრო უკეთ არის განვითარებული, ვიდრე უპწყლოში (ცუდერელი, კობერი და ბერნაცი—4, 5), რის შედეგად კობერი და ბერნაცი ნამყენისათვის ურჩევდნ პწყლიან მუხლებს.

მყნობა პწყლიან და უპწყლო მუხლებს სატარებული იყო ე. მაკარევსკაიასა და მ. რამიშვილის მიერ. მაკარევსკაიას დაკვირვებიდან ჩანს, რომ შეხორცების აღვილზე ახლად წარმოშობილ შრის (მერქნის) უფრო მეტი სისქე სანამყენოს უფრო სქელ შრეს შეესაბამება (2); აღსანიშნავია, რომ უპწყლო მუხლში პწყლის მხარეზე მერქანი და ქერქიც ჩეულებრივად უფრო უკეთ არის განვითარებული, ვიდრე იგივე ნაწილები პწყლიან მუხლში, პწყლის მხარეზე. იმავე მაკარევსკაიას აღნიშვნით ნამყენშიც მეტია ახლად წარმოშობილი შრე უპწყლო მუხლში პწყლის მხარეს, ვიდრე პწყლიან მუხლში<sup>1</sup>.

მ. რამიშვილის დაკვირვებიდან ირკვევა, რომ მეტი რაოდენობა პირველხარისხვანი ნამყენისა მიიღება მაშინ, როდესაც მყნობისათვის საძირეც და სანამყენოც პწყლიანი მუხლებია აღებული ან ერთ-ერთი მათვანი (უპირატესობა სანამყენოს აქვს) მაინც არის პწყლიანი. კულეაზე ნაკლები რაოდენობა პირველხარისხვანი ნამყენისა მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე კომპონენტი (საძირე და სანამყენო) უპწყლო მუხლებს წარმოადგენს (6).

კველა ზემოაღნიშნულის მიხედვით ჩენ განვიზრახეთ შეგვესწავლა გულგულისა და დიაფრაგმის განვითარების მიხედვით საქართველოში გაერცელებული ზოგიერთი ვაჩის ჯიშის რქები<sup>2</sup>.

მასალა და მეთოდიკა. დაკვირვებისათვის ავილეთ რქა როგორც სანამყენო, ისე საძირე მასალისა. სანამყენოდან გვეონდა აღებული შემდეგი ჯიშები: რქა-წითელი, საცერავი, ცოლიყაური, კრახუნა, ალიგოტე და ალექსანდრიული მუსკატი. საძირებიდან: Riparia × Rupestris № 3309 და 101—14, Riparia × Berlandieri № 420A და Chaselas × Berlandieri № 41 B. მასალა ავილეთ სხვადასხვა რაიონის საბჭოთა მეურნეობებიდან: ვაჩისუბანში, მუკუშანში, არგვეთში, ბაკურციხში, მუხრანში, თბილისში (ინსტ-ის სასწავლო მეურნეობიდან). რქის შეძლებისდა ვვარად მთლიანს ვიღებდით, რათა კველა ზონა სრულად ყოფილიყო მოცემული.

გულგულის სიდიდის გამოსარკვევად რქის ძირიდან წვერამდე კველა მუხლოშორისს გვრიდით ზონების მიხედვით, რადიუსის მიმართულებით—ჰორიზონტალურად მუხლოშორისს შუა აღვილზე და ვზომავდით (მე-ობით) გადანაჭრის როგორც მთელ ზედაპირს, ისე გულგულის არეს ორი ურთიერთ გადამკვეთი (დიდი და პატარა) დიამეტრის მიმართულებით (სურ. 1).

<sup>1</sup> ეს მასალა ჩენ მიერ იყო დამუშავებული ბოტანიკურ ინსტ-ში მაკარევსკაიასთან თანამშრომლობის დროს.

<sup>2</sup> მუშაობა დაწყებული იყო ჩენ მიერ 1937 წ. ბოტანიკურ ინსტ-ში და შემდეგ გაგრძელებული და დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

ორი დიამეტრის მაჩვენებლის საშუალო რიცხვების (ცალკე გულგული, ცალკე რქის გადანაწერის მთელი ზედაპირი) მიხედვით ვანგარიშობდით თუ რქის მთელი სისქის რა %-ს შეადგენდა გულგული.

დიაფრაგმის განვითარების გამოსარკვევად იმავე რქების ყველა მუხლს ვწრიდით სიგრძის მიმართულებით ისე, რომ ქრილის სიბრტყეს კვირტსა და პწელს შორის გაევლო, რათა დიაფრაგმა არ დაზიანებულიყო და კარგად გამოჩენილიყო. ჩვეულებრივად დიაფრაგმა კვირტისა და პწელის მხარეზე გაფართოებულია, შუაზე კი — შევიწროებული; ამიტომ გაზიარდებულით 3 იდგილას: კვირტთან, პწელის მხარეზე და შუაზე (სურ. 2).

გაზიარდებული შედეგად მიღებული რიცხვებიდან გამოაწევარიშებულია საშუალო რიცხვი პწელიანი და უპწელო მუხლებისთვის  
ცალ-ცალკე ზონალობის მიხედვით ჯერ თი-  
თოვეული რქისათვის და შემდეგ ყველა აღებუ-  
ლი რქიდან ერთად თითოვეულ ცალკე შემთხვევების. ამ საშუალო რიცხვების მიხედვით  
შედგენილია ტაბულები.

**დაკარგებებიდან მიღებული შედეგები.**  
რქაწითელი (ტაბ. 1). რქის შუა ზონაში  
გულგულს, წვერისა და ძირის ზონასთან შე-  
დარებით, მცირე აღგილი უკავია ( $40-44\%$ ).  
წვერისა და ძირის ზონათა შორის განსხვავე-  
ბა უმეტეს შემთხვევაში უმნიშვნელოა ( $1-5\%$ ):  
ხან წვეროშია ცოტა უფრო მეტი გულგული,  
ხან ბაზალურ (ძირის) ზონაში.

ბაკურციხის (კახეთში) მასალაში გულგული,  
მცირე გამონაკლისის გარდა, წვეროდან ბაზისკენ თანდათან მატულობს.


მუხრანის (ქართლში) მასალაში ყველაზე დიდი გულგული წვეროს ზონა-  
ნაშია, შუა და ბაზალური ზონები გულგულის სიღილით ერთმანეთს უდრის.

საშუალო მაჩვენებლების მიხედვით გულგულის სიღილე მეტყობეს 38 და  
54% შორის. ზონალობის მიხედვით გულგული ცალკეულ რქაში წვეროდან ბა-  
ზისკენ მატულობს, ზოგში, პირიქით, წვეროდან ბაზისკენ კლებულობს. ყველაზე  
დიდი გულგული მუხრანის (ქართლი) მასალაშია და ყველაზე მცირე — ბაკურცი-  
ხისაში (კახეთი) <sup>1</sup>.

ბაკურციხის მასალაში ბაზალურ ზონაში პირველი მუხლიდან მე-4 მუხლა-  
მდე, ხან მე-8 მუხლამდეც დიაფრაგმა სულ არ არის განვითარებული.

მუხრანის მასალაში უდიაფრაგმა მუხლები გვხვდება თითქმის ყველა რქა-  
ში, უმთავრესად, ბაზალურ ზონაში. უდიაფრაგმა მუხლები როგორც რქის ძირ-  
ში, ისე ზევით ყოველთვის უპწელოა.

უპწელო მუხლის დიაფრაგმა ყველა რქაში სამივე ზონაში უფრო ნაკლე-  
ბად არის განვითარებული, ვიდრე პწელიან მუხლში. ყველაზე მცირე განსხვა-



სურ. 1.

<sup>1</sup> მუხრანში ვენახი სარწყავია, ბაკურციხში კი — ურწყავი.

Інфляція відміна та розподіл засобів життя відповідно до державного бюджету та фінансової політики

Загальні показники розвитку економіки	Фінансовий ринок, ринок праці, землі та інші ринки	Інфляція відміна та розподіл засобів життя відповідно до державного бюджету та фінансової політики								Інфляція відміна та розподіл засобів життя відповідно до державного бюджету та фінансової політики			
		Інфляція				Інфляція				Інфляція			
		Інфляція загальні засоби життя	Інфляція засобів життя	Інфляція засобів життя	Інфляція загальні засоби життя	Інфляція засобів життя	Інфляція загальні засоби життя	Інфляція засобів життя	Інфляція загальні засоби життя	Інфляція засобів життя	Інфляція загальні засоби життя	Інфляція засобів життя	
5	Інфляція, фінансовий ринок, ринок праці, землі та інші ринки, 1996–97 р.	3,2 2	2,6 1,6	3 1,8	3 1,9	2,5 1,7	2,9 2	3,2 2,4	2,4 1,7	3 1,8	48	42	43,6
5	Інфляція, фінансовий ринок, ринок праці, землі та інші ринки, 1997 р.	2,5 2,4	2 1,8	2,2 1,5	2,2 2,1	1,6 1,6	1,7 1,5	2,3 2	1,7 1,5	1,6 1,3	45,9	44,4	47
5	Інфляція, 1998 р.	—	—	—	3,5 2,1	2,56 1,7	3,2 2,1	2,5 3	2,2 2	2,7 2	46,2	43	46,5
8	Інфляція, фінансовий ринок, ринок праці, землі та інші ринки, 1998 р.	3 3	1,5 1	1,9 1	2,8 2,5	1,3 1,4	2 1	2 —	1,2 —	0,9 —	38	40,2	45,5
9	Інфляція, фінансовий ринок, ринок праці, землі та інші ринки, 1998 р.	3,6 2,6	3 1,2	3,3 1,5	3,2 2,3	2,2 1,1	2,6 0,96	3 2,1	2,2 1,3	2,4 1,4	54,9	51,5	51,5
5	Інфляція, фінансовий ринок, ринок праці, землі та інші ринки, 1996–97 р.	3,4 2,6	2,8 1,8	2,9 1,8	3,5 2	2,3 1,5	2,3 1,4	2,8 2	2,5 1,3	2,9 1,3	35	39	48,5
8	Інфляція, фінансовий ринок, ринок праці, землі та інші ринки, 1997–98 р.	2,3 2,5	1,5 1,3	2 1,5	2,3 2,4	1,1 1,1	1,5 1	2,3 2,5	0,9 1	0,8 1,5	41,5	42	44,3
5	Інфляція, фінансовий ринок, ринок праці, землі та інші ринки, 1998–99 р.	3,36 2,7	2,8 1,8	2,96 1,8	3,3 2,1	2,6 1,6	2,8 1,7	2,9 2	2,7 1,3	2,8 1,3	36,1	41	44,4
10	Інфляція, фінансовий ринок, ринок праці, землі та інші ринки, 1998 р.	2,9 1,9	1,65 1	2,3 0,96	2,6 2,8	1,6 1,3	2,3 1,3	2,4 2,8	1,6 1,5	2,2 1,3	52,7	54	57,3
	Інфляція, фінансовий ринок, ринок праці, землі та інші ринки, 1997–98 р.	2,7 2,3	1,9 1,4	1,6 0,9	1,5 1,7	1,1 1,1	1,5 0,8	1,8 2,7	1,5 0,7	2,1 0,5	62	58,3	57,2
	Інфляція, 1998–99 р.	2,5 2,3	1,7 1,5	2,1 1,7	2,5 2,35	1,7 1,4	2,3 1,2	1,8 1,8	1,3 1,1	1,7 0,8	43,3	43,7	46,5
	Інфляція, фінансовий ринок, ринок праці, землі та інші ринки, 1998–99 р.	2,6 2,1	1,5 1,1	2,1 1	2,1 1,8	1,2 1,1	1,7 0,7	1,7 1,4	1,6 0,8	1,6 0,76	43,6	47	46,3



ევბა პწკლიან და უპწკლო მუხლთა დიაფრაგმას ზორის გვედება წვეროს ზო-  
ნაში, კვირტის მხარეს. ზონათა ზორის დიაფრაგმის სისქეში განსხვავება უმნი-  
შვნელლა. კვირტის მხარეს დიაფრაგმა პწკლიანშიაც და უპწკლო მუხლშიაც  
ყველაზე ფართოა. ყველაზე ვიწრო დიაფრაგმა შუაზეა. ყველაზე კარგად გან-  
ვითარებული დიაფრაგმა მუკუნისა და მუხრანის მეურნეობის მასალაშია.

თბილისის მასალა წლების მიხედვით დიაფრაგმის სხვადასხვა განვითარე-  
ბას იძლევა.

საფერავი (ტაბ. 1). გულგულის სიღიდე მერყეობს 35 და 57% ზორის  
და ყველა მასალაში, მიუხედავად რაიონისა, წვეროდან ბაზისაკენ მატულობს,  
ე. ი. ბაზალურ ზონაში გულგული ყველაზე ღიღდია. ყველაზე ღიღდი გულგული  
მუხრანის (სარწყავ) მასალაშია, მერე ბაკურციხის (ურწყავ) და ყველაზე მცირე  
თბილისის მასალაში.

უპწკლო მუხლებში დიაფრაგმა უფრო ვიწრო, ვიღრე პწკლიანში. კვირ-  
ტის მხარეს დიაფრაგმა ყოველთვის უფრო სქელია, ვიღრე შუა ან პწკლის  
მხარეს.

ზონათა ზორის მნიშვნელოვანი განსხვავება დიაფრაგმის განვითარების  
მხრივ, არ არის, მაგრამ ბაზალურ ზონაში დიაფრაგმის სისქე მაინც ჩამორჩება  
ოდნავ შუა და წვეროს ზონებს.

მუხრანის მასალაში ზოგიერთი რქის ყველა ზონაში, უმთავრესად უპწკლო  
მუხლებში, გვხდება სრულიად ან ნაწილობრივ (კვირტის მხარეს არის დიაფ-  
რაგმა, მერე ვიწროვდება და შუა ადგილთან ქრება) უდიაფრაგმო მუხლები.  
განხილული რქებიდან 3-ში შეგვხვდა უდიაფრაგმო მუხლები.

ბაკურციხის მასალაში ყველა რქაში პირველი 4, 5, 6 მუხლი სრულიად  
უდიაფრაგმოა ბაზალურ ზონაში. უდიაფრაგმო მუხლები შეგვედა წევროსკენაც  
მე-10 მუხლიდან, ხოლო ყველა რქა არ ხასიათდებოდა უდიაფრაგმო მუხლებით.

ზოგ რქაში, ზოგიერთ მუხლში კვირტისკენ არის დიაფრაგმა, შუა და  
პწკლის მხარეს კი აღარ არის. ყველაზე ვიწრო დიაფრაგმა ყველა ზონაში  
გვხდება ბაკურციხის (კახეთი) მასალაში, მერე მუხრანისაში, ხოლო ყველაზე  
სქელი დიაფრაგმა თბილისის მასალაშია.

აღ იგორე (ტაბ. 1). გულგულის სიღიდე ზონათა ზორის უმნიშვნელოდ  
იცვლება (3-4%). უმეტეს შემთხვევაში ბაზალურ ზონაში გულგული უფრო ღი-  
ღდია, ვიღრე შუა ან წვეროს ზონაში. ხანდახან პირველი, წვეროს ზონაში უფრო  
ღიღდია გულგული, ვიღრე ბაზალურ ზონაში (მუხრანი, 1938 წ.).


წლების მიხედვით გულგულის სიღიდე მუხრანი იცვლება. 1938 წ. აღ-  
ბულ მასალაში გულგულს უფრო მეტი ადგილი ეკავა რქაში, ვიღრე 1939 წ. მა-  
სალაში (უნდა აისწნებოდეს ნალექების რაოდენობის სხვაობით ვეგიტაციის 3-ე-  
რიოდში).

უპწკლო მუხლში დიაფრაგმის სისქე ყოველთვის ნაკლებია, ვიღრე პწკლი-  
ანში. იშვიათ შემთხვევაში კვირტის მხარეს პწკლიან მუხლში დიაფრაგმა უფრო  
ვიწროა უპწკლოს. კვირტის მხარეს დიაფრაგმა უფრო ფართოა პწკლიანშიაც  
და უპწკლოშიაც, ვიღრე შუა ან პწკლის მხარეს. იშვიათ შემთხვევაში პწკლის  
მხარეს დიაფრაგმის ანვითარება არ ჩამორჩება კვირტის მხარეს.

Հոգացրացման և սօվեյ պահեցի շեմթեզեցածի ձախալուր կոճածի սդրոն նայալուր  
ծառ, զուգը թյա լո, մոտ պահեցի, վզերու կոճածի. ձախալուրո կոճածի լուաց-  
հացմա տացու սօվեյ օշակատ շեմթեզեցածի սկարծոնքն թյա կոճածի լուացհացման.

მუხრანის მასალაში გვხვდება ისეთი რქები (დაახლოებით 20%), რომლებიც ბაზალურ ზონაში ძირის 1, 2, 3 მუხლის მანძილზე, დიაფრაგმას სრულიად არ იყითარებენ. უდათერავმო მუხლები ხანდახან ერთეულების სახით მოიპოვება სხვა ზონებშიაც (წვერისზე, შეკვეთი), უმეტეს შემთხვევაში ეს მუხლები პწკლიანია. შედარებით უფრო ხშირად ყველა ზონაში გვხვდება ისეთი მუხლები (განსაკუთრებით თითქმის უპწყლო მუხლებია), რომლებშიაც დიაფრაგმა პწკლის

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶ ପବ୍ଲିକେସନ୍ସ.



Lemma, 2.

ნიშვნელოა. ხანდახან ისინი ერთმანეთს უდრის.

წევროს ზონაში, სხვა ზონებთან შედარებით, დიაფრაგმა უკეთ არის გან-  
უთარებული; ბაზალურ ზონაში სულ არ არის დათრაგმა.

ცოლიკაური (ტაბ. 2). შეკვეთი გულგული შედარებით მცირეა, ვიდრე წვეროს ან ბაზალურ ზონაში. მი უკანასკენელთა შორის განსხვავება ძალიან მცირეა — თითქმის ერთმანეთს უდრის. პწყლიანი მუხლის დიაფრაგმა უფრო სქემაზე

ბაზალურ ნაწილში პირველი  
3—6 მუხლის მანძილზე დიაფრაგმა  
სრულიად არ ვითარდება (ნშირად  
6 მუხლის მანძილზე). მე-6 მუხლის  
ზევით უდინაფრაგმო მუხლები სრუ-  
ლიად აღარ გვხვდება. ძალიან იშ-  
ვიათად პწყლის მხარეს დიაფრაგმა  
ისპონა (პწყლიანი მუხლი). რო-  
გორც სხვა ჯიშებში, ისე აქაც  
უპწყლო მუხლებში დიაფრაგმა უფ-  
რო სუსტად არის განვითარებუ-  
ლი, ვიდრე პწყლიანში.

კვირტის მხარეს დიაფრაგ-  
მის სისქეში პულიან და უპულ  
მუხლოთა შორის განსხვავდა უმ-

**ଭାବାନ୍ଧରାଗଶିଳ୍ପ ଓ ଚାଲାକୁଣ୍ଡିଳୀ ସାର୍ଜୁଣିକ ମାନ୍ୟପ୍ରେସଲ୍ଲେବିଂ**

ପତ୍ର, ୨

ବ୍ୟାକ୍ ପରିବହନ ପ୍ରତିଷ୍ଠାନ ନାମ	ଜୁଗଳିକ ଦ୍ଵାରାକ୍ଷେତ୍ରରେ, ବାଗନାର ଓ ପ୍ରକାଶକ	ଭାବାନ୍ଧରାଗଶିଳ୍ପ ଓ ଚାଲାକୁଣ୍ଡିଳୀ ସାର୍ଜୁଣିକ ମାନ୍ୟପ୍ରେସଲ୍ଲେବିଂ							ଚାଲାକୁଣ୍ଡିଳୀ ସାର୍ଜୁଣିକ ମାନ୍ୟପ୍ରେସଲ୍ଲେବିଂ			କ୍ଷେତ୍ରର ପ୍ରକାଶକ ନାମ		
		ଭାବାନ୍ଧରାଗଶିଳ୍ପ		ଚାଲାକୁଣ୍ଡିଳୀ		ମାନ୍ୟପ୍ରେସଲ୍ଲେବିଂ			ଭାବାନ୍ଧରାଗଶିଳ୍ପ		ଚାଲାକୁଣ୍ଡିଳୀ			
		କ୍ଷେତ୍ରର ପ୍ରକାଶକ ନାମ	ପ୍ରକାଶକ ନାମ	କ୍ଷେତ୍ରର ପ୍ରକାଶକ ନାମ	କ୍ଷେତ୍ରର ପ୍ରକାଶକ ନାମ	କ୍ଷେତ୍ରର ପ୍ରକାଶକ ନାମ	କ୍ଷେତ୍ରର ପ୍ରକାଶକ ନାମ	କ୍ଷେତ୍ରର ପ୍ରକାଶକ ନାମ	କ୍ଷେତ୍ରର ପ୍ରକାଶକ ନାମ	କ୍ଷେତ୍ରର ପ୍ରକାଶକ ନାମ	କ୍ଷେତ୍ରର ପ୍ରକାଶକ ନାମ			
1	ବାବୁପ୍ରେସିନ୍ସିନ୍ଡରନ୍ଦରିଙ୍କ ମେସିକାର୍ଟିଂ	4 4	3.7 2	3.7 1	3.4 3.2	2.4 1.9	2.7 1	ଭାବାନ୍ଧରାଗଶିଳ୍ପ ଏବଂ ଚାଲାକୁଣ୍ଡିଳୀ ସାର୍ଜୁଣିକ ମାନ୍ୟପ୍ରେସଲ୍ଲେବିଂ	25.2	30.5	37.8			
2	ପ୍ରାଣବିଦ୍ୟାକ୍ଷେତ୍ରରେ	3.4 3.2	2.5 2.2	2.9 1.3	3.5 3.5	2.1 2	3 1.5	3.2 4	2 2	2.8 3.2	46.9	45.3	47.2	
3	*	3 —	2 —	2.7 —	3.3 3.6	2.2 1.8	2.6 1.3	3.2 3.9	2.2 2.3	3.1 1.7	42.5	39	47.7	
3	କର୍ତ୍ତାକ୍ଷୁଣୀ	3.1 3	2.7 1.3	2.4 1	2.6 3.1	1.7 2	2.7 2	3 3	2.2 1.8	2.6 1.5	47	44	42	
8	*	—	—	—	3.1 1.2	2.4 1.6	2.7 1.1	3 3	9.1 1.8	2.7 1.8	—	46	43	

ବାବୁପ୍ରେସିନ୍ସିନ୍ଡରନ୍ଦରିଙ୍କ ମେସିକାର୍ଟିଂ ଏବଂ ଚାଲାକୁଣ୍ଡିଳୀ ସାର୍ଜୁଣିକ ମାନ୍ୟପ୍ରେସଲ୍ଲେବିଂ  
ପାଇଁ ଉପରେ ବାବୁପ୍ରେସିନ୍ସିନ୍ଡରନ୍ଦରିଙ୍କ ମେସିକାର୍ଟିଂ ଏବଂ ଚାଲାକୁଣ୍ଡିଳୀ ସାର୍ଜୁଣିକ ମାନ୍ୟପ୍ରେସଲ୍ଲେବିଂ  
ପାଇଁ ଉପରେ

ლია, ვიდრე უპწყლოსი. კვირტის მხარეს უპწყლო მუხლში დიაფრაგმა უმნიშვნელობის ნელოდ, მაგრამ მაინც მეტია, ვიდრე პწყლიანში; იშვიათად უდრის ერთმანეთს; ან პწყლიანი მუხლის დიაფრაგმა ცოტათ უფრო მეტია უპწყლოზე.

ზონათა შორის დიაფრაგმის სისხლში განსხვავება უმნიშვნელოა. დიაფრაგმა კვირტის მხარეს პწყლიანშიაც და უპწყლოშიაც ყოველთვის უფრო სქელია, ვიდრე შუა ან პწყლის მხარეს, შუაზე ყველაზე ვიწროა.

კრანუნა (ტაბ. 2). გულგული ბაზიდან წვეროსკენ დიდდება. ამით განსხვავდება იგი ყველა დანარჩენი ჯიშისაგან. დიაფრაგმა პწყლიან მუხლში უფრო სქელია, ვიდრე უპწყლოში, გარდა კვირტის მხარისა. კვირტის მხარეს პწყლიანი მუხლის დიაფრაგმა უდრის უპწყლო მუხლის ამავე მხარის დიაფრაგმას და ზოგჯერ კიდეც სჭარბობს მას.

კვირტის მხარეს პწყლიან და უპწყლო მუხლშიაც დიაფრაგმა უფრო ფართოა, ვიდრე შუა ან პწყლის მხარეზე. ზონათა შორის დიაფრაგმის სისქეში მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის; არ არის არც გარკვეული კანონზომიერება, როგორც ეს სხვა ჯიშებში გვხვდება: ხან წვეროს ზონაში არის შედარებით უფრო უკეთ განვითარებული დიაფრაგმა, ხან შუა და ხან ბაზალურ ზონაში.

სააზეუნო. მასალის ურთიერთ შედარება დიაფრაგმისა და გულგულის განვითარების მხრივ გვიჩვენებს, რომ საფრენავში, ალიგოტესა და მუსკატში გულგული რქის ბაზალურ ნაწილში უფრო დიდია, ვიდრე წვეროს ან შუა ზონაში. კრახუნაში, პირიქით, გულგულს ყველაზე დიდი ადგილი უკავა წვეროს ზონაში და ყველაზე მცირე ბაზალურ ზონაში. რქწითალში და ცოლიკაურში ყველაზე დიდი გულგული რქის შუა ზონაშია. წვეროს და ბაზალურ ზონათა შორის გულგულის სიდიდეში განსხვავება უმნიშვნელოა. ყველაზე პატარა გულგული ალექსანდრიულ მუსკატშია, ყველაზე დიდი მუხრანის მასალაში, განსაკუთრებით 1938 წლ. ოლიგოტეში.

დიაფრაგმა ყველა ჯიშები პწყლიან მუხლებში უფრო უკეთ არის განვითარებული, ვიდრე უპწყლოში. კვირტის მხარეს დიაფრაგმა პწყლიანშიაც და უპწყლოშიაც უფრო დიდია ყოველთვის, ვიდრე შუა ან პწყლის მხარეს. ზონათა შორის დიაფრაგმის განვითარებაში მნიშვნელოვან განსხვავებას არ აქვს აღილი.

ალიგოტეში, ალექსანდრიულ მუსკატსა და საფრენავში კარგად განვითარებული დიაფრაგმა რქის წვეროს და შუა ზონაში გვხვდება; ბაზალურ ზონაში ამ ჯიშებში ხშირად სრულიად არ არის განვითარებული დიაფრაგმა, განსაკუთრებით ეს შეეხება ალექსანდრიულ მუსკატს.

საძირე მასალა. Riparia X Rupestris № 2309 (ტაბ. 3) ყველაზე პატარა გულგული, კრახუნას მსგავსად, ბაზალურ ზონაში აქვს, ყველაზე დიდი — შუა ზონაში, საერთოდ კი, მნიშვნელოვანი განსხვავება ზონათა შორის არ არის.

ვაზისუბნის მასალაში გულგულის სიდიდე წვეროდან ბაზისკენ კლებულობს. ცალკეული რქების მიხედვით თუ განვიხილავთ, უმეტეს შემთხვევაში გულგული ბაზისკენ მცირდება; იშვიათად წვეროდან ბაზისკენ მატულობს ან წვერო და ბაზა თანაბარია. აქაც, როგორც სანამყენა მასალაში, უპწყლო მუხლის დიაფრაგმა უფრო სუსტად არის განვითარებული, ვიდრე პწყლიანისა.

კვირტის მხარეს დიაფრაგმა ყოველთვის უფრო ფართოა, ვიდრე შუა ან პწყლის მხარეს. შუა აღვილას დიაფრაგმა ყველაზე უფრო სუსტად არის გან-

ສູງລະກົງຫຼາດ ມີເຮົານິຕານ ສູງຫຼາຍລູບຄ່າ % - ອັດຕະກ

ຫຼັກເຊີນ ຄົມລູບຄ່າ	ຊື່ອີ້ນ, ຮັດຕະກ, ພຶກສາ	ດູດລະກົງຫຼາດມີສະບັບສູງ ສູງຫຼາຍລູບຄ່າ ມີຫຼາຍແວງຕະ									ຫຼັກ ຄົມລູບ ຄ່າ	ສູງ ຫຼາຍ ລູບ ຄ່າ	ມີຫຼາຍ ແວງຕະ			
		ທີ 3 ຕ ຕ			ສູງ ຫົມນາ			ທ ດ ຕ ດ								
		ມີຫຼາຍ ຄົມລູບ ຄ່າ	ມີຫຼາຍ ຫຼາຍ ລູບ ຄ່າ	ມີຫຼາຍ ແວງຕະ	ມີຫຼາຍ ຄົມລູບ ຄ່າ	ມີຫຼາຍ ຫຼາຍ ລູບ ຄ່າ	ມີຫຼາຍ ແວງຕະ	ມີຫຼາຍ ຄົມລູບ ຄ່າ	ມີຫຼາຍ ຫຼາຍ ລູບ ຄ່າ	ມີຫຼາຍ ແວງຕະ						
5	Riparia × Rupestris № 3309	1,6	1,1	1,2	1,8	1,3	1	1,9	1,3	1,4	40,7	40	37,5			
	ແກ້ໄຂໂສງບໍານົດ	1,1	0,8	0,4	1,2	1,0	9	1,5	1	1						
5	ຕັດຄູ່ລັດສົດ	1,5	1,1	1,1	1,65	1,1	1,2	1,8	1,2	1,5						
4	-	1	0,7	0,7	1,3	0,9	0,96	1,5	1	1	37,5	41,2	36,2			
		1,45	0,8	1	1,4	0,75	1	1,2	0,7	0,78						
		1	0,6	0,6	1,1	0,5	0,4	1	0,5	0,6	41,2	42	40,8			
	Riparia × Rupestris № 101—14.															
	ແກ້ໄຂໂສງບໍານົດ	1,6	1,3	1,5	1,7	1,3	1,5	2,1	1,5	1,6						
